გრანტები, აჭარა, შოუ და 82-მილიონიანი გარღვევა A8
ავტო-მონადირე B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი. №150
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პარლამენტის არჩევნები, შეიძლება, ჩაიშალოს

24 ნოემბერს დაგეგმილი პარლამენტის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები შეიძლება ჩაიშალოს. წესით, ამ დღეს რუსთავის, აბაშის, სამტრედიისა და თბილისის საბურთალოს რაიონების ამომრჩევლებს პარლამენტში საკუთარი წარგზავნილები უნდა აერჩიათ. ამის მიზეზი კვლავ და კვლავ უფულობაა. თუკი ფინანსთა სამინისტრო ორ ნოემბრამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე არ გადარიცხავს არჩევნების გასამართად საჭირო 212.414 ლარს, კომისია ამ არჩევნებზე პასუხისმგებლობას მთლიანად მოიხსნის.

A3

## ეკონომიკა

### თბილისის მოსახლეობა ზამთარს გაზრდილი ტარიფითა და სამთავრობო დაპირებებით ხვდება

პრეზიდენტის დავალებით შექმნილ კომისიას, რომელშიც ეკონომიკური ბლოკისა და უშიშროების მინისტრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რამდენიმე პარლამენტარი და სემეკის თავმჯდომარე შედიან, 2002-2003 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მომზადება დაევალა.

A4

## უცხოეთი

### ჩეჩნეთი ახალი სისხლისღვრის მოლოდინშია

მოსკოვის კრიზისის ტრაგიკული დასასრულის შემდეგ მოსალოდნელია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩნეთის მორიგ სამხედრო კამპანიას ახალი ძალითა და ენერგიით შეუდგება, რათა მომავალი არჩევნების წინ პოლიტიკური ქულები დააგროვოს.

A5

## საზოგადოება

### „გამგეობაში დახმარების ნაცვლად შეურაცხყოფას ვღებულობთ"

გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი საკუთარ გამგებელს ირაკლი ქორიძეს მათთვის კუთვნილი თანხების მითვისებაში ადანაშაულებს.

A6

## სამართალი

### იეღოველები მკალავიშვილთან შერიგებას არ აპირებენ

მოწმე-მომჩივანთა გამოუცხადებლობის გამო უკვე ოცჯერ გადადებული ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი, გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვით დაიწყო.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 13 | |
| ბათუმი | 13 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 12 | |
| ზუგდიდი | 13 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.1235 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3657 |
| რუბლი | 0.0681 |

# უსახსრობის გამო, სახელმწიფო საზღვარი შიშვლდება


ქართველი მესაზღვრე.

*საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი უნდა მიეღო, მაგრამ მხოლოდ 70 პროცენტით დაფინანსდა. შედეგად, ეს უწყება, რომელსაც ფინანსურად არც აქამდე ულხინდა, ბოლო ხანებში საერთოდ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შექმნილმა ვითარებამ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აიძულა, მეტად საშიში ნაბიჯი გადაედგა: ვალერი ჩხეიძის თქმით, უსახსრობის გამო, მეზობელი ქვეყნების საზღვრის გარკვეულ მონაკვეთებზე დაცვა შემცირდა და აღნიშნულის თაობაზე ამ სახელმწიფოთა სამხედრო ატაშეებს უკვე ეუწყა.*

გიორგი ასანიშვილი

საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გუშინ სტუმრად მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ადასტურებს, რომ მისი "მასპინძელი" უწყება საკმაოდ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. თუ იქ რაიმე კეთდება, ამას წარმოუდგენელი ძალისხმევა სჭირდება და ეს, უმეტესწილად, ენთუზიაზმის ხარჯზე ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ თავად არ აკონკრეტებს, პარლამენტის სპიკერის რეპლიკის მიხედვით იოლი დასადგენია, რომ თითქმის სამი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრების დროს კრიტიკის მთავარი ობიექტი ფინანსთა სამინისტრო იყო.

**"საკითხების ძალიან დიდი ნაწილის გადაწყვეტა შეიძლება, თუ იქნება გაგება იმ სამინისტროებისა და უწყებების მხრიდან, რომელთაც პრობლემების გადასაწყვეტად ბატონი ვალერი მიმართავს ხოლმე. არ შეიძლება 1 ან 1,5 მილიონი ლარის ღირებულების ჩატარებული სამუშაოების წყალში გადაყრა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ბოლომდე**

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტის თავმჯდომარე მესაზღვრეთა პრობლემებმა შეაშფოთა

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისათვის"

სხვადასხვა ტრიბუნიდან გამოთქმული სიტყვიერი მხარდაჭერა, ჯერჯერობით, არაფრით აისახება სასაზღვრო უწყების მწირ ბიუჯეტზე. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში კოლეგიის წევრებთან შეხვედრამ და რეალური ვითარების გაცნობამ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაარწმუნა, რომ ქართველი მესაზღვრეები ენთუზიაზმზე მუშაობენ და, რომ არა მეგობარი ქვეყნების დახმარება, ფინანსური პრობლემების გამო საქართველოს საზღვრის უწყება არსებობას საერთოდ შეწყვეტდა.

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის პირადი შემადგენლობა, დაახლოებით, შვიდი ათას კაცს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცხრა მილიონი ლარით ფინანსდება. რეალურად კი, ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ქართველ მესაზღვრეებს სამჯერ მეტი თანხა, 26-27 მილიონი ლარი ესაჭიროებათ. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, ეს ფული არ გააჩნია. მესაზღვრეებსაც, რასაკვირველია, ესმით სახელმწიფოს გასაჭირი და ბედს შეგუებულები ზედმეტს არ ითხოვენ. მაგრამ იმის გაგება კი ნამდვილად უჭირთ, თუ წლიდან წლამდე რატომ ვერ ღებულობენ ამ მწირ ბიუჯეტსაც კი. მეტიც, 1997 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფომ სასაზღვრო უწყების ბიუჯეტს 20 მილიონი ლარი დააკლო. და ეს მაშინ, როცა მესაზღვრეთა წინაშე მდგარი ამოცანები ყოველწლიურად იზრდება. მაგალითისთვის 23 აგვისტოს, ილტოს ხეობის დაბომბვის შემდეგ, ოპერატიული ვითარება საქართველო-რუსეთის ჩეჩნეთის მონაკვეთზე

გაგრძელება A2 გვერდზე

# უშიშროების ახალ დოქტრინას კრემლის "თუთიყუში" - ჟირინოვსკი ახმოვანებს

*თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვში ტრაგიკულმა მოვლენებმა რუსეთის არმიის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დააკნინა, სამაგიეროდ კი აამაღლა მშობლიური სპეცსამსახურების რეიტინგი, მაშინ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი ყალიბდება თვისებრივად ახალ სახელმწიფოდ, რომელსაც პოლიციურსაც ვეღარ დაარქმევ. მას უფრო "შპიონური" უხდება.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

არაადამიანური ტერაქტის შემდეგ, რომელიც კრემლმა საკუთარ მოსახლეობას მოუწყო, ტრაგედიის ხუთი დღის თავზე, როცა მოსკოვში პირველ უდანაშაულო მსხვერპლს მიწა მიაყარეს, კრემლის დიდი მამები დასხდნენ და რუსეთის უშიშროების ახალი დოქტრინა დაწერეს. რა თქმა უნდა, უფრო დასაჯერებელია ის, რომ დოქტრინა ტერაქტამდე იდო პუტინის ადმინისტრაციის უჯრაში, მაგრამ ეს მხოლოდ დეტალია.

უშიშროების ძველი დოქტრინა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას 11 სექტემბრის მოვლენების კვალზე გეგმავდა. 23 ოქტომბრის შემდეგ კრემლი არ ცდილობს ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას და მეთოდურად ამზადებს საზოგადოებრივ აზრს "ბოროტების ღერძზე" ახალი დარტყმისათვის.

29 ოქტომბერს პუტინის ადმინისტრაციამ პოლიტიკურ ელიტას განსახილველად წარუდგინა უშიშროების ახალი დოქტრინა, რომლის პირველი პუნქტები ჩეჩნეთში უპრეცედენტო ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარებასა და საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობი ქვეყნების სამაგალითო დასჯას გულისხმობს. ახალი დოქტრინის შესაბამისად, რუსეთის ანტიტერორისტული ოპერაციის გეოგრაფიული ფარგლები გაიზრდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აკაკი ჩხაიძეს კოლინ პაუელიც დაუპირისპირდა

*გადაცემა "60 წუთის" ბრალდებებს მათმა მთავარმა ადრესატმა - "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ, გუშინ, ამ საკითხის საგანგებოდ შესასწავლად, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფის შექმნის იდეით უპასუხა. ჩხაიძე თანახმაა, ამ ჯგუფმა საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ერთად იმუშაოს და მედიის წარმომადგენლებს ხელი შეუწყოს გამოძიების გამჭვირვალედ წარმართვაში. "60 წუთისთვის" სასამართლოში ჩივილის შესაძლებლობას ჩხაიძე აღნიშნული გამოძიების დასრულებამდე არ განიხილავს.*

გვანცა კვინიკაძე

"60 წუთში" მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს რკინიგზის ხელმძღვანელი ქვეყანაში მიმდინარე ფარულ პროცესებს მიაწერს, რომლებიც, მისი თქმით, გავლენიანი ძალების მიერ ხორციელდება და რომლებსაც **"უკვე ბევრი ღირსეული ადამიანი ამოუსვრია ლაფში."** რკინიგზის ხელმძღვანელი ამ ძალებს ვერ აკონკრეტებს, მაგრამ აცხადებს, რომ მათი მიზანია, მასზე – როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კომპანიის ხელმძღვანელზე, გავლენის მოპოვება - **"ისევე, როგორც ეს ქვეყნის ბევრ საწარმოსთან მიმართებაში მოხდა."** ჩხაიძის თავიდან მოშორებით დაინტერესებული ფარული ძალების წარმომავლობის შესახებ გარკვეული მინიშნება პრესკონფერენციაზე გაკეთდა, თუმცა, არა თავად ჩხაიძის მიერ. ამ მინიშნების საფუძვლად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში "ლოკომოტივისგან" მერაბ ჟორდანიას, და არა მისი კონკურენტი დავით პეტრიაშვილის, მხარდაჭერა მიიჩნევა, რამაც, ზოგიერთის აზრით, პეტრიაშვილის უკან მდგომი ძალების გაღიზიანება გამოიწვია. თუმცა, "60 წუთის" გამოძიებასა და ამ ძალებს შორის კავშირის არსებობის აბსურდულობა, როგორც ჩანს, თავად ჩხაიძისთვისაც ნათელია, რადგან, მისი განცხადებით, ორივე (ჟორდანიასიც და პეტრიაშვილისაც) მხარეს მისი ახლობლები დგანან.

გაგრძელება A4 გვერდზე

# მომავალ წელს მშენებლობას დავიწყებთ

24 საათის სტუმარია "ბრიტიშ პეტროლეუმ აზერბაიჯანის" პრეზიდენტი, ბატონი დევიდ ვუდვორდი

A8



# უშიშროების მინისტრს გაჩუმება პრეზიდენტმა უბრძანა?

*საქართველოს გენერალური პროკურატურა საქმეს აღძრავს გადაცემა "60 წუთში" "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძისთვის წარდგენილი ბრალდებების გამოსაძიებლად.*

სოფიკო ჩხაიძე

რუსთავი-2-ის გადაცემა "60 წუთის" ეთერიდან "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებს გენერალური პროკურატურა სამართლებრივ შეფასებას მისცემს და სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს დეტალური გამოძიების ჩასატარებლად. ამის თაობაზე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე განაცხადა. არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ გენერალურ პროკურორთან ვიზიტი მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიღებას სწორედ იმის თაობაზე, მოჰყვება თუ არა სამართლებრივი რეაგირება გადაცემაში გამოთქმულ მძიმე ბრალდებებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ავტო-მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**ლისაბონი.** საქართველოს ფარგლებში ოსეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის გარკვევამ "შესაძლოა ხელი შეუწყოს უკვე ათი წლის განმავლობაში გაწელილი პრობლემის გადაწყვეტას". ამის შესახებ პორტუგალიაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინშ და კრუშმა განაცხადა.

ორი დღის განმავლობაში პორტუგალიის ქალაქ კაშტელუ ბრანკუში 30 საერთაშორისო ექსპერტის თანდასწრებით ტარდებოდა მოლაპარაკებები საქართველოსა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის. ეუთო-ს მიერ 1997 წელს შექმნილ ჯგუფში შედიან საქართველო, სამხრეთ ოსეთი, ასევე რუსეთი, ჩრთდილოეთ ოსეთი და ეუთო. "ევროკავშირი ძალიან მნიშვნელოვნად თვლის ამ რეგიონს და მზადაა, მოახდინოს ამ ზონაში 2,5 მილიონი ევროს ღირებულების პროექტების ინვესტირება, მაგრამ ჯერ ამისათვის არ არის პირობები," - განაცხადა პორტუგალიელმა მინისტრმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიაში არცერთი სამრეწველო საწარმო არ მუშაობს. უფრო მეტიც, გაჩერებული ქარხნები და ფაბრიკები უმოწყალოდ იძარცვება, იყიდება დაზგა-დანადგარები. საბჭოთა პერიოდში სამტრედიაში 10-მდე დიდი ქარხანა მუშაობდა, მათ შორის – ხორბლის გადამამუშავებელი, ძაფსაღები, ხის დამამზადებელი, რძის პროდუქტებისა და სხვა, სადაც დასაქმებული იყო ქალაქისა და რაიონის მოსახლეობა. ამჟამად ისინი უმუშევრები არიან და თავს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით და მცირე ბიზნესით ირჩენენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში გაიმართება გაერო-ს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკოორდინაციო საბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა სამუშაო ჯგუფის სხდომა. ამჟამად შეხვედრის დღის წესრიგი ზუსტდება. აფხაზურ დელეგაციას უხელმძღვანელებს არაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ბესლან კუბრავა, ქართულს - განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური თბილისი დაჟინებით მოითხოვს 1999 წელს სტამბულის ეუთო-ს სამიტზე რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულების სრულფასოვან მონიტორინგს. საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ მონიტორინგი ეუთო-ს ეგიდით და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით აუცილებლად უნდა ჩატარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს არ გააჩნია საფუძველი. ეს ბაზა დახურულად ჩათვალოს. ადრე რუსეთის ბაზაზე გუდაუთაში ნამყოფი არიან ეუთო-ს ექსპერტები, მაგრამ ეს შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ ეტაპად სრულფასოვანი მონიტორინგისთვის. თავის მხრივ, აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიხურა და მის ობიექტებს ნაწილობრივ იყენებენ დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები. "ახალი შემოწმებისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობს", – თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კოდორის ხეობის მორიგი პატრულირებისას არ არის აღმოჩენილი უცხო პირები და საბრძოლო მასალისა და იარაღის რაიმე რეზერვის არსებობის კვალი, - იტყობინებიან გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისიიდან. კოდორის ხეობის ზედა ნაწილის პატრულირება, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს, 24-დან 26 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა. მასში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოები.

გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისიაში აცხადებენ, რომ "ვითარება ხეობაში მშვიდია". იქვე აღნიშნეს, რომ აფხაზეთის მიერ კონტროლირებად, ხეობის ქვედა ნაწილში ასევე არ შეინიშნება უცხო ძალების არსებობა. "რაიმე არაჩვეულებრივი, ან გაზრდილი სამხედრო აქტიურობა არ შეინიშნება," - დასძინეს მისიაში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში ვლადიმირ გუდევი ქვეყნის ხელისუფლებას ურჩევს, თბილისში იჩქერიის წარმომადგენლობა, "როგორც ტერორისტების ერთ-ერთი დამფინანსებელი ორგანიზაცია", გააუქმოს, და მიაჩნია, რომ ეს საქართველოსაც ხელს უნდა აძლევდეს. კითხვაზე, დასვამს თუ არა რუსეთის ელჩი ოფიციალური მოსკოვის წინაშე იქ აფხაზეთის წარმომადგენლობის გაუქმების საკითხს, გუდევმა განაცხადა, რომ ჩეჩნები ტერორისტები არიან, აფხაზები კი სეპარატისტები, რაშიც, მისი აზრით, დიდი განსხვავებაა. საქართველოს საგარეო სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, საქართველოში იჩქერიის წარმომადგენლობის გაუქმების საკითხი იმ შემთხვევაში დადგება, თუ რუსეთის მთავრობა მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარმოადგენს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ არ გამორიცხა აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის საკონსულოს გახსნა. იგი ამ საკითხის დაყენებას საქართველოში რუსეთის ახალი ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის წინაშე აპირებს. საკონსულოს გახსნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ აფხაზეთის 320 ათასიანი მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი უკვე რუსეთის მოქალაქეა, - თქვა სერგეი შამბამ. თბილისში, რუსეთის ფედერაციის საკონსულოს აფხაზეთში გახსნის წინააღმდეგ გამოდიან და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას აპროტესტებენ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიამ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას ვერნადსკის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიანიჭა. არძინბას ვერნადსკის სახელობის პრემია "პოლიტიკურ ასპარეზზე გამორჩეული მოღვაწეობისა და აფხაზეთის რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარებაში გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისათვის" მიენიჭა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება "აგრომრეწვბანკმა" სახელი შეიცვალა და ამიერიდან ის იწოდება სააქციო საზოგადოება "საქართველოს სახალხო ბანკად". როგორც კავკას-პრესს ბანკის დირექციიდან აცნობეს, ეს გადაწყვეტილება, დადგენილების სახით, დაადასტურა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ.

"საქართველოს სახალხო ბანკი" პასუხისმგებელია "აგრომრეწვბანკის" ვალდებულებებზე და ამ ეტაპზე ინარჩუნებს ძველ რეკვიზიტებს. ბანკში იმედოვნებენ, რომ საბანკო-საფინანსო სისტემების სხვა წევრებთან ერთად, "სახალხო ბანკი" შეძლებს, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საბანკო სექტორის გაძლიერებისა და სრულყოფის საქმეში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, „თბილგაზი“ თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, გამათბობელი აპარატურის შეძენისას დანადგარები „თბილგაზში“ რეგისტრაციაში გაატარონ.

კომპანია ასევე აფრთხილებს აბონენტებს, აპარატურის დასამონტაჟებლად მხოლოდ „თბილგაზის“ სპეციალისტები გამოიძახონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია შესაძლო სავალალო შემთხვევებზე პასუხისმგებლობას იხსნის.

„თბილგაზის“ ამგვარი გაფრთხილება განპირობებულია შარშან ზამთარში გაზის გამათბობლების და წყალგამათბობლების მიზეზით გამოწვეული მსხვერპლით. შეგახსენებთ, რომ შარშან თბილისში 15-მდე ადამიანი დაიღუპა გაზით. **მედია-ნიუსი**

# უსახსრობის გამო, სახელმწიფო საზღვარი მიშვლდება

პირველი გვერდიდან

**მისაყვანად, 10-15 ათასი ლარით დაფინანსებას ველარ ვახერხებთ"**, - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, რომელიც გამოთქვამს მზადყოფნას, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს იმ ფარგლებში, რომელიც მას, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს, ხელეწიფება.



*შეხვედრა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში.*

კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარე პირობას იძლევა, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას, პირადად მისთვის, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების პრიორიტეტული დაფინანსების საკითხი იქნება.

**"წინა ბიუჯეტის დამტკიცებისას ჩემი წინადადებების ასახვაზე უარი ვთქვი იმ იმედით, რომ მათ ოთხი თვის შემდეგ გაითვალისწინებდნენ, რაც არ მოხდა. ამიტომ, წელს იგივეს გაკეთებას აღარ ვაპირებ და ბოლომდე დავუჭერ მხარს იმ უწყებებს, რომლებიც პრიორიტეტულ დაფინანსებას საჭიროებენ",** - არც საკუთარ შეცდომებს მალავს პარლამენტის თავმჯდომარე.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გუშინ გამართულ შეხვედრას, ნინო ბურჯანაძესთან ერთად, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილიც ესწრებოდნენ. ეს უკანასკნელი, ქვეყნის უსაფრთხოების შემადგენელი სტრუქტურების პრიორიტეტული დაფინანსების აუცილებლობის თაობაზე, ნინო ბურჯანაძის განცხადებას **"სწორ და დამაიმედებელ მიდგომას"** უწოდებს და იქვე დასძენს, რომ ამ საკითხზე მის კომიტეტსაც მუდმივად უხდება **"ბრძოლა და ჭიდაობა"**.

გუშინდელი დახურული შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, საუბარი საკმაოდ კონკრეტულ თემებს შეეხებოდა. ერთ-ერთ ასეთ თემად ირაკლი ბათიაშვილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შიგნით რეფორმების გატარებას ასახელებს. ირკვევა, რომ ამ მიზნით უკვე დაწყებულია საკმაოდ სერიოზული თანამშრომლობა გერმანიის სასაზღვრო უწყებასთან, რომელიც, სხვათა შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შედის. ახლო მომავალში დაგეგმილია საქართველოში გერმანიის შსს მინისტრის ჩამოსვლა, რომელსაც გასატარებელი რეფორმების მთელ პაკეტს დაახვედრებენ. მათი ხორცშესხმის შემთხვევაში კი, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, ძირითადად, სამართალდამცავი ფუნქციების მატარებელი ორგანო გახდება და ამით, უახლეს ევროპულ სტანდარტებზე გადავა.

**"ვფიქრობ, ეს სწორი ორიენტაციაა და პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განახორციელოს"**, - მიიჩნევს ბათიაშვილი.

ასეთ მაღალ მიჯნამდე მისაღწევად, ჯერ სულის მოთქმაა საჭირო. იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად ნორმალურად იფუნქციონეროს, ვალერი ჩხეიძე ფინანსთა სამინისტროსგან ითხოვს, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის 26 მილიონი ლარი გამოიყოს. თუმცა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი, თავის მხრივ, ასეთ დოტაციას შეუძლებლად მიიჩნევს და ქვეყნის მთავარ მესაზღვრეს შეახსენებს, რომ პარლამენტში უკვე წარდგენილი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მისი უწყებისთვის მხოლოდ 12,1 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ასე რომ, ამჯერადაც იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც **"მოთხოვნა მიწოდებას არ შეესაბამება".** არადა, ვიდრე ასეთი დისბალანსი იარსებებს, საზღვრის დაცვის და, საერთოდ, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში რაიმე სერიოზულ ძვრებზე საუბარი საფუძველს მოკლებულია. მეტიც - თუ პრობლემას საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა, პარლამენტმა და ფინანსთა სამინისტრომ ერთი რაკურსიდან არ შეხედეს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრები კიდევ უფრო მოშიშვლდება.

# პარლამენტის თავმჯდომარე მესაზღვრეთა პრობლემებმა შეაშფოთა

პირველი გვერდიდან

იმდენად გართულდა, რომ მაღალმთიანი ომალოს, შატილისა და მუცოს საგუშაგოების გასაძლიერებლად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი იძულებული იყო უპრეცედენტო ნაბიჯი გადაედგა.

გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე: ***"რთული მდგომარეობაა, ოპერატიული ვითარება დაძაბულია. ყოველ წუთს მოსალოდნელია სახმელეთო საზღვრის დარღვევა. ასე რომ, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ვართ. დამატებითი ძალებიც არის გადასროლილი, მართალია, სხვა სასაზღვრო საგუშაგოების ხარჯზე, მაგრამ, სამწუხაროდ სხვა გამოსავალი არ არის."***

არადა 23 აგვისტოს შემდეგ ქართველი კანონმდებლებიც და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად ალაპარაკდნენ ძალოვანი უწყებებისა და მათ შორის საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის დაფინანსების გაზრდაზე. მათ შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალური მოძრაობა", რომლის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი წინადადებას იძლეოდა, ფული ყველაზე მაღალი საბიუჯეტო ობიექტის, პრეზიდენტის პირადი უსაფრთხოებისთვისაც კი მოეკლოთ.

მიხეილ სააკაშვილი: ***"პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი დაცვა, ღირს 80-დან 90 მილიონ ლარამდე. ეს არის ზუსტად ცხრაჯერ მეტი, ვიდრე იხარჯება საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტზე. ამის ნახევარი საკმარისია იმისათვის, რომ ყოველგვარი რუსეთის პროვოკაცია, ყოველგვარი პროვოკაცია საქართველოს საზღვრებზე აღკვეთილ იქნას."***

ქართველ მესაზღვრეთა თქმით, სასაზღვრო უწყება ამ დაფინანსებით საერთოდ ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას, რომ არა დასავლეთის ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, აშშ-ს მთავრობის დახმარება. გასულ წლებში ამერიკული ტექნიკური დახმარების ფარგლებში დეპარტამენტს უსასყიდლოდ გადაეცა სამი МИ-8 და ერთი МИ-2 ტიპის ვერტმფრენი, ერთი АН-29 და ერთიც "მერკურის" ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავი. გერმანია აპირებს, კადრების მომზადების მხრივ დაეხმაროს საქართველოს სასაზღვრო უწყებას; ასევე გერმანელი ინსტრუქტორების თანადგომით მოხდება ახალ, უფრო მობილიურ სტრუქტურაზე გადასვლა, რადგან გენერალ ჩხეიძის თქმით, არსებულმა უკვე თავისი დრო მოჭამა.

მაგრამ ეს ყველაფერი მაღალი მატერიებია და, თუ სახელწმიფოსგან შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა არ იქნა, დრომოჭმულ სისტემასთან შეგუება, ალბათ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს.

ამიტომ, ილტოს ხეობის დაბომბვის შემდეგ, პარლამენტმა დაავალა აღმასრულებელ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეემუშავებინა ბიუჯეტის შესწორებული პროექტი, რომლითაც ყველა სამხედრო უწყებას, მიმდინარე საფინანსო წლის ბოლომდე, პროპორციულად გაეზრდებოდა დაფინანსება. მაგრამ გავიდა სულ რაღაც ორი თვე და საკანონმდებლო ორგანოს დავალება დავიწყებას მიეცა. რაკი რუსეთი ღიად აღარ ემუქრება საქართველოს, ყველამ თავი დაიმშვიდა. საზღვრის ერთობლივი დაცვის ოქმმა ხომ პირდაპირ სულზე მოუსწრო საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ამიერიდან რუსეთ-საქართველოს საზღვარზე პროვოკაციებს ადგილი აღარ ექნება.

ასე რომ, მაღალმთიან სასაზღვრო საგუშაგოებზე მყოფი ქართველი მესაზღვრეები კარზე მომდგარ ზამთარს კვლავ ფარღალალა კარვებსა და რკინის ვაგონებში შეხვდებიან. სამაგიეროდ, როგორც შარშან, ისე წელს, მესაზღვრეები უხვად მოისმენენ მათი მისამართით გამოთქმულ ისეთი ტიპის შაბლონურ სენტენციებს, როგორიცაა "სახელმწიფო საზღვრიდან იწყება" და "ყველაფერი საუკეთესო - ქართველ მესაზღვრეებს."


მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადება

IOM International Organization for Migration

აპირებთ საზღვარგარეთ გამგზავრებას? ჯერ ეს წაიკითხეთ!



✓ საქართველოში ხშირად განზრახ შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია ტრიალებს სხვა ქვეყნებში არსებული პირობების შესახებ.

✓ ნუ დაუჯერებთ არარეალურ დაპირებებს საზღვარგარეთ ცხოვრების მიმზიდველი პირობების შესახებ.

✓ საქართველოს ბევრი მოქალაქე საზღვარგარეთ არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს. საზღვარგარეთ არალეგალურად ცხოვრება ძალიან მძიმეა. არალეგალური მიგრანტები დაუცველები არიან და დაპატიმრებისა და დეპორტაციის მუდმივ შიშში ცხოვრობენ.

დასაქმება საზღვარგარეთ

✓ ნუ დაუჯერებთ მიმზიდველ დაპირებებს საზღვარგარეთ კარგად ანაზღაურებადი სამუშაოების შესახებ. კანონიერი სამუშაო საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებისათვის ძნელად მოიპოვება.

თავშესაფარი საზღვარგარეთ

✓ თავშესაფრის შესახებ განაცხადის გაკეთების პროცედურის საშუალებით საქართველოს მოქალაქისათვის საზღვარგარეთ ოფიციალური სტატუსის მიღება თითქმის შეუძლებელია. ბოლო პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში თავშესაფრის პოლიტიკა ძალიან გამკაცრდა.

ნუ დაკარგავთ ილუზიებსა და ფულს!

მიიღეთ ინფორმაცია და დაიცავით საკუთარი თავი!

დარეკეთ მსო-ს ცხელ ხაზზე!

(832) 91-34-61

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 14:00 – 22:00.

მსო მადლობას უცხადებს შვეიცარიის, ნიდერლანდებისა და ბელგიის მთავრობებს საინფორმაციო კამპანიის პროექტის დაფინანსებისათვის.


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პარლამენტის არჩევნები, შეიძლება, ჩაიშალოს

## "ნაციონალები" კი პრეზიდენტს ელჩებთან უჩივიან

*24 ნოემბერს დაგეგმილი, პარლამენტის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები შეიძლება ჩაიშალოს. წესით, ამ დღეს რუსთავის, აბაშის, სამტრედიისა და თბილისის საბურთალოს რაიონების ამომრჩევლებს პარლამენტში საკუთარი წარგზავნილები უნდა აერჩიათ. ამის მიზეზი კვლავ და კვლავ უფულობაა. თუკი ფინანსთა სამინისტრო ორ ნოემბრამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე არ გადარიცხავს არჩევნების გასამართავად საჭირო 212.414 ლარს, კომისია ამ არჩევნებზე პასუხისმგებლობას მთლიანად მოიხსნის.*

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ რაიონების ამომრჩევლები პარლამენტში საკუთარი წარგზავნილების გარეშე დარჩნენ (საბურთალოს ყოფილი მაჟორიტარი რეზო ადამია გაერო-ში საქართველოს ელჩად დაინიშნა, რუსთაველთა რჩეული მერაბ ტყეშელაშვილი დღეს ამავე ქალაქის მერია, აბაშის მაჟორიტარი სოსო ჭანტურია პრეზიდენტმა რაიონის გამგებლად დანიშნა, ხოლო სამტრედიელი თამაზ გამრეკლიძე ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა).

განმეორებითი არჩევნები 24 ნოემბერს დაინიშნა. ორი დღის წინ კი ცნობილი გახდა, რომ ფინანსთა სამინისტროს ამ თანხის გამოყოფა გაუჭირდება.

ამ ფაქტმა ცესკოს ხელმძღვანელობა სრულიადაც არ დააბნია. სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის სახელზე უკვე გაგზავნილია ოფიციალური წერილი-ულტიმატუმი, რომელსაც ხელს თავად ჯუმბერ ლომინაძე აწერს. სწორედ ამ წერილშია მითითებული, რომ თანხის დაგვიანებით გადმორიცხვის შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას მოიხსნის.

გუშინ კი ამ პრობლემას "ნაციონალური მოძრაობა" გამოეხმაურა. როგორც ცნობილია, სამტრედიისა და საბურთალოს რაიონებში კენჭს პარტიის აქტივისტები – გივი თარგამაძე და ზვიად ძიძიგური იყრიან. "ნაციონალები" დარწმუნებულები არიან, რომ მთავარი პრობლემა **"არა ფინანსური სიდუხჭირე, არამედ ხელისუფლების მხრიდან არჩევნების ბლოკირებაა"**, რათა პარლამენტში არ მოვიდნენ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები.

საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ **"თუ ხელისუფლება თავად უბიძგებს პოლიტიკურ ძალებს დესტაბილიზაციისკენ, არჩევნებზე უარის თქმისკენ, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე სწორედ ხეისუფლებას დაეკისრება. ჩვენ ძალიან გვინდა, სწორედ არჩევნების გზით შევცვალოთ არსებული ხელისუფლება, მაგრამ თუ ხელისუფლება, დამარცხების შიშით, საერთოდ აღარ ჩაატარებს არჩევნებს, ამაზე მან პასუხი უნდა აგოს. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტი შევარდნაძე უარს ამბობს ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობაზე".**

"ნაციონალებმა" გუშინ თბილისის საკრებულოც ახსენეს და განაცხადეს, რომ მომავალი არჩევნების სავარაუდო ჩაშლა სწორედ თბილისის საკრებულოს უკავშირდება, რადგან ხელისუფლებამ დაინახა, რომ მოსახლეობა მზად არის საკუთარი არჩევანის დასაცავად და გაყალბების საშუალებას არავის მისცემს.


გივი თარგამაძე და კობა დავითაშვილი

გუშინვე "ნაციონალებმა" წერილობით მიმართეს პრეზიდენტ შევარდნაძეს, სადაც ნათქვამია:

**"24 ნოემბერს დანიშნული არჩევნების ჩაშლას ჩვენ განვიხილავთ, თქვენი მხრიდან პოლიტიკურ დემარშად და დემოკრატიული პროცესის შეჩერების გამოცხადებად. თქვენ, როგორც ქვეყანაში კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტმა, უნდა გააცნობიეროთ ამგვარ ქმედებათა შემდგომი მოვლენების განვითარების შესაძლო შედეგები და მთლიანად იკისროთ მათზე პასუხისმგებლობა. ჩვენი მხრივ, ვიტოვებთ უფლებას, ვიმოქმედოთ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის გაგრძელებისათვის აუცილებელი ყველა დემოკრატიული ფორმის გამოყენებით".**

და ბოლოს: გუშინვე "ნაციონალები" შეხვდნენ საქართველოში "ევროკავშირის" მისიის ხელმძღვანელს და მიაწოდეს ინფორმაცია ამ კუთხით ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე. "ნაციონალები" პრეზიდენტ შევარდნაძეს "აიმედებენ", რომ მათ მოწვეული ჰყავთ უცხოელი დიპლომატები და აპირებენ, მათაც მოახსენონ პრეზიდენტის მიერ გადადგმული ანტიდემოკრატიული ნაბიჯების შესახებ.

# აჭარის წარმომადგენლობაში ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის ჩამოყალიბება მოითხოვეს

*"ქვეყანაში, სადაც ქურდი და უზნეო ადამიანი დაფასებულია, სადაც მაღალი თანამდებობის პირი ტერორისტთან ერთად ქეიფობს რესტორანში; ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტი საჯაროდ აცხადებს, რომ გელაევი კარგი პიროვნება, კემბრიჯში განათლებამიღებული ადამიანია, საზოგადოება სავსებით უსუსური იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად", - ექსპერტებმა აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრაზე ძალადობის პროპაგანდაში ხელისუფლებასთან ერთად დაადანაშაულეს მასმედიაც.*
*სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ტერორიზმის პრობლემა კაცობრიობისთვის უცხო ხილი არ არის, პირველი ტერორისტები ჯერ კიდევ ძველ იუდეაში არსებობდნენ, მაგრამ ბოლო წლებში პრობლემამ უკიდურესი სიმწვავით იჩინა თავი – ტერორიზმი ლამის ცხოვრების წესად იქცა.*
*"ტრადიციულმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს, მათზე გაცილებით აქტიურად მოქმედებენ პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური "დანიშნულების" ტერორისტული ჯგუფები."*

ვერიკო თევზაძე

ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორმა ალექსანდრე რუსეცკიმ ფრთხილად და სამართლიანად შენიშნა, რომ დღეს მსოფლიო ცივილიზაციისთვის ტერორიზმზე არანაკლებ საშიში და სახიფათოა ანტიტერორიზმი. როგორც ჩანს, ბატონმა რუსეცკიმ იმ ქვეყნებზე მიგვანიშნა, რომლებიც, თითქოსდა, ტერორიზმს ებრძვიან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მას ისევ და ისევ ტერორიზმით, ძალადობითა და სისასტიკით უპირისპირდებიან.

როგორ ვებრძვით საქართველოში ტერორიზმს? – შეხვედრის მონაწილეებს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდათ. პირიქით, მათ ძირითადად ისაუბრეს იმ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორიზმისა და ძალადობის დამკვიდრებას.

**"საქართველოში ვერ ხერხდება საზოგადოების ფსიქოლოგიური მომზადება ძალადობის წინააღმდეგ, რადგან ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკა", -** არადა, როგორც მამუკა არეშიძე ირწმუნება, ყოველნაირად მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ მოსკოვში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება, ჩვენთანაც გადმოინაცვლოს. მზადყოფნაში არეშიძე გულისხმობს როგორც სპეციალური დანიშნულების ნაწილების მომზადებას, ასევე საზოგადოებისთვის ხელსაყრელი ფსიქოლოგიური ფონის შექმნას.

შეხვედრაზე მოწვეულ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებს ჟურნალისტებმა რამდენიმე შეკითხვით მიმართეს. ტერორიზმის და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი ბადრი ნაჭყებია ამ ფაქტმა აღშფოთა. **"ვერ წარმომედგინა, ასეთი უწყების თანამშრომლებს საჯარო შეხვედრაზე თუ მოიწვევდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში ისიც კი უცნობია, რომ ამგვარი უწყება არსებობს."** ბატონ ბადრის შეუძლია მშვიდად იყოს: არა გვგონია ცნობის გავრცელებამ ამგვარი ცენტრის არსებობის შესახებ, საქართველოს ავნოს. ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენელთა ვრცელი და ბუნდოვანი საუბრიდან, ამ ინფორმაციის გარდა, ჟურნალისტებმა სხვა ვერაფერი გავიგეთ.

შეხვედრაზე მრავალგზის გამოითქვა შენიშვნა მასმედიის მისამართით: **"მასმედია, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს, იგი სკანდალებს არის გამოდევნებული. სკანდალი, თავის მხრივ, ძალადობას შეიცავს... ბეჭდვითი და ელექტრონული პრესა ხელს უწყობს ძალადობის დამკვიდრებას მაშინ, როცა მასმედიის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ ელიტასთან ერთად, საზოგადოების მომზადება ევალებათ ტერორიზმის და, საერთოდ, ძალადობის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად."**

# უშიშროების ახალ დოქტრინას კრემლის "თუთიყუში" - ჟირინოვსკი ახმოვანებს

პირველი გვერდიდან

კრემლის ამ საშიში ინიციატივის პასუხად რუსეთის მემარჯვენე ძალები დაუყოვნებლივ იკრიბებიან პარლამენტში და დილის სხდომაზე აყენებენ ტერაქტის მოვლენების შემსწავლელი სადეპუტატო კომისიის შექმნის საკითხს. ხაკამადასა და ნემცოვის ეს გეგმა კოლეგებმა ჩააფლავეს. ვიცე-სპიკერმა ჟირინოვსკიმ ხაკამადას, იუშენკოვსა და ნემცოვს აუწყა, რომ 30 ოქტომბერს დუმა მიიღებს ჟირინოვსკის გეგმას, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ტერორისტებს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, ხოლო ნემცოვი და ხაკამადა სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ტერორისტებთან კავშირის გამო.

რუსეთის პარლამენტში განვითარებული კოლიზიის პარალელურად, კრემლში ძალოვნების შეკრებაზე რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გრიზლოვი აკეთებს მეტად საყურადღებო განცხადებას, მოსკოვის გარეუბანში იატაკქვეშა ტერორისტული ქსელის არსებობაზე. მოსკოვში სასწრაფოდ ჩამოდის მოსკოვის ოლქის გუბერნატორი გენერალი ბორის გრომოვი და აცხადებს, რომ იგი იწყებს უკანონო მიგრანტებთან დაუნდობელ ბრძოლას. არაოფიციალური მონაცემებით, სწორედ მოსკოვის ოლქშია მოკალათებული არალეგალთა მარვალათასიანი არმია, მათ შორის - საქართველოს მოქალაქეები, ვინც სხვადასხვა მიზეზით ვერ მოახერხა მოსკოვში კანონიერი რეგისტრაციის მიღება (ეს კატეგორია, ძირითადად, შავი მუშის სტატუსითაა რუსეთში ჩამოსული და ქალაქის მშენებლობებზე მუშაობს. სამშობლოში გასაგზავნ ლუკმა-პურის ფულს ასე აკეთებენ).

რუსეთის სპეცსამსახურებმა მუშაობა დაასრულეს. ახლა სიტყვა პოლიტიკურ ელიტაზეა. ამიტომ იმ დღესვე პუტინის პოლიტელიტის მთავარმა კოლორიტმა და კრემლის იდეების პოპულარულ ენაზე გამხმოვანებელმა, ვიცე-სპიკერმა ჟირინოვსკიმ "რია-ნოვოსტის" სააგენტოში უმალ პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე სენსაციური წინადადებებით გამოვიდა: დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას მსოფლიოს დიდ ქალაქებში ანტიტერორისტული ცენტრები, რომლებიც ტერაქტების შემთხვევაში მსხვერპლის მინიმიზირებას შეეცდებიან; ნატო უნდა გადაიქცეს მსოფლიო შეიარაღებული ძალების ცენტრად, ხოლო რუსეთისა და აშშ-ს სპეცსამსახურებმა წყნარი ოკეანის რეგიონშიც უნდა ითანამშრომლონ. იქვე ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებს წარუდგინა საკუთარი "შავი სია" იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც გადასახედია დიპლომატიური ურთიერთობები და რომლებიც "ბოროტების ღერძის" შემადგენელი სახელმწიფოებია. "თუკი აშშ-ს შეუძლია ასეთი სია ჰქონდეს, რატომ არ უნდა ჰქონდეს იგი რუსეთს?" - კითხულობს ჟირინოვსკი. ვიცე-სპიკერის სიაში ოთხი სახელმწიფოა: **საქართველო, ჩეხეთი, პოლონეთი, დანია.**

"24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჟირინოვსკი ამბობს:

**- მოსკოვში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, საქართველო უნდა ელოდოს პანკისში მოკალათებული ბანდიტების განადგურებას და იქ არსებულ ბაზებზე იერიშის მიტანას. მოსკოვს მეტი ლოდინი აღარ შეუძლია. საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებში ტერორისტთა ბაზების არსებობა ეჭვს აღარ იწვევს. ამიტომ რუსეთს სრული უფლება აქვს, პანკისის ხეობაში გამოიყენოს აშშ-ს მიერ ავღანეთში აპრობირებული მეთოდები. მოსკოვმა არ უნდა დააგვიანოს!**

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კრემლი, თავისი ერთგული "თუთიყუშის" სახით, მოსახლეობაში მსგავსი იდეების აპრობირებას რამდენიმე კვირით ადრე ახდენს, მაშინ უახლოეს მომავალში შემდეგ მოვლენებს უნდა ველოდეთ: ჩეჩნეთის მმართველობის თემის საბოლოო დახურვას ანუ კადიროვის გაპრეზიდენტებას; პრესის მოქმედ კანონში შესწორებების შეტანას ანუ უმკაცრეს ცენზურას; რუსეთის დანარჩენ ქალაქებში ანტიტერორისტული ცენტრების შექმნას. თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში, კრემლის უშუალო მითითებით, მოსკოვში კავკასიელებს ბიზნესაც აღარ მიაქირავებენ. ამის ყველა წინაპირობა, დიდი ხანია, არსებობს.

დუბროვკაზე ტერაქტის შემდეგ, მოსკოვში ეროვნებათაშორისი შუღლის ნიადაგზე, კავკასიელებთან შეტაკების რამდენიმე ფაქტი უკვე დაფიქსირდა.









ეკა ქვესიტაძის სვეტი

# ყოფიერების აუტანელი, აუტანელი სიმსუბუქე

ამბობენ, რომ ლევან მამალაძე გურიის რომელიღაც სოფელში თავის ბაბუას ძეგლს უდგამს. თუ ეს ასეა, მაშინ ქართული საზოგადოების სამარცხვინოდ შეიძლება ითქვას, რომ მას ჯერ არ სმენია პატივცემული ბაბუის საზოგადოებრივ-პროფესიული წარმატებები და ძეგლის დადგმა ისევ შვილიშვილს მოუწია. თუმცა, მამალაძე გამონაკლისი არ არის, ძეგლებით წინაპრების უკვდავყოფის ტრადიციას მანამდე "ახალმა გურულებმა" ჩაუყარეს საფუძველი, რითაც თავისი მადლიერება დაამტკიცეს იმ წინაპრების მიმართ, რომლებმაც ისეთი ქვეყანა დაუტოვეს, სადაც შვილიშვილებს არათუ ბაბუის, არამედ თავისი ნაჭამი ტყემალიც კი არ კვეთს კბილებს.

რამდენიმე ხნის წინ, როცა ავთანდილ ჯორბენაძის ოდისეას რეგიონებში საგულდაგულოდ დარიგებული ბავშვები ლექსებით შეხვდნენ და "დიდი კაცის საპატივცემულოდ" რამდენიმე უცოდველ ცხვარსაც ყელი გამოჭრეს, კომკავშირულმა ნოსტალგიამ ყველა ჭეშმარიტი ქართველის სული დაამძიმა.

ასე ამძიმებს და აფიქრებს ქართველთა სულებს ასლან აბაშიძის გაბმულ-პაუზიანი მეტყველებაც და მისი მრავლისმეტყველი მაქსიმები. მერე რა, რომ პატარა ბელადი ზოგჯერ არსებით სახელებს შესაფერის ბრუნვაში ვერ სვამს და ზმნების სწორად უღლებაც ზედმეტად ხშირად ავიწყდება.

და კიდევ ერთი გაუნელებელი შთაბეჭდილება. რკინიგზის შეფის აფიორებისადმი მიძღვნილ "60 წუთის" ბოლო გადაცემაში, ოქროს ჯაჭვებით ხელშემოსილმა მსუქანმა ბიძებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად და მილიონების "სახვეტად", გამართული ქართულის ცოდნაც კი არ არის საჭირო და პროვინციული კილო სავსებით საკმარისია.

და, რაც მთავარია, ჩვენს აფორიაქებულ სულებს ორშაბათობით მაინც ეწვევათ ნეტარების ჟამი. მაშინ, როცა სახელმწიფო რადიოს ეთერიდან პრეზიდენტი მშვიდი ხმით გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება სიზმარია, რეალობა კი - მისი მონათხრობი. ამ რეალობის მიხედვით კი ყველაფერი რიგზეა, იზრდება ძროხების წველადობა და შესაბამისად, ეკონომიკაც იფურჩქნება, ჩვენ უკვე ციფრული განვითარების ეტაპზეც გადავედით და მსოფლიო გლობალიზაციის ყველა სიკეთე ვიწვნიეთ. მერე რა, რომ ეს ვერ გაიგეს ხულოელმა ბავშვებმა, რომლებიც ასლან ბაბუს მიერ ლურჯად მოლივლივე მინებით აშენებულ საზღვაო ბანკში ისე გაოცებით და გაუბედავად ეხებოდნენ კომპიუტერებს, როგორც ბავშვობისას პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია "უცნაური ხალხის" მიერ მაკონდოს შუაგულში ჩამოტანილ ყინულს.

მაგრამ რაში აღელვებს პრეზიდენტს ციფრული განხეთქილების მიღმა დარჩენილი, გაუნათლებელი ხულოელი ან თუნდაც შატილელი ბავშვები.

მთავარია, რომ თავისი გამოგონილი ქვეყნის მას თავად სჯერა და საპარლამენტო გამოსვლისას ბოლო ათწლეულის ისტორია ჟამთააღმწერლის სიზუსტით აღწერა. ისიც არაფერი, რომ ათწლეულის მისეულ შეფასებას ცოტა რამ აქვს საერთო ხალხის მიერ აღქმულ რეალობასთან და პრეზიდენტის პროგნოზები, უბრალო მოკვდავისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ოპტიმისტურია. ამ ოპტიმიზმს განსაკუთრებით მისი დაპირება ამძაფრებს - მიღწეული წყალში რომ არ ჩაიყაროს, პრეზიდენტი თავად შეგვირჩევს მის მემკვიდრეს, ბრძენსა და ჭკუადამჯდარ კაცს.

მომავალი ათწლეულის ისტორიას კი ამ ჭკუადამჯდარ კაცთან ერთად პროვინციულკილოიანი ქართული პოლიტიკური ელიტა შექმნის. ამ ისტორიაში ხუროთმოძღვრების ახალი ნიმუშები "რამკიანი" ქურდებისა და ფულიანი პოლიციელების მიერ აშენებული მართლმადიდებლური ეკლესიები იქნება. მამალაძის ან რომელიმე ახალი გურულის ბაბუის ძეგლებს კი მაღალ ხელოვნებად აღიარებენ.

მართალია - ყოფიერების ეს სიმსუბუქე მართლაც ძალიან აუტანელია.

ახლახან, ალტერნატიულ თბილიSOS-ბისას ვახუშტი კოტეტიშვილი ახალი ლოზუნგით გამოვიდა – გავათავისუფლოთ თბილისი გოიმებისაგან.

მაგრამ არა მარტო თბილისი,

გავათავისუფლოთ ხელისუფლება გოიმებისა და კომკავშირლებისაგან.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცანით ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამუშაო ადგილი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# თბილისის მოსახლეობა ზამთარს გაზრდილი ტარიფითა და სამთავრობო დაპირებებით ხვდება

*"დათო, შენზე ამბობენ ელექტროენერგიასავით დაიკარგაო" – ასე შეეხუმრა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ კანცელარიაში გამართულ სამთავრობო თათბირზე დაგვიანებით მისულ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას. პრეზიდენტის დავალებით შექმნილ კომისიას, რომელშიც ეკონომიკური ბლოკისა და უშიშროების მინისტრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რამდენიმე პარლამენტარი და სემეკის თავმჯდომარე შედიან, 2002-2003 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მომზადება დაევალა.*

სოფო კვინტრაძე

გუშინდელ თათბირს წინ უძღოდა სახელმწიფო მინისტრისა და "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენელთა დახურული შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ ხელისუფლება ყველანაირად დაეხმარება ამერიკულ კომპანიას მომავალი ზამთრის "გადაგორებაში". "თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი არ ყოფილა ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფში განსხვავების დაფარვაზე. როგორც მოგეხსენებათ, პირველი ნოემბრიდან ერთი კილოვატ საათი ელექტროენერგიის საფასური 13,7 თეთრი გახდება. რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ გაზრდილ ტარიფში განსხვავებას მოსახლეობა არ გადაიხდიდა და მისი დაფარვა სახელმწიფო სახსრებით მოხდებოდა. გუშინდელ თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ მოსახლეობა გაზრდილ ტარიფს არ გადაიხდის. თუმცა, ჯორბენაძეს არ დაუკონკრეტებია, რა სახსრებით მოხდება ამ განსხვავების დაფარვა. შეხვედრაზე მხარეებმა მეცხრე ენერგობლოკის ამუშავებაზეც ისაუბრეს, ამისათვის გამოყოფილი რეალური სახსრები კი ჯერჯერობით არ ჩანს.

საგანგებო თათბირზე სახელმწიფო მინისტრი "თბილგაზის" აქციების თბილისელებისათვის მიყიდვის ინიციატივითაც გამოვიდა. "თბილგაზი" ახლახან მერიის დაქვემდებარებიდან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ერთობლივ დაქვემდებარებაში გადავიდა. ჯორბენაძე პირადად სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, დავით მირცხულავას, აკისრებს "თბილგაზის" მუშაობაზე პასუხისმგებლობას. თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა კი მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია, დაბალია გაყიდული გაზის ამოღების მაჩვენებელი, სამაგიეროდ, დიდია დანაკარგები, ხოლო კრედიტორული დავალიანება ათ მილიონ დოლარს აღწევს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზამთარში თბილისის გაზით მომარაგების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ალბათ, ერთადერთი, ვისაც ნამდვილად "ცხელი" ზამთარი ელის, მინისტრი დავით მირცხულავაა, რომელიც "თბილგაზის" აქციების საფონდო ბირჟაზე გატანის ინიციატივას არც ისე დიდი ენთუზიაზმით შეეგება. სამაგიეროდ, ქონების მართვის მინისტრს, სოლომონ პავლიაშვილს, უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო. სახელმწიფო მინისტრის დავალების შესრულება, ანუ "თბილგაზის" აქციების საფონდო ბირჟაზე გაყიდვასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადება, პავლიაშვილმა 25 დღეში დააპირა, რასაც ჯორბენაძის ღიმილი და მირცხულავას, ფეხზე ადგომით გამოხატული, ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, თბილისელებისათვის "თბილგაზის" აქციების მიყიდვის საკითხი დღის წესრიგში დარჩა. სახელმწიფო მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ამით მოსახლეობას "თბილგაზის" მართვაში უშუალო მონაწილეობისა და დივიდენდების მიღების საშუალება მიეცემა.

თათბირს მთლად "მშვიდობიანად" არ ჩაუვლია. სახელმწიფო მინისტრის აღშფოთება გამოიწვია დავით მირცხულავას მოხსენებამ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ. მირცხულავას განცხადებით, საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის საფასურის ამოღებული რაოდენობა მხოლოდ 28 პროცენტს აღწევს, დანარჩენს კი მოსახლეობა და საბიუჯეტო ორგანიზაციები თანაბარი მონდომებით იპარავენ. გამოსავალს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი სადისტრიბუციო კომპანიისა და ელექტროდისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი პირების თანამდებობიდან გადაყენებაში ხედავს. მანამდე ავთანდილ ჯორბენაძემ სოლომონ პავლიაშვილსა და დავით მირცხულავას იმ მოადგილეების მოხსნა მოსთხოვა, ვისაც სახელმწიფო წილების მართვა და სადისტრიბუციო კომპანიის უშუალო კონტროლი ევალება. ასე რომ, ისაკ ნავრუზოვს – სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს და ქონების მართვის მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს (ჯერ დაუდგენელია, რომელს) ზამთრის სამზადისში მონაწილეობის მიღება აღარ მოუწევთ.

როგორც სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, თუ მინისტრები ზამთრის სეზონისათვის ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებენ, მათი პასუხისმგებლობის საკითხი პრეზიდენტის წინაშე დაისმება. ეს გაფრთხილება განსაკუთრებით დავით მირცხულავას და სოლომონ პავლიაშვილს ეხებათ.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა გასცა განკარგულება, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის მეათე ენერგობლოკის აფეთქების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობას. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, კომისია შეიქმნება ზარალის დადგენისა და შესაბამისი კომპენსაციების განსაზღვრის მიზნით.

"თბილსრესის" მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას არაერთგზის გამოუთქვამს პროტესტი იმის გამო, რომ მათ არ უნაზღაურებენ არც მატერიალურ და არც მორალურად მიყენებულ ზარალს, რაც მათ 2001 წლის დეკემბერში მეათე ენერგობლოკის აფეთქების შედეგად მიადგათ. ამერიკულმა კომპანიამ "ეი-ი-ეს მტკვარმა", რომლის საკუთრებაშიცაა მეათე ენერგობლოკი, ავარიის მიზეზად გერმანული კომპანია "სიმენსის" მიერ ენერგობლოკზე დამონტაჟებული მართვის ელექტრონული სისტემის მწყობრიდან გამოსვლა დაასახელა. "ეი-ი-ეს მტკვრის" შეფასებას არ იზიარებს "სიმენსი", რომელიც ენერგობლოკის აფეთქების მიზეზების გამოძიების განახლებასა და, ამ მიზნით, ექსპერტთა კომისიის შექმნას მოითხოვს, რომლის შემადგენლობაშიც გერმანული კონცერნის წარმომადგენლებიც შევლენ.

აფეთქებისაგან დაზარალებული მოსახლეობა ითხოვს რამდენიმე მილიონი დოლარის გადახდას. კორპორაცია "ეი-ი-ესის" ვიცე-პრეზიდენტმა, თბილისში ვიზიტისას, სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამერიკული მხარე მზადაა აანაზღაუროს ზარალი, თუმცა, გარკვეულ საზღვრებში.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ახლად შექმნილ კომისიას სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე უხელმძღვანელებს. კომისიის შემადგენლობაში იქნებიან რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** სააქციო საზოგადოება "აზოტის" გენერალური დირექტორი გოგი გოგოლაძე წინააღმდეგია, ქონების მართვის სამინისტროს დაშლის შემთხვევაში, მის ნაცვლად შექმნილ რომელიმე ჰოლდინგურ კომპანიაში "აზოტის" გაერთიანებისა, რადგან, მისი თქმით, რესურსების და ფინანსური კაპიტალის გარეშე ჰოლდინგური კომპანიის ან კომპანიების მმართველი აპარატი საწარმოებს დამატებით ტვირთად დააწვება.

როგორც პრაიმ-ნიუსს გოგი გოგოლაძემ უთხრა, სახელმწიფო საწარმოების მართვის სურვილის გარდა, ჰოლდინგებს ფინანსური რესურსებიც უნდა გააჩნდეს, რათა "მკვდარი ქარხნები გააცოცხლონ", ხოლო მოქმედი საწარმოებისთვის განვითარების წინაპირობები შექმნან.

ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში მთავრობა ქონების მართვის სამინისტროს გაუქმებას და, მის ნაცვლად, რამდენიმე სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიის შექმნას აპირებს, რომელთა მმართველობაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები გადავლენ.

ანტიკორუფციული საბჭოს ამ რეკომენდაციების საფუძველი ისაა, რომ სახელმწიფო წარმოებებიდან კუთვნილ დივიდენდებს ვერ იღებს.

გოგი გოგოლაძის თქმით, მთავრობის კონცეფციით, საწარმოს მოგება ჰოლდინგმა უნდა გაანაწილოს, რაც "აბსოლუტურად მიუღებელია".

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო საწარმოს მოგების 30 პროცენტი სახელმწიფოს ბიუჯეტში შედის, 70 პროცენტი კი საწარმოს რჩება.

გოგოლაძე გამოსავლად მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზებას მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 24 - 30 ოქტომბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6418 | 0.6311 | 0.0052 |
| US$ | 1.5582 | | 0.9835 | 0.0081 |
| €uro | 1.5843 | 1.0168 | | 0.0082 |
| ¥en | 192.27 | 123.37 | 121.34 | |

### 2002 წლის 30 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1235 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3657 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4505 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1600 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2903 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1735 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0681 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4410 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2368 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0506 ლარი |

# აკაკი ჩხაიძეს კოლინ პაუელიც დაუპირისპირდა



გოგიტა ბახაიძის ფოტო



02025933-1

United States of America

DEPARTMENT OF STATE

To all to whom these presents shall come, Greetings:

I Certify That the document hereunto annexed is under the Seal of the Secretary of State of the State(s) of Maryland, and that such Seal(s) is/are entitled to full faith and credit.*

In testimony whereof, I, Colin L. Powell, Secretary of State, have hereunto caused the seal of the Department of State to be affixed and my name subscribed by the Assistant Authentication Officer, of the said Department, at the city of Washington, in the District of Columbia, this twentieth day of September, 2002.

Secretary of State

By

Assistant Authentication Officer, Department of State

*For the contents of the annexed document the Department assumes no responsibility

This certificate is not valid if it is removed or altered in any way whatsoever

*აკაკი ჩხაიძემ პრესკონფერენციაზე უარყო კოლინ პაუელის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც მის საქმიანობას შეეხება.*

პირველი გვერდიდან

აკაკი ჩხაიძე უსაფუძვლოს უწოდებს "60 წუთის" ბრალდებებს. იგი არ უარყოფს, რომ ამერიკაში მცხოვრებ ბიზნესმენ ალექსანდრე მაღლაფერიძესთან სატელეფონო საუბრების ჩანაწერებზე ნამდვილად მისი ხმა არის დაფიქსირებული, მაგრამ, მისი მტკიცებით, ეს საუბრები დამონტაჟებული და გაყალბებულია. "60 წუთის" გახმაურებული გადაცემის ავტორის, ნინო ზურიაშვილის განცხადებით კი, გადაცემაში გამოყენებული აუდიო ჩანაწერების უტყუარობაზე აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს (FBI) მიერ 2001 წლის თებერვალში გაცემული ოფიციალური ცნობაც მოწმობს, რომელშიც აღნიშნულია: **"გაცნობებთ, რომ ბატონმა მაღლაფერიძემ მიმართა ამ ოფისს 10 თვის წინ და განაცხადა, რომ იგი იღებდა სასიკვდილო მუქარებს საქართველოს მთავრობის თანამდებობის პირისაგან. ამ ოფისმა გამოიკვლია და დაადგინა, რომ ბატონ მაღლაფერიძეს და მის ოჯახს ემუქრება თანამდებობის პირი, რომლის სახელია ბატონი აკაკი ჩხაიძე, რომელსაც, როგორც გაირკვა, კავშირები აქვს რუსეთის უმაღლესი დონის ორგანიზებულ დანაშაულის წარმომადგენლებთან. აღნიშნულმა პირმა ბატონ მაღლაფერიძისგან ფულის გამოძალვა სცადა, საბოლოოდ კი დაემუქრა, რომ მოკლავდა მას და მისი ოჯახის წევრებს".** გარდა ამისა, ზურიაშვილის თქმით, FBI-ს ეს ცნობა დადასტურებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და, კერძოდ – სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის მიერ. ასე რომ, ზურიაშვილის აზრით, ჟურნალისტურ გამოძიებაში გამოყენებული მასალების ეჭვქვეშ დაყენებით, ჩხაიძეს, ფაქტობრივად, აშშ-ს ოფიციალური პირებისა და უწყებების დასკვნებში შეაქვს ეჭვი.

რაც შეეხება გადაცემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც აკაკი ჩხაიძისა და ბიზნესმენ მაღლაფერიძის სატელეფონო საუბრისას კიდევ ერთი ქართველი მაღალჩინოსნის, ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის, თემურ ბასილიას სახელის მეტად საეჭვო კონტექსტში გაჟღერებას გულისხმობს, ჩხაიძე მასაც თავისებურ ახსნას აძლევს. მისი განცხადებით, მაღლაფერიძესთან საუბრისას იგი კრედიტის "გახერხებისთვის" ბასილიასთვის სამპროცენტიანი წილის გადახდაზე კი არა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან სამპროცენტიანი კრედიტის აღებაზე საუბრობდა. ზურიაშვილი ჩხაიძის ამ არგუმენტს აბსურდულად მიიჩნევს. **"ჩანაწერის მიხედვით, აშკარაა, რომ ჩხაიძესა და მაღლაფერიძეს შორის მიმდინარე საუბარი არაოფიციალური წილების განაწილებას ეხება და არა კრედიტის საპროცენტო განაკვეთებს. თანაც, არც ჩხაიძის, არც მაღლაფერიძისა და არც ბასილიას გადასაწყვეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის, თუ რა საპროცენტო განაკვეთით გამოყოფდა ესა თუ ის საფინანსო ინსტიტუტი კრედიტს კონკრეტული პროექტისთვის"**, - აცხადებს ზურიაშვილი.

გადაცემის ავტორის აზრით, "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ვერც ერთი ბრალდების გაქარწყლება ვერ შეძლო. გადაცემაში ნახსენები ოფშორული კომპანია "არგომარის" უკან, ავტორთა განცხადებით, აკაკი ჩხაიძე დგას და იგი, ამ კომპანიის მეშვეობით, საეჭვო ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს. "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი "არგომართან" ყოველგვარი კავშირის არსებობას უარყოფს, თუმცა არ მალავს, რომ კომპანიამ სახელწოდება ("არგომარი") მისი ქალიშვილის, მარიანას სახელის შემოკლებული ფორმის, "მარი"-ს, მიხედვით მიიღო.

ზურიაშვილს ასევე არადამაჯერებლად მიაჩნია ჩხაიძის მიერ საბურთალოზე, სპორტის სასახლის უკან, ქალაქის მერის ვანო ზოდელავას ხელშეწყობით, 55 ათას ლარად სამი ჰექტარი მიწის ნაკვეთის შეძენის ფაქტის უარყოფაც. ჩხაიძის განცხადებით, ამ ტერიტორიაზე მას მხოლოდ 1500 კვადრატული მეტრის ფართი ეკუთვნის. თუმცა, ზურიაშვილი აღნიშნავს, რომ გადაცემაში მოყვანილი ფაქტი მის მიერ საქალაქო სამსახურში მოპოვებულ საბუთებს ეყრდნობა.

"60 წუთის" ჟურნალისტი "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორს მხოლოდ ერთ საკითხში (ამ საქმესთან დაკავშირებულ ძიებაში ჟურნალისტური ჯგუფის ჩართვასთან დაკავშირებით) ეთანხმება, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი კოლეგების მიერ ჩატარებული გამოძიებაც იგივე შედეგებით დასრულდება.

# ნატიკ ალიევი: "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლა დასაშვებია, მაგრამ მიზანშეწონილი არ არის"

*როგორც ცნობილია, 22 ოქტომბერს ლონდონში ევრობანკის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოპერატორს "ბრითიშ პეტროლიუმს" ბუნების დაცვის ღონისძიებები დაუწუნეს. საქმე ისაა, რომ ნავთობსადენმა ბორჯომის ხეობა უნდა გადაკვეთოს. მილსადენიდან ნავთობის გაჟონვის შემთხვევაში, "ბორჯომის" წყალს "ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის" იმიჯი შეელახება, ბორჯომის უნიკალური ხეობა კი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.*
*შექმნილი მდგომარეობიდან ორი გამოსავალია: პირველი - მარშრუტი უნდა შეიცვალოს. თუ ნავთობსადენი სამხრეთით გადაინაცვლებს, პროექტი სამოცი კილომეტრით შემოკლდება და "ბორჯომსაც" საშიშროება აღარ დაემუქრება. სამაგიეროდ, დაიკარგება დრო ახალი მარშრუტის შესწავლასა და დამტკიცებაზე, ეს კი, თავის მხრივ, დამატებით ხარჯებს გამოიწვევს.*
*მეორე - მარშრუტი არ უნდა შეიცვალოს და "ბიპიმ ბორჯომში გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დამატებითი" ღონისძიებები უნდა გაატაროს.*
*ამასთან დაკავშირებით "24 საათმა" ინტერვიუ სთხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის - "სოქარის" პრეზიდენტს, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნატიკ ალიევს.*

მაია ურუშაძე

**- რა უფრო გააძვირებს პროექტს – მარშრუტის შეცვლა თუ უსაფრთხოების ზომების გამკაცრება?**

- უპირველეს ყოვლისა, ამ პროექტს დიდი ეკონომიკური დატვირთვა აქვს. უდავოა, რომ ნავთობსადენი უსაფრთხო უნდა იყოს, საიმედო და ჰერმეტული. ამისთვის არსებობს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაპროექტებისას ყველა ეს სტანდარტი დაცული იყო. ნავთობსადენი დაპროექტდა მსოფლიო ბანკის მონაწილეობით და ყველა იმ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ანალოგიურ პროექტებთან მიმართებაში მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება.

**- მაგრამ ბორჯომის ხეობის შემთხვევაში, საუბარია მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლის საერთაშორისო იმიჯის შელახვაზე...**

- რასაკვირველია, ნებისმიერ ტერიტორიას საკუთარი თავისებურებები აქვს. დაამუშაო, ააშენო და განახორციელო ამ მასშტაბის პროექტი ისე, რომ გაითვალისწინო გარემოს დაცვის ყველა წვრილმანი, ეს, პრინციპში, შეუძლებელია. რატომ? იმიტომ, რომ მიუხედავად პროექტის ავტორთა დიდი ძალისხმევისა, ნებისმიერს შეუძლია თქვას: "ნავთობსადენი კვეთს რომელიღაც მდინარეს. თუ იქ უცებ ნავთობი გაჟონავს ან რაიმე სხვა შემთხვევა მოხდება, როგორ დავიცავთ თავს?" მესმის, რომ საუბარია უნიკალურ ნაკრძალზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის მარშრუტი, რომელიც უკვე დამტკიცდა, სწორად არის შერჩეული. დღეს მე მაქსიმალურად გავეცანი იქაურ ეკოლოგიურ გარემოს, ბორჯომის რაიონს, ბორჯომის ნაკრძალს, იმ ადგილებს, სადაც, შესაძლოა, გარემოზე მილსადენის ზემოქმედება დიდი იყოს. შემიძლია ვთქვა, რომ "ბიპის" მიერ ყველა სტანდარტი დაცულია. თუმცა, რადგან პრეტენზიები მაინც არსებობს, მივიღებთ დამატებით ზომებს იმისათვის, რომ გარემოს დაცვითი ღონისძიებები უფრო საიმედო და უსაფრთხო იყოს.

**- დასაშვებია თუ არა, რომ მარშრუტი შეიცვალოს?**

- მე არ ვიტყოდი, რომ მარშრუტის შეცვლა შეუძლებელია. პრინციპში, ეს დასაშვებია. მაგრამ ჩვენ ამ მარშრუტს დიდხანს და გულმოდგინედ ვარჩევდით, ბოლოს კი ერთობლივად მივედით ამ გადაწყვეტილებამდე. "ბი-პის" უმიზეზოდ არ აურჩევია ეს მარშრუტი, ეს ერთობლივად მოხდა.

**- მოქმედებდა თუ არა არჩევანისას პოლიტიკური ფაქტორები?**

- რასაკვირველია, იყო მრავალი ასპექტი და ფაქტორი, რამაც ამ მარშრუტის არჩევა განაპირობა.

**- როგორ შეიძლება იმოქმედოს პროექტზე, ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებამ?**

- დღეს მარშრუტის შეცვლა იმას ნიშნავს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებამ გაურკვეველი დროით უნდა გადაიწიოს – ორი-სამი ან მეტი წლით. ამან კი, შესაძლოა, ნავთობსადენის მარშრუტის კიდევ უფრო გაძვირებამდე მიგვიყვანოს. არა იმიტომ, რომ უფრო ძვირი დაჯდება მილსადენის მშენებლობა, არამედ იმიტომ, რომ დრო, რომელიც იხარჯება, დიდი ფული ღირს. ასეთ შემთხვევაში, მარშრუტს ხელახლა დასჭირდება შესწავლა, დამტკიცება. ხელახლა მოგვიხდება ამ პროექტის განხილვა და შეთანხმება, არა მარტო დონორებთან, არამედ ყველა იმ ორგანიზაციასთან – გარემოს დაცვის თუ სხვა, ვისთანაც პროექტი ერთხელ უკვე შეთანხმდა. ეს კი, მთლიანობაში, პროექტის დაფინანსებაზე და იმ ბანკებთან ურთიერთობაზე აისახება, რომლებმაც ამისთვის თანხები უნდა გამოყონ. ამიტომ, შემიძლია ვთქვა, რომ მარშრუტის შეცვლა მიზანშეწონილი არ არის.

# ნავთობსადენის მშენებლობაზე 70 ათასი ადამიანი დასაქმდება

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" ("ბი-თი-სი კო") მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობისთვის, ტენდერის საშუალებით, უკვე შერჩეულია ორი კომპანია: ფრანგული "სპი კაპაგი" და ამერიკული "პეტროფაკი". 5 ნოემბერს კი ფოთის პორტში მშენებლობისთვის განკუთვნილი მილებით დატვირთული პირველი გემი შემოვა. დღეს მთავრობის გაფართოებული სხდომა გაიმართება, სადაც ნავთობსადენის დირექტორთა საბჭოსთან ერთად გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხების გარდა, ნავთობსადენის მშენებლობისთვის საჭირო ტვირთების ტრანსპორტირების გზებზეც იმსჯელებენ. განიხილება საქართველოს რკინიგზის, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების, ასევე, საქართველოს საჰაერო და სახმელეთო მაგისტრალების გამოყენების საკითხი.*

მაია ურუშაძე

გუშინ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" დირექტორთა საბჭომ თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" კიდევ ერთხელ განიხილა გარემოს დაცვის უსაფრთხოებისა და მოსახლეობისათვის მიწის კომპენსაციების გაცემის საკითხები. პირველი საკითხის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა, ნავთობსადენის ოპერატორ კომპანია "ბი-პის" კი თავისი პროგრამა, მოსახლეობისთვის მიწისა და მოსავლის კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებით, უკვე მზად აქვს. **"ჩვენს მიერ დამუშავებული რეკომენდაციები და პირობები, რის მიხედვითაც მიწას შევისყიდით, წინასწარ დაურიგდება ნავთობსადენის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. იმედია, ეს დოკუმენტი არა მარტო მათ, არამედ მსოფლიო ბანკსაც დააკმაყოფილებს,"** – იმედს გამოთქვამს მილსადენის კომპანიის პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი.

დოკუმენტში ზუსტად არის აღწერილი, თუ რა პრინციპებით მოხდება მოსახლეობისგან მიწის შესყიდვა. წინასწარი ინფორმაციით "ბიპი" მოსახლეობისგან მიწას საკმაოდ მაღალ ფასებში შეისყიდის. გარდა იმ ტერიტორიისა, რომელზეც ნავთობსადენმა უნდა გაიაროს, მშენებლობის პროცესში "ბიპის" დამატებითი ტერიტორიებიც დასჭირდება.

"ბიპის" უკვე გადაწყვეტილი აქვს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხიც. მილსადენის მშენებლობის პროცესში კომპანია იმ რაიონების მოსახლეობას დაასაქმებს, სადაც მშენებლობა უშუალოდ გაივლის. საბოლოოდ გაირკვა ისიც, რომ ნავთობსადენის მშენებლობაზე 70 ათასი ადამიანი უნდა დასაქმდეს. ამ ციფრის დაკონკრეტებისგან "ბიპი" დიდხანს იკავებდა თავს.

რაც შეეხება მშენებლობაში ქართული კომპანიების მონაწილეობის საკითხს, "ბიპი" მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიწვევს, თუ ქართული კომპანიების მიერ მილსადენის კომპანიისთვის შეთავაზებული პირობები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ხელსაყრელი იქნება. "ბიპის" უკვე მზად აქვს ცვლილებები, რომლებიც საქართველოს მხარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს.

არის კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი, რამაც ნავთობსადენის მშენებლობას ხელი უნდა შეუწყოს. მთავრობათაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ნავთობსადენის მშენებლობა გადასახადებისგან სრულიად გათავისუფლებული უნდა იყოს.

ამ და სხვა საკითხების ოპერატიული მოგვარებისათვის უახლოეს მომავალში შეიქმნება პრეზიდენტის საგანგებო კომისია. ის ნავთობსადენის მშენებლობის დროს კოორდინაციას გაუწევს სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების შეთანხმებულ მოქმედებას.

ცალკე მსჯელობის საგანია ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხები. **"უახლოეს ათ წელიწადში კასპიის აზერბაიჯანულ სექტორში 18-20 მილიარდი დოლარი ჩაიდება. არავინ დაუშვებს, რომ ეს თანხები დაიკარგოს",** – აცხადებს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია.

შეგახსენებთ, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აქციონერები დიდი ბრიტანეთის, აზერბაიჯანის, აშშ-ს, ნორვეგიის, თურქეთის, იტალიის, საფრანგეთისა და იაპონიის მსხვილი ნავთობკომპანიები არიან.

# ჩეჩნეთი ახალი სისხლისღვრის მოლოდინშია

*მოსკოვის კრიზისის ტრაგიკული დასასრულის შემდეგ მოსალოდნელია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩნეთის მორიგ სამხედრო კამპანიას ახალი ძალითა და ენერგიით შეუდგეს, რათა მომავალი არჩევნების წინ პოლიტიკური ქულები დააგროვოს.*

ლევან ღირსიაშვილი



*რუსეთის არმია ჩეჩნეთში გადამწყვეტი სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად ემზადება.*

მოსკოვში, მელნიკოვის ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, პუტინმა რუსეთის არმიის გენერალურ შტაბს ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებათა ტაქტიკის შეცვლა მოსთხოვა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რას უნდა ნიშნავდეს "ტაქტიკის შეცვლა".

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნების მიერ მძევლების აყვანის პირველივე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა თავის მთავრობას და რუსეთის მოქალაქეებს მოუწოდა, არ აყოლოდნენ ტერორისტების პროვოკაციას და ჩეჩნებსა და რუსებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივებისთვის არ შეეწყოთ ხელი, რუსეთის დედაქალაქში, სპეცოპერაციის "წარმატებით" დასრულებისთანავე, ჩეჩენი ეროვნებისა და სხვა კავკასიელების წინააღმდეგ რუსმა სამართალდამცავებმა, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, რუსმა სამართალდამცავებმა ჩეჩნების რამდენიმე დანაშაულებრივი დაჯგუფება დააკავეს. მოსკოვში გამკაცრებულია საპასპორტო-სავიზო რეჟიმი. პირებს, რომლებიც ქალაქში რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ, აკავებენ და ადმინისტრაციულ სასჯელს აკისრებენ. ზოგიერთი რუსული წყაროს ცნობით, მოსკოვში მცხოვრებ ჩეჩენი ეროვნების მამაკაცებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებში იბარებენ და აღრიცხვაზე აჰყავთ, ზოგს კი, უბრალოდ, აპატიმრებენ, ვიდრე "რაიმე გაირკვევა."

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება – დაწესებულია მკაცრი ცენზურა. ცხადია, რუსეთის ხელისუფლება არც ჩეჩნურ მასმედიას დაინდობდა. უკვე გუშინ აღარ ფუნქციონირებდა ჩეჩნური ინტერნეტ-საიტები. ინფორმაცია ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხოლოდ რუსული საინფორმაციო არხებით ვრცელდება.

ჩეჩნეთში კი რუსეთის არმია გადამწყვეტი სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად ემზადება. ამასთან ერთად, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ცნობებს ჩეჩენი მებრძოლების გააქტიურების შესახებ. კერძოდ, გუშინ გავრცელდა ცნობა გუდერმესისა და შოლკოვოს რაიონებში ჩეჩენ მებრძოლთა დივერსიული რაზმების გამოჩენის შესახებ, რის აღსაკვეთადაც რუსეთის არმიის დანაყოფები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი.

გარდა ამისა, რუსეთის მასმედიის ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები გროზნოში, ლენინის რაიონში, სამგზავრო ავტობუსს დაესხნენ თავს, რის შედეგადაც დაიჭრნენ მძღოლი და ერთი მგზავრი. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია ჩეჩნების მიერ ნავთობით დატვირთული ეშელონის აფეთქების შესახებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნური დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროები ფაქტობრივად ბლოკირებულია, გუშინ რუსულმა მასმედიამ იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის განცხადება გაავრცელა, სადაც ის რუსეთის პრეზიდენტს მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს. **"ის, რაც მოსკოვში მოხდა, საშინელი ომის პირდაპირი შედეგია, რომელიც ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ჩეჩნური პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა შეუძლებელია,"** -- აცხადებს ჩეჩნეთის პრეზიდენტი. ამასთანავე, ის დასძენს, რომ იჩქერიის ხელისუფლებას მოსკოვში მძევლების აყვანის ფაქტთან საერთო არ აქვს. **"მძევლების აყვანის დროს პრეზიდენტი პუტინი არჩევანის წინაშე იდგა. პირველი, გონივრული გადაწყვეტილება – მოლაპარაკებების დაწყება და ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლის ხსნა და მეორე, არაგონივრული – შტურმი და საკუთარი პოპულარობის შენარჩუნება იყო. მან, სამწუხაროდ, არაგონივრული გადაწყვეტილება მიიღო,"** - ასკვნის მასხადოვი.

პრეზიდენტი პუტინი, რასაკვირველია, მასხადოვთან მოლაპარაკებებზე არ წავა. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის არმიას ტაქტიკის შეცვლის ბრძანება მისცა. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო ვერსიას გვთავაზობს "გაზეტა.რუ": **"გენერლებს, პრეზიდენტის მოთხოვნით, ორი ვარიანტის განხორციელება შეუძლიათ. ერთის მხრივ, ეს შესაძლოა იყოს ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციების დაწყების ახალი გეგმა. ასეთ შემთხვევაში გენშტაბის მიერ დაგეგმილი ოპერაცია ჩეჩნური წინააღმდეგობის ლიდერების, შამილ ბასაევისა და ასლან მასხადოვის, მოძებნასა და ლიკვიდირებაზე იქნება მიმართული, რომელთა მოსკოვის ტერაქტში მონაწილეობაშიც რუსეთის სპეცსამსახურებს ეჭვი არ ეპარებათ. მეორეს მხრივ, სამხედროებს შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე პრევენტული დარტყმების განხორციელების დეტალური გეგმა მოამზადონ, სადაც, შესაძლოა, ჩეჩენ მოჯაჰედთა მსხვილი რაზმები იმალებოდნენ. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მოვსარ ბარაევის დაჯგუფებამაც მომზადება სწორედ საქართველოში გაიარა,"** – ნათქვამია "გაზეტა.რუ"-ს საიტზე. ეს თვალსაზრისი იქვე გრძელდება: **"პუტინს აქვს მაგალითი: 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ჯორჯ ბუშმა შურისძიების განხორციელებისთვის კონკრეტული ქვეყანა – ავღანეთი აირჩია. ვაშინგტონმა თალიბებს მათი მხრიდან შეუძლებელი პირობების შესრულება მოსთხოვა და უარის შემდეგ დაიწყო სამხედრო მოქმედებები. მოსკოვსაც შეუძლია, რომ საქართველოს მოსთხოვოს აგვისტოში დაკავებული რვა ჩეჩენი ბოევიკის გადაცემა. თუ თბილისი კვლავაც გააგრძელებს იურიდიული ნორმების დაცვას, კრემლს შეუძლია მეორე, უფრო მეტად შეუსრულებელი ულტიმატუმი წამოაყენოს – პანკისის ხეობაში რუსეთის სამხედრო ძალების შესვლა."**

რასაკვირველია, "გაზეტა.რუ"-ს აღნიშნული ვერსია მხოლოდ ვერსიად რჩება და საეჭვოა, რომ რუსეთმა საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტი გააჩაღოს. მაგრამ ის, რომ რუსეთის არმია ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციების განხორციელებას დაიწყებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრი (მოსკოვის თეატრში დატრიალებულ ტრაგედიამდე) ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. დასავლეთის პრესაშიც უკვე ძლიერდებოდა პუტინის ხელისუფლების კრიტიკა ჩეჩნეთში "ანტიტერორისტული ოპერაციის" გაჭიანურებისა და იქ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო. მოსკოვის კრიზისმა პრეზიდენტ პუტინს ეს არასასურველი ტენდენცია თითქმის მთლიანად აარიდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებულ ოპერაციას ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა, დასავლეთის ლიდერებმა პუტინს ცალსახად დაუჭირეს მხარი. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ჩეჩნების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყებისთვის ვიზა უკვე მიიღო, როგორც დასავლეთის ლიდერებისაგან, ასევე რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობისგან. თანაც, რუსეთის ხელისუფლებამ ამ შეტევის დასაწყებად ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორზე – სიტყვის თავისუფლებაზე – უმკაცრესი ცენზურა დააწესა. ახლა მას წინ უკვე ვეღარაფერი დაუდგება. ძნელი სათქმელია, დაიბრუნებენ თუ არა რუსი ჟურნალისტები დაკარგულ თავისუფლებას

ამას მოწმობს გუშინ პრეზიდენტ პუტინის მიერ რუსი ძალოვანებისთვის მიცემული დავალება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის რედაქტირების თაობაზე. კონცეფციის რედაქტირებული ნაწილი რუსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების გამოყენების დაკანონებას შეეხება. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთიდან თავდაცვის სამინისტროს ძალების გამოყვანა გაგრძელდება, მაგრამ იმავდროულად გაგრძელდება იმ ნაწილების გაძლიერება, რომლებიც რესპუბლიკაში მუდმივად რჩებიან. ეს კი სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთიდან არმიის გაყვანას და ჯარის პოლიციით ჩანაცვლებას უკვე აღარ აპირებს. ივანოვის განცხადებით, საარმიო ნაწილებს **"ბანდფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამოიყენებენ".**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტება ჩეჩნეთში ომისა და სისხლისღვრის დაწყების შედეგად მოხდა, რისთვისაც შესანიშნავი ფონი რუსეთის ქალაქებში სახლების აფეთქებებმა და ისევ ასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვამ შექმნა. ეს აფეთქებები რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩენ ტერორისტებს მიაწერა (თუმცა, ამასთან დაკავშირებით აღძრული საქმეები დღემდე არ არის გახსნილი) და რუსეთის მოსახლეობაში ანტიჩეჩნური განწყობილება მკვეთრად გააძლიერა; შემდეგ კი ჩეჩნეთში არმია შეიყვანა. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის მოსახლეობისთვის პუტინის – როგორც ძლიერი და ენერგიული მმართველის - იმიჯი სწორედ ჩეჩნურმა კამპანიამ შექმნა. ცხადია, ამ იმიჯის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივი "კვება" ესაჭიროებოდა. ამის გარეშე მისი რეიტინგი დაეცემოდა და მოახლოებულ არჩევნებში გამარჯვებას გაურთულებდა. ახლა კი ყველაფერი "თავის ადგილზე დადგა." რუსეთში ანტიჩეჩნური განწყობა კვლავ იზრდება. პუტინს ჩეჩნეთში ახალი და ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად ხელს უკვე ვერაფერი შეუშლის. რუსეთის სამხედრო მანქანა ახალი დარტყმებისთვის ემზადება. ერთადერთი ვინც ამას შეეწინააღმდეგება, ალბათ, ისევ ჩეჩენი მებრძოლები იქნებიან.

შეიძლება ითქვას, რომ კრემლმა უკვე დაიწყო დიპლომატიური შეტევა ჩეჩნების წინააღმდეგ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე კიდევ ერთხელ დააყენა ჩეჩენთა მოძრაობის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების საკითხი. რუსები ამერიკელებისგან ტერორიზმთან ბრძოლაში "ორმაგ სტანდარტებზე" უარის თქმას მოითხოვენ. სახელმწიფო დეპარტამენტი 1999 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოში ტერორისტული ორგანიზაციების ნუსხას, რომელშიც შედიან "ალ-ქაიდა", "ჰესბალა" და სხვები. ჩეჩენთა მოძრაობა მიმდინარე წლის მარტში გამოქვეყნებულ ნუსხაში შეტანილი არ ყოფილა.

# ჩეჩნეთში კიდევ ერთი ვერტმფრენი ჩამოაგდეს

სამშაბათს, ხანკალის აეროპორტის სიახლოვეს, ჩეჩენმა მებრძოლებმა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი კიდევ ერთი მი-8 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი ჩამოაგდეს. წინასწარი მონაცემებით, ვერტმფრენს რაკეტა გადასატანი საზენიტო დანადგარიდან მაშინ ესროლეს, როდესაც საფრენი აპარატი აეროდრომზე დაშვებას აპირებდა. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურეს რუსმა სამხედროებმა. ოფიციალური ცნობების მიხედვით, დაიღუპა ეკიპაჟის სამი წევრი და მათი თანმხლები ოფიცერი.

თვითმხილველთა ცნობით, მიწაზე დაშვების წინ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგაც საფრენი აპარატი მცირე ხნით თავისი ღერძის გარშემო დატრიალდა, შემდეგ კი მიწას დაენარცხა და აფეთქდა.

ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა რუდნიკ დუდაევმა საერთოდ უარი განაცხადა მომხდარის კომენტირებაზე – "ვერ გამიგია, როგორ უნდა ჩამოაგდონ ვერტმფრენი ხანკალის აეროდრომის სიახლოვეს, სადაც ამდენი შეიარაღებული ძალაა თავმოყრილი", – მხოლოდ ამის თქმა ჩათვალა საჭიროდ დუდაევმა.

ეს უკვე მერვე ვერტმფრენია, რომელიც წელს ჩამოვარდა ჩეჩნეთში. მსხვერპლის (ძირითადად, სამხედრო პირების) საერთო რაოდენობა 180-ს უნდა აღემატებოდეს.

27 იანვარს "სტანცია შელკოვსკაიასთან" კატასტროფა განიცადა მი-8 ტიპის ვერტმფრენმა. დაიღუპა 14 ადამიანი, მათ შორის – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

3 თებერვალს ჩამოვარდა მესაზღვრეების კუთვნილი მი-24 ტიპის საბრძოლო ვერტმფრენი, რომელსაც რამდენიმე დაჭრილი მესაზღვრე ვლადიკავკაზში გადაჰყავდა. ეკიპაჟის ბედი დღემდე უცნობია.

7 თებერვალს ხანკალის აეროდრომიდან აფრენისას მართვა დაკარგა მი-8 ტიპის ვერტმფრენმა და მიწაზე დაშვებისას აალდა. შვიდი მგზავრი, მათ შორის სპეცრაზმელები დაიღუპნენ.

19 აგვისტოს მოხდა რუსეთის არმიის ისტორიაში ვერტმფრენის ყველაზე დიდი კატასტროფა – რაკეტის გასროლით ჩამოაგდეს სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი მი-26, დაიღუპა 124 ადამიანი.

31 აგვისტოს ჩამოაგდეს საბრძოლო-მოიერიშე ვერტმფრენი მი-24. ეკიპაჟის ორივე წევრი დაიღუპა.

6 სექტემბერს სოფელ გალაშკისთან ბრძოლების დროს ჩეჩნებმა ჩამოაგდეს კიდევ ერთი მი-24 ტიპის ვერტმფრენი. ეკიპაჟის ორივე წევრი დაიღუპა.

17 ოქტომბერს სოფელ კომსომოლსკოესთან კატასტროფა განიცადა შინაგანი ჯარების მი-8 ტიპის ვერტმფრენმა, რომელიც თერგში ჩავარდა. ვერტმფრენში მყოფი 22 მილიციელი და ეკიპაჟის სამი წევრი დაიღუპა. ვერტმფრენის კატასტროფის ზუსტი მიზეზი დადგენილი არ არის, არ გამორიცხავენ ტერაქტსაც.

# რუსეთი „იჩქერიის წარმომადგენლობის" დახურვას მოითხოვს

სამშაბათს, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმირ გუდევმა განაცხადა, რომ მოსკოვი თბილისისაგან იჩქერიის ჩეჩნური რესპუბლიკის არაოფიციალური წარმომადგენლობის დახურვას მოითხოვს.

ელჩმა გამოთქვა იმედი, რომ "მოსკოვში მომხდარი ტერაქტი უფრო მეტად აიძულებს სახელმწიფოებს ტერორიზმის წინააღმდეგ ითანამშრომლონ". გუდევის თქმით, საქართველო და რუსეთი მსოფლიო ანტიტერორისტული კოალიციის წევრები არიან და აღებული აქვთ ვალდებულება, არ შესთავაზონ თავიანთი ტერიტორია ტერორისტებს და არ შეუწყონ ხელი საერთაშორისო ტერორისტების მოქმედებებს.

გუდევი სულ მალე, ნოემბერში, თავის მოღვაწეობას საქართველოში დაასრულებს. თავის შემცვლელზე, ვლადიმირ ჩხიკვიშვილზე საუბრისას გუდევმა განაცხადა, რომ რუსეთის ელჩის ქართული წარმოშობა "ცალსახად შეუწყობს ხელს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას".

*(Gazeta.ru).*

# პენტაგონი: რუსეთის სპეცსამსახურებმა ოპიატი გამოიყენეს




ლევან ღირსიაშვილი

მოსკოვში, მელნიკოვის ქუჩაზე, მძევლების გასათავისუფლებლად ჩატარებული ოპერაციის დროს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული გაზი ოპიუმის შემცველ ძლიერმოქმედ საძილე საშუალებას წარმოადგენდა. ამის შესახებ ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა გაავრცელა.

მოსკოვში ამერიკის საელჩომ დასავლელ ექიმებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ოპერაციის დროს გამოყენებული იყო არა ნერვული სისტემის დამადამბლავებელი გაზი, როგორც ამას ადრე ვარაუდობდნენ, არამედ - ოპიატი.

მისი გამოყენების მიზანს ჩეჩენი მებრძოლების მდგომარეობიდან გამოყვანა და დაუძლურება წარმოადგენდა. თუმცა, ჩეჩნებთან ერთად, ოპიატის მსხვერპლი ასობით მძევალი გახდა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ ნივთიერებას არა მარტო ტკივილების გაყუჩება და მგრძნობელობის დაქვეითება შეუძლია, არამედ კომის გამოწვევა და სასუნთქი ორგანოების მუშაობისა და სისხლის მიმოქცევის შეჩერებაც. ხშირ შემთხვევაში, ამ გაზის შესუნთქვა სიკვდილით მთავრდება.

ლონდონში გამომავალი "თაიმსის" ინფორმაციით, მიუნხენში გერმანელმა ექიმებმა ორი გერმანელი ყოფილი მძევლის ორგანიზმში მეორე ძლიერმოქმედი ნივთიერების - ფენტანილის - კვალი აღმოაჩინეს, რომლის დიდი დოზით გამოყენება ასევე იწვევს ადამიანის სიკვდილს.

პენტაგონის ინფორმაციის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება კვლავ თავს იკავებს გაამჟღავნოს გამოყენებული პრეპარატის სახელწოდება. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ ამერიკა და სხვა ქვეყნები რუსეთის ხელისუფლებას დაჟინებით სთხოვენ დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სპეცგაზის თაობაზე. **"ჩვენ ვცდილობთ ამ ინფორმაციის მიღებას. ეს პირველ რიგში ექიმებს ესაჭიროებათ. ჯერ რუსეთის ხელისუფლებისგან პასუხი არ მიგვიღია,"** განცხადა ბაუჩერმა.

მიუხედავად იმისა, რომ მძევლების გასათავისუფლებლად ჩატარებული ოპერაციის შედეგად რუსეთის სპეცრაზმმა თავად მძევალთა დიდი რაოდენობა გაანადგურა, მათ შორის ერთი ამერიკის მოქალაქე, ოფიციალური ვაშინგტონი თავს იკავებს რუსეთის ხელისუფლების კრიტიკისაგან. **"პრეზიდენტი ბუში მწუხარებას გამოთქვამს მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის გამო. თუმცა, მას ესმის, რომ ეს ტრაგედია ტერორისტების ბრალია,"-** განაცხადა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა არი ფლეიშერმა.

## მოკლედ

**რუსეთი.** მოსკოვის კრიზისის დროს დაზარალებული 140-მდე მძევალი რეაბილიტაციის კურსს რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს სანატორიუმებში გაივლის. ადგილები გამოიყოფა რეაბილიტაციის ცენტრში, აგრეთვე, სანატორიუმებში "ბარვიხა", "პოდმოსკოვიე" და "ზაგორსკიე დალი".

■ ■ ■

**რუსეთი.** გუშინ პრეზიდენტმა პუტინმა მძევლების გათავისუფლებაში დახმარებისთვის საჯაროდ გადაუხადა მადლობა ბლოკ "იაბლოკოს" ლიდერს გრიგორი იავლინსკის. მადლიერება პრეზიდენტმა იავლინსკისთან პირადი შეხვედრის დროს გამოხატა. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იავლინსკიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრიზისის დროს, მაგრამ ამით პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება არ უცდია.

■ ■ ■

**პალესტინა.** პალესტინის ავტონომიის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მოიწონა მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც იასირ არაფატმა წარმოადგინა. პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა სცადა რეფორმების აქტივიზირება და არაფატის ხელისუფლების შეზღუდვა, მაგრამ - უშედეგოდ. სექტემბერში პარლამენტმა არაფატის კაბინეტი აიძულა გადამდგარიყო კორუფციისა და არაკომპეტენტურობის ბრალდებების გამო. მიუხედავად ამისა, რამალას შტაბ-ბინაში არაფატის ათდღიანმა ბლოკადამ ხელახლა გააძლიერა არაფატის პოზიციები პალესტინელებს შორის.

■ ■ ■

**აშშ.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ძიან ძემინმა კმაყოფილება გამოთქვა ამერიკაში თავისი ვიზიტის შედეგების გამო. უახლოეს ხანებში ძიან ძემინი პოლიტიკურ ძალაუფლებას თავის მემკვიდრეს დაუთმობს. პრეზიდენტ ბუშთან უკანასკნელი მოლაპარაკებები ძიანისათვის წარმატებული გამოდგა. მას საბოლოოდ აპატიეს 1989 წლის ტიანანმენის მოედნის სისხლიანი მოვლენები. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკა ერთიანი ჩინეთის პრინციპს უჭერს მხარს და ტაივანის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდის. სამაგიეროდ, ძიანმა აღიარა, რომ კორეის ნახევარკუნძული ბირთვული იარაღისაგან უნდა გათავისუფლდეს.

■ ■ ■

**ვიეტნამი.** ხელისუფლების ცნობით, სულ ცოტა, 54 ადამიანი დაიღუპა ვიეტნამის ქალაქ ხოშიმინის სავაჭრო ცენტრში მომხდარი ხანძრის შედეგად. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ხანძრის მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ხანძარი გაჩნდა შენობაში, რომელშიც, ძირითადად, კომპანიების ოფისებია განლაგებული. პოლიციის ცნობით, შენობაში იმყოფებოდა ბევრი ადამიანი, რომლებმაც გარეთ ვერ გამოაღწიეს. ხანძრის ჩასაქრობად, დაახლოებით, 40 სახანძრო რაზმის მობილიზება გახდა საჭირო, მაგრამ სტიქია რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც მძვინვარებდა. ხანძრის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია.

ფოსტა

# დიდი დიღმის გაზიფიკაცია
## ანუ სათემო მმართველობის პირველი ნაბიჯები

*რამდენიმე ხნის წინათ კომპანია "ტაჰალის" ჰოლანდიელმა სპეციალისტებმა მოინახულეს ახალი სქემითა და მეთოდით გაზიფიცირებული დიდი დიღმის საცხოვრებელი კორპუსები. აღნიშნეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პირველი წარმატებული ცდაა, ასეთი არსად შეხვედრიათ და მოიწონეს იგი.*
*ამჟამად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს დასახლების პირველი და მეორე მიკრორაიონების გაზიფიცირება (უკვე გაზიფიცირებულია და გაზი მიეწოდება 23 საცხოვრებელ კორპუსს, მშენებლობის პროცესშია 7 კორპუსი). მიმდინარე წელს, ნოემბრის ბოლომდე უნდა დამთავრდეს მე-3 და მე-4 მიკრორაიონების საშუალო წნევის გაზსადენების მშენებლობის სამუშაოები (მერიის დაფინანსება).*
*პარალელურად მიმდინარეობს მე-3 მიკრორაიონის მე-4 და მე-6 კორპუსების გაზიფიცირების პროექტებისა და მშენებლობის სამუშაოები. მუშაობის ტემპი დამოკიდებულია მოსახლეობის ფინანსურ შესაძლებლობასა და მათ აქტიურობაზე.*

ჯემალ წერეთელი

*სათემო საზოგადოება "დიდი დიღმის" გამგეობის წევრი, შპს "დიდი დიღმის" დირექტორი*

თბილისის დასახლებათა შორის დიდი დიღმის დასახლება ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა (12-15 წწ). იგი მდებარეობს თბილისის ცენტრიდან მცირე მანძილით (15 კმ) დაშორებულ, მაგრამ განცალკევებულად მდებარე ზონაში, რომლის გაზიფიცირება პროექტით თავიდანვე არ ყოფილა გათვალისწინებული.

დასახლების წინაშე მდგარი ენერგეტიკული თუ სხვა სოციალური პრობლემების მოსაგვარებელი გზების გამოსანახად, დასახლებაში მცხოვრები რამდენიმე პიროვნების (ცნობილი დისიდენტი, ეროვნული მოძრაობის სათავეებთან მდგარი ბატონი ავთანდილ იმნაძე; მეცნიერი-არქეოლოგი, ქალბატონი ნინო მირიანაშვილი; ინჟინერი, ბატონი ჯემალ ლალიაშვილი და სხვა) თაოსნობითა და მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა "დიდი დიღმის მოსახლეობის წარმომადგენელთა კავშირი" - სათემო საზოგადოება "დიდი დიღომი".

სპეციალისტებთან, ენერგეტიკოსებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა დასახლების იაფი ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფაა. მივმართეთ ქალაქის მერიასა და სს "თბილგაზს", სადაც გვიპასუხეს, რომ ისინი სათანადო თანხის (3,5 მილიონი ლარი) უქონლობის გამო, პერსპექტივაშიც კი "უძლური არიან, მოახდინონ დიდი დიღმის დასახლების გაზიფიცირება".

მოსახლეობასთან მრავალგზის შეხვედრებზე, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მაჟორიტარი დეპუტატი რევაზ ადამია, გადაწყდა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ მოსახლეობის სახსრებით დასახლების გაზიფიცირებაა. ამ წინადადებით საზოგადოების საინიციატივო კომიტეტმა მიმართა თბილისის მერს ვანო ზოდელავას, რომელმაც გაიზიარა ეს მოსაზრება და ამ თუ დასახლების სხვა პრობლემების მოგვარებაში ყოველმხრივ ხელშეწყობას შეჰპირდა.

იქვე დათქვეს, რომ სათემო ორგანიზაცია მოაგვარებდა დახარჯული ბუნებრივი გაზის ღირებულების მოსახლეობიდან ამოღების პრობლემას და ქალაქის ისედაც მწირ ბიუჯეტს დიდი დიღომი ტვირთად არ დააწვებოდა.

ქალაქის მთავრობამ მიიღო დადგენილება "დიდი დიღმის დასახლების გაზიფიცირების, კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

"თბილქალაქპროექტს" დაევალა დიდი დიღმის მთლიანი გაზიფიცირების პროექტის შექმნა და ბინების გაზიფიცირების სამუშაოების ღირებულების განსაზღვრა.

გაზიფიცირების სამუშაოები, პირობითად, ორ მიმართულებად დაიყო:

1. დასახლების საზღვრებამდე მომავალი, ძველი, მაგისტრალური გაზსადენის აღდგენისა და საშუალო წნევის შიგაკვარტალური გაზსადენის მშენებლობა (საერთო ღირებულება - 200 ათასი ლარი);

2. დაბალი წნევის შიგაკვარტალური გაზსადენის მშენებლობა და საცხოვრებელი კორპუსების გაზიფიცირება (საერთო ღირებულება - 2 მილიონ 240 ათასი ლარი).

პირველი მიმართულების სამუშაოების დაფინანსება 200 ათასი ლარის ოდენობით მერიამ გადაწყვიტა, ხოლო მეორე მიმართულების - 2 მილიონ 240 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების დაფინანსება მოსახლეობას უნდა ეკისრა (ამ შემთხვევაში, ბინის გაზიფიცირებისა და დამაკავშირებელი დაბალი წნევის გაზსადენების საპროექტო ღირებულება, ერთ ბინაზე გაანგარიშებით, 335 ლარს შეადგენს).

სათემო შეკრებებზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, გაზიფიცირების მსურველ მობინადრეს გაზიფიცირების ღირებულება თავისი სახელით შეაქვს დასახლებაში მდებარე საფოსტო ბანკის სპეციალურ ანგარიშზე სამ ეტაპად (200, 75 და 60 ლარი. სულ - 335 ლარი).

საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა 60-70 პროცენტის მიერ გაზიფიცირების პირველი შესატანის ბანკის ანგარიშზე აკუმულირების შემდეგ შპს "დიდი დიღომი" "თბილქალაქპროექტს" უკვეთავს სახლისა და თითოეული ბინის გაზიფიცირების პროექტს, რომლის მიღების შემდეგ, გაზიფიცირების დარგში მომუშავე, პატენტის მქონე და პროფესიონალ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციასთან ფორმდება სახლის გაზიფიცირებისა და დამაკავშირებელი დაბალი წნევის გაზსადენების მშენებლობის სამუშაოების შესრულებაზე შესაბამისი ხელშეკრულება. სამუშაოების ეტაპების შესაბამისად, შემსრულებლის ანგარიშზე ბანკის მეშვეობით ირიცხება სამუშაოების ღირებულება; ჩვენივე სპეციალისტებით ხორციელდება კონტროლი, რომ სამუშაოები პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს და პროექტის ფარგლებში ხორციელდება მშენებლისა და მობინადრის ურთიერთშეთანხმება.

ამავე დროს, თბილისის გაზმომარაგების სისტემისა და სქემების გაცნობამ, მომხმარებლისა და ინკასატორების ურთიერთშეთანხმებით გაზის დატაცებისა და მრიცხველების ჩვენებათა გაყალბების მასობრივად დამკვიდრებულმა პრაქტიკამ ნათელი გახადა, რომ იმ სქემით, რომლითაც თბილისი იყო გაზიფიცირებული და მოხმარებული გაზის ღირებულების ამოღების (დისტრიბუციის) არსებული მეთოდით (სახელგატეხილი და კორუმპირებული ინკასატორების ინსტიტუტი) დასახულ მიზანს ვერ მივაღწევდით და თბილისს კიდევ ერთი არგადამხდელი უბანი დაემატებოდა.

ჩვენ შევიმუშავეთ დახარჯული ბუნებრივი გაზის ღირებულების მომხმარებლიდან ამოღების სრულიად განსხვავებული მეთოდი; უარი ვთქვით ინკასატორების ინსტიტუტზე და ფულის ხელზე აღებაზე.

ჩვენმა მეთოდმა მოითხოვა, ბინები გაზიფიცირების განსხვავებული სქემით დაგვეპროექტებინა, რაც შეასრულა "თბილქალაქპროექტმა" და, უკვე წელიწადზე მეტია, წარმატებით ხორციელდება დიდ დიღომში.

მეთოდი მოიწონა სახელმწიფო კანცელარიამ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ.

სემეკის მიერ გაცემული მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების შესაბამისად, შპს "დიდი დიღომი" სს "თბილგაზთან" გაფორმებული ხელშეკრულებითა და სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით "თბილგაზიდან" შეისყიდის ბუნებრივ აირს და მიაწოდებს მომხმარებელს.

დისტრიბუციის ზემოთ აღნიშნული მეთოდის დანერგვით, მიღწეულია ის, რომ დახარჯული ბუნებრივი გაზის ღირებულებას, კომპიუტერული ქვითრით, თვით მობინადრე დასახლებაში მდებარე საფოსტო ბანკში იხდის.

მეთოდმა საშუალება მოგვცა, დროულად გამოგვევლინა და აღგვეკვეთა შიგა ქსელებში გაზის ჟონვითი დანაკარგები. მოგვესპო მრიცხველების ჩვენებათა გაყალბებისა და სხვა გზებით გაზის დატაცების შემთხვევები, რის შედეგადაც მივაღწიეთ დახარჯული გაზის ღირებულების 96-97 პროცენტის მომხმარებლიდან ამოღებას (შეადარეთ სს "თბილგაზის" 33-პროცენტიან მაჩვენებელს) და დასახლებისთვის მიწოდებული გაზის მთელი ღირებულების მომწოდებლისთვის ("თბილგაზი") დროულ გადახდას.

ახლა, როდესაც განიხილება "თბილგაზის" რეორგანიზაციისა და პრივატიზაციის მრავალი მიმართულება, როგორც წესი, ისევ უცხოელებისკენ გვიჭირავს თვალი და არავინ ფიქრობს, რომ ჩვენი წამოწყება თბილისის სხვა დასახლებებსა და უბნებში დაინერგოს.

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძე დღეს 65 რაიონის გამგებელს სპეციალურ წერილებს გაუგზავნის თავიანთ რაიონებში მაწანწალა ცხოველების პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრის მოთხოვნით. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა განაცხადა, ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გასულ კვირას გარდაბნის რაიონში მაწანწალა ძაღლის მიერ დაკბენილი 17 წლის მოზარდის ცოფით გარდაცვალების ფაქტი გახდა. მისი თქმით, დაზარალებულს ცოფის საწინააღმდეგო მხოლოდ ერთი ინექცია გაუკეთდა და ამის შემდეგ იგი სამედიცინო დაწესებულებაში არ გამოცხადებულა. ამასთან დაკავშირებით სამედიცინო კონტროლის ინსპექცია კვლევას აწარმოებს და იმ შემთხვევაში, თუ მოზარდის დაღუპვა ექიმთა არაკომპეტენტურობის ბრალია, მაშინ ისინი პასუხს აგებენ. 2002 წლის გასული 10 თვის მონაცემებით საქართველოში ჰიდროფობიით (ცოფი) დაავადების 8 შემთხვევა დაფიქსირდა (2001 წლის განმავლობაში კი 10). საერთოდ 2002 წელს კი ცხოველთაგან დაზარალებულთა რიცხვმა მიაღწია 17 728-ს. მათგან ჰოსტექსპოზიციური პროფილაქტიკური ანტირაბიული მკურნალობა ჩაუტარდა 11 651. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელობა აღშფოთებულია რაიონში მაწანწალა ძაღლების მომრავლებით. რამდენიმე დღის განმავლობაში შესაბამისმა სამსახურებმა გაანადგურეს 150 მაწანწალა ძაღლი, რომლებიც ცოფის გავრცელების საფრთხეს ქმნიდნენ. შესაბამისი სანიტარული სამსახურის თავგამოდებულმა თანამშრომლებმა ერთი ძაღლის სკალპში 3 ლარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთში არ მოქმედებს არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც წინ აღუდგებოდა ძაღლების ამგვარი მეთოდით განადგურებას. თავის დროზე ცხოველების დამცველმა ცნობილმა მსახიობმა ბრიჯიტ ბარდომ მიმართა წერილით საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა ძაღლების ამგვარი ფორმით ჟლეტა, რაც შესრულდა კიდეც. თუმცა, მიუხედავად მაწანწალა ძაღლების ტოტალური განადგურების ფაქტების არსებობისა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველოში, მაინც ვერ მიაგნეს მეთოდს, თუ როგორ გაუმკლავდნენ ცოფის გამავრცელებელ ძაღლებს ცივილური ფორმებით. **კავკას-პრესი**

# „გამგეობაში დახმარების ნაცვლად შეურაცხყოფას ვღებულობთ"
## აცხადებენ მრავალშვილიანი დედები

*გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი საკუთარ გამგებელს ირაკლი ქორიძეს მათთვის კუთვნილი თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. ისინი ქორიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას და პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ. გუშინ ამ რაიონის ორმოცდაათამდე მაცხოვრებელმა ტრადიციულ ადგილას, მერიის წინ, საპროტესტო აქცია მოაწყო.*

ეთერ მამულაშვილი

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალაქის პრემიერის გია შერაძის 20 ოქტომბრის განკარგულებით, მრავალშვილიანი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება - ასი ლარის ოდენობით. გუშინდელი აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ბოლო ერთი კვირის მანძილზე მათ გამგეობას, კუთვნილი თანხების მისაღებად, უკვე რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ იქიდან ყოველთვის უარით ისტუმრებენ, მარტივი და ტრადიციული მიზეზით, რომ გამგეობას ფული არა აქვს. მოსახლეობის მტკიცებით, გამგებელმა ირაკლი ქორიძემ იმ ასი ოჯახის დაკმაყოფილება გასულ პარასკევს შეძლო, რომლებიც გამგეობასთან არიან "შეკრულები". "გამგეობამ ამ ას ოჯახზე ფული, ჩვენგან უჩუმრად, ღამით თორმეტ საათზე გასცა. ჩვენ კი გვეუბნებიან, ფული არ არის და ჩვენი ჯიბიდან ხომ არ მოგცემთო", - გვითხრა ექვსი შვილის დედამ დიანა ბერიშვილმა. მისივე თქმით, გამგებელმა ირაკლი ქორიძემ გუშინ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და "საცემადაც გამოიწია, მაგრამ მილიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დააკავა, მემუქრებოდა - მოგკლავ, არ გაცოცხლებო. ახლა სარჩელს შევადგენ და მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოვითხოვ", - ამბობს ბერიშვილი, რომელსაც გამგებელი აქციის ორგანიზატორობაში სდებს ბრალს.

გუშინდელი აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ გამგებლისგან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიჩვეულები არიან. "შენ და შენს ქმარს შვილების გაჩენის გარდა სხვა საქმე არ გქონდათო? სახლში ტელევიზორი ან სხვა გასართობი არ გაქვთო? ვის იმედზე აჩენდი შვილებსო? ასეთ კითხვებს მისვამდა გამგებელი, როცა ჩემი შვილებისთვის ფულად დახმარებას ვითხოვდი", - შეწუხებულია 32 წლის, ხუთი შვილის დედა ასლამაზოვი რიტა, რომელსაც გამგეობაში მისვლაც კი ერიდება.



*მრავალშვილიანი დედები მოწყალების მოლოდინში.*

# დემოკრატიული ფორუმების კვირეულმა თეატრალური ტენდენცია გამოამჟღავნა

*28 ოქტომბრიდან დაიწყო და ოთხ დღეს გაგრძელდება გაერთიანებულ დემოკრატთა ფორუმები. დღეს კულტურის, მედიცინისა და აგრარული სფეროების წარმომადგენლებს შეხვდებიან, 1 ნოემბერს კი სპორტის სასახლეში შედგება კონვენტი.*

ეთერ ჩიბოზიძე
ლელა მარზიანი

გუშინ ჯერ სამეფო უბნის თეატრში, შემდეგ კი თეატრალურ სარდაფში გაერთიანებულმა დემოკრატებმა მორიგი ფორუმები მოაწყვეს. სამეფო თეატრში ზურაბ ჟვანია და მისი დასი ახალგაზრდა დემოკრატების ფრთას ხვდებოდა, სარდაფში კი, გენდერული პოლიტიკის ჯგუფის ინიციატივით, - ქალებს.

ახალგაზრდა დემოკრატები თბილისის ყველა რაიონიდან შეკრებილიყვნენ. იქ იყვნენ ეროვნულ-დემოკრატთა, ტრადიციონალისტების, სოციალისტური პარტიის ახალგაზრდული გაერთიანებების წარმომადგენლები, სტუდენტები და ეროვნულ უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. "ფორუმიდან ფორუმზე დავდივართ, ყველა შესაძლო მიმართულებით გაშლილი გვაქვს ფართო ფრონტი", - ასე შეაფასა ამ დღეებში თავისი საქმიანობა გაერთიანებული დემოკრატების ხელმძღვანელმა ზურაბ ჟვანიამ. მან ისაუბრა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული ახალგაზრდული პოლიტიკა, რომ ქვეყანა დალაგდეს და მომავალ თაობას ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეს: "არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პარტიაში შეხვალთ, მთავარია, აიღოთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა. ჩვენ გიყურებთ, როგორც ექსპერტებს და ველით თქვენს რჩევებს კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად", - თქვა ჟვანიამ.

"უფროს თაობას პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენ ისეთ ქვეყანაში უნდა ვიცხოვროთ, როგორიც ჩვენ გვინდა", - ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ახალგაზრდებმა თეატრალურ სარდაფში, სადაც შეხვედრა-დისკუსია გაიმართა თემაზე „ქალი და საზოგადოებრივი ცხოვრება".

საგარეო ურთიერთობათა მდივანმა მარინა ასათიანმა აღნიშნა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, პირველ რიგში, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ყოველ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვა გამოიხატება იმაში, თუ რამდენად არ იზღუდება მისი სოციალური აქტივობა. ქალი სოციალურად ნაკლებად დაცულია, შესაბამისად – სოციალურად ნაკლებად აქტიური. სწორედ ამ პრობლემის მიზეზებზე სასაუბროდ მიიწვიეს „დემოკრატებმა" სხვადასხვა სოციალური ფენისა და ასაკის ქალბატონები.

ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ დაგეგმილ ფორუმთა შორის ქალთა ფორუმი სრულიად განსხვავებულია, რადგან სხვა შეხვედრებზე, ასე თუ ისე, წარმოდგენილი აქვთ პრობლემის მოგვარების გზები. აქ სულ სხვა მდგომარეობაა. „ჩვენ ამ შეკრებას ვუყურებთ, როგორც დასაწყისს. იგი გახდება რეგულარული და ჩვენ, „გაერთიანებული დემოკრატები", მზად ვართ, ქალთა პრობლემები გავითავისოთ - ჩვენ იარაღი ვართ თქვენს ხელში და, გთხოვთ, იარაღი კარგად და სწორად გამოიყენოთ", - ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი მოკლე სიტყვა სხვა დროს ენაწყლიანმა ჟვანიამ.

ქალებმა კი „არ დაინდეს" უმცირესობაში მყოფი ქალები: „ჩვენი დემოკრატიული ხელისუფლება იძულებულია, აღიაროს ქალთა პრობლემების არსებობა საქართველოში... და ამაზე შეჩერდეს".

მამაკაცებმა „გააპროტესტეს" ქალების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და აღნიშნეს, რომ საქართველო არ იცნობს ქალთა პრობლემებს, რადგან ჩვენ ვართ ის ქვეყანა, სადაც საზოგადოებამ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დაასრულა დისკუსია ამ თემაზე ცნობილი სიტყვებით „ლეკვი ლომისა სწორია...", გაგვაგებინეთ და გავიგებთო", - სთხოვეს მამაკაცებმა ქალებს.

ცნობილმა ჟურნალისტმა ნანა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ამომრჩეველთა 53 პროცენტი ქალია. ამიტომ, გასაგებია ნებისმიერი პარტიის ინტერესი ქალების მიმართ.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლებში დაღუპულ და ინვალიდ მეომართა მეუღლეების კავშირის თავმჯდომარემ მანანა მებუკემ ზურაბ ჟვანიას და მის გუნდს დახმარება სთხოვა მათ კავშირში გაერთიანებული ქალებისთვის სოციალური დახმარების მხარდაჭერაში.

დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ სტატისტიკური მონაცემები ქალთა მდგომარეობის შესახებ შემაშფოთებელია: ოფიციალურ უმუშევართა 60 პროცენტს შეადგენენ ქალები, ისინი პროცენტულად ნაკლებად არიან სახელისუფლო სტრუქტურებში, ბიზნესში, ქვეყნის მმართველობაში. მდგომარეობას ვერ ცვლის ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ქალია.

ფორუმზე მოწვეულ ქალბატონებს დაურიგდათ სპეციალური ფურცლები, რომლებზეც მათ უნდა აღენიშნათ ქალთა პრობლემები. იქვე გაკეთდა ბლიც-ანალიზი. გამოიკვეთა, რომ ქალებს არა აქვთ არჩევანის უფლება, სუფევს საყოველთაო უმუშევრობა, ისინი დაუცველად გრძნობენ თავს, აკლიათ თვითრეალიზაცია, ოჯახში განიცდიან ძალადობას, დაბალია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის დონე.

დისკუსიაში მონაწილე ქალებმა სთხოვეს „გაერთიანებულ დემოკრატებს", უყურადღებოდ არ დატოვონ მათი პრობლემები.



*"გაერთიანებული დემოკრატების" კვირეულის პირველი დღე.*



# მერია და პრეზიდენტის ფონდი პირობის შესრულებას ორი თვით აგვიანებს

*ორი თვის ლოდინის შემდეგ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა სალიკვიდაციო ფონდმა, შეპირებული 2,5 მლნ-დან, ჯერჯერობით, მხოლოდ 100 ათასი ლარი მიიღო. ეს თანხა მერიის ბიუჯეტიდან გამოიყო. მერიის ფინანსური სამმართველო ირწმუნება, რომ წლის ბოლომდე 1 მლნ. ლარს მთლიანად გადარიცხავს. რაც შეეხება პრეზიდენტის ფონდიდან შეპირებულ 1,5 ლარს, სახელმწიფო მინისტრის მოთხოვნის შემდეგ ფინანსთა სამინისტრო ამ თანხის გადარიცხვას 10 ნოემბრამდე აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ფონდს ასეთი პირობა მისცა და მისი ხელმძღვანელობაც იმედოვნებს, რომ სექტემბრის დასაწყისში მისაღებ თანხას ორი თვის შემდეგ მაინც მიიღებს.*

ნანა ქადაგიშვილი

ამ 2,5 მლნ. ლარით ფონდი, უპირველესად, განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფი, 75 დაზარალებული ოჯახის ბინით დაკმაყოფილებას აპირებს. ოღონდ, ჯერ ძნელია თქმა, წინა ეტაპზე მიღებულ მწარე გამოცდილებას გაითვალისწინებს თუ არა. მართალია, ფონდში პირველად შესული 1900 ათასით ნაყიდი 256 ბინიდან ცარიელი მხოლოდ 5 ბინაღა დარჩა, მაგრამ ამ ბინების "გასაღებას" ფონდმა თვეზე მეტი მოანდომა. დაზარალებული მოსახლეობა ქალაქის გარეუბნებში ნაყიდ ბინებში შესვლაზე უარს აცხადებდა და დროებით საცხოვრებელს საკუთარ უბანში მოითხოვდა. არადა, ფონდმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმით გათვალისწინებული 190 ბინის ნაცვლად, 256 შეიძინა - მართალია, გარეუბნებში და იაფად, სამაგიეროდ, შეძლებისდაგვარად, მეტი. ასეთი შედეგით მერია და სახელმწიფო მინისტრი ცალ-ცალკე ტრაბახობდნენ, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობამ ფონდს შრომა ლამის წყალში ჩაუყარა. ბინებს ჩვენთვის თუ ყიდულობენ, ჩვენი ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონო, - მოითხოვენ დაზარალებულები. თუმცა, გაჭირვებამ ბევრი მათგანი დათმობაზე წაიყვანა და ლილოსა და ფონიჭალაში შეძენილ, დაწუნებულ ბინებში შესახლდნენ - ესეც არ დავკარგოთო. პრეზიდენტის ფონდმა და მერიამ პირობა ნოემბერშიც თუ ისევე შეასრულეს, როგორც სექტემბერში, დაზარალებულ მოსახლეობას ლილოც მოენატრება. მით უმეტეს, წინ ზამთარი გველის და ნოემბერში 2,5 ლარი სრულადაც რომ გადმოირიცხოს, სანამ ფონდი ბინებს მოძებნის, გადააფორმებს და დაზარალებულებს გადასცემს, ზამთარიც გავა. ამ 75 ოჯახის გარდა, ხელისუფლებისგან დახმარებას მიწისძვრის შედეგად დაზარალებული 2 000-მდე ოჯახი ელის. მათ წყალდიდობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი 15 ოჯახიც მიემატა (10 ოჯახს ფონდმა ბინები უკვე გადასცა). მართალია, ამ 2 000-დან სახლი ყველას არ დანგრევია და დღეს თავზე ჭერი მაინც აქვთ, მაგრამ როდის ჩამოენგრევათ, არავინ იცის. ასე რომ, საეჭვოა, ფონდმა მოსახლეობის მოთხოვნა 2,5 მლნ. ლარის გადარიცხვის შემდეგაც რომ დააკმაყოფილოს. ამ თანხით, ბინების ყიდვის გარდა, მესამე კატეგორიის ავარიული სახლების შეკეთებაც არის დაგეგმილი.

მერიის ფინანსური სამმართველო აცხადებს, რომ ფონდისთვის ფულის გადარიცხვა მერიას განგებ არ დაუგვიანია, უბრალოდ, ჩვეულებისამებრ, ბიუჯეტში თანხები დროულად არ შევიდა. პრეზიდენტის ფონდიდან 1,5 მლნ.-ს გამოყოფაც იგივე პრობლემასთან ყოფილა დაკავშირებული. ასეთი მდგომარეობის ფონზე, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თითქმის ნახევრად დანგრეულ ქალაქს ხელისუფლება როგორ და როდის მიხედავს.

# უშიშროების მინისტრს გაჩუმება პრეზიდენტმა უბრძანა?

## აკაკი ჩხაიძის საქმეში, FBI-ის გარდა, გენერალური პროკურატურა და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვებიან

პირველი გვერდიდან

**"ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაირღვეს დამკვიდრებული ტრადიცია – როცა არასამთავრობო სექტორმა და პრესამ შეიძლება სახელმწიფო ჩინოვნიკი ათასგვარ დანაშაულში ამხილოს და სამართალდამცველმა ორგანოებმა მამხილებელ მასალებზე არანაირი რეაგირება არ მოახდინონ. მით უფრო დროულია ამ ტრადიციის დარღვევა, რადგან ამჯერად ჩინოვნიკისთვის წარდგენილი ბრალდებები ძალზე მძიმეა. ბიუჯეტისთვის თანხების დამალვა, "შავი ფულის" გათეთრება, სიცოცხლის ხელყოფის მუქარა – თუ ეს ბრალდებები დადასტურდა, აკაკი ჩხაიძემ შესაბამისი პასუხი უნდა აგოს",** – ამბობს ნიკოლაიშვილი.



*გამოძიების მსვლელობის ობიექტურობას არასამთავროები გააკონტროლებენ.*

არასამთავრობო ორგანიზაციები გენერალურ პროკურორთან შეხვედრით იმდენად არიან კმაყოფილნი, რამდენადაც მოხერხდა აკაკი ჩხაიძის მიმართ გამოაშკარავებული ფაქტების გამო წამოწყებულ გამოძიებაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება. ნუგზარ გაბრიჩიძე დათანხმდა, რომ გამოძიების მსვლელობაზე საზოგადოებრივი კონტროლი განახორციელოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულმა ექვსკაციანმა ჯგუფმა.

**"ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი დამკვიდრებული პრაქტიკა – როცა პროკურატურა იწყებს რომელიმე გახმაურებული ფაქტის გამოძიებას და მერე ან სულაც აბსურდულ შედეგამდე მიდის, ან კი საბოლოოდ ისე ჩქმალავს ყველაფერს, რომ ამ გამოძიების შედეგები სამუდამოდ საიდუმლოდ რჩება",** – ამბობს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, რომელიც ასევე გაუწევს მეთვალყურეობას პროკურატურაში დაწყებული გამოძიების ობიექტურობას.

რაც შეეხება აკაკი ჩხაიძის მთავარ "ბრალმდებელს", ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს ალექსანდრე მაღლაფერიძეს, მის წინააღმდეგ აღძრული საქმის ძიება, წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს, ოღონდ აქამდე ამ პროცესს რატომღაც ტრანსპორტის პროკურატურა წარმართავდა. ერთადერთი არგუმენტი, რაც გამოძიების ამგვარ დაქვემდებარებას შეიძლება მოეძებნოს ის გახლავთ, რომ მაღლაფერიძის მიმართ საქმის აღძვრის საფუძველი ტრანსპორტის სფეროში დაკავებული ადამიანების, ანუ "საქართველოს რკინიგზის" ხუთი თანამშრომლის, მათ შორის, ერთი თავად აკაკი ჩხაიძის საჩივარი გახდა. ისინი მაღლაფერიძეს მათი კუთვნილი 900 ათასი ლარის მითვისებას ედავებიან.

**"ერთადერთი, რაც გენერალურმა პროკურატურამ "60 წუთის" გადაცემის შემდეგ გააკეთა, ის გახლავთ, რომ მაღლაფერიძის საქმე ტრანსპორტის პროკურატურიდან გამოითხოვა და ამიერიდან გამოძიებას გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი დაიწყებს",** – განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერმა ნანა კაკაბაძემ. მისივე თქმით, პროკურატურა ირწმუნება, რომ მაღლაფერიძის მიმართ საქმე თაღლითობის მუხლით არის აღძრული და სწორედ ამის გამო ითხოვდა იგი ამერიკელი სამართალდამცველებისგან ამ უკანასკნელის დეპორტაციას. თუმცა, თავად მაღლაფერიძე აცხადებს, რომ დეპორტაციის თაობაზე გაგზავნილ საბუთებში მის საქართველოსთვის გადაცემას ითხოვდნენ გიორგი სანაიას მკვლელობასთან კავშირის გამო. სხვათა შორის, ალექსანდრე მაღლაფერიძის დეპორტაცია ამერიკის ფედერალური სადაზვერვო ბიუროს დასკვნამ შეაჩერა. ეს დასკვნა FBI-მ მაღლაფერიძე-ჩხაიძის სატელეფონო საუბრების მოსმენის შემდეგ გამოიტანა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ მაღლაფერიძეს საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში საფრთხე ელის სახელმწიფო მოხელე აკაკი ჩხაიძისგან, რომელიც რუსეთის კრიმინალურ ავტორიტეტებთან არის კავშირში. არასამთავრობო ორგანიზაციებს საეჭვოდ მიაჩნიათ გენერალური პროკურორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მან ამ დასკვნის შესახებ არაფერი იცის. გაბრიჩიძე კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმას ამბობს, რომ მაღლაფერიძეს რამდენჯერმე გაუგზავნა გამოძიებამ კითხვარები და რადგან მას არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია, არ არის გამორიცხული, რომ მას ან საქართველოში ჩვენების მისაცემად ჩამოსვლა სთხოვონ, ან კი საგამოძიებო ჯგუფი გაგზავნონ მის დასაკითხად.

და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლებისთვის აკაკი ჩხაიძის მიმართ "60 წუთის" ეთერიდან გახმაურებული ბრალდებები მოულოდნელი სულაც არ უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ აპრილში უშიშროების მინისტრი გეგმავდა მთავრობის სხდომაზე გამოსვლასა და კორუფციული სამოხელეო დანაშაულის ფარგლებში "საქართველოს რკინიგზაზე" საუბარს.

**"... აქტივების გაცოცხლების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოყენებულია შპს "საქართველოს რკინიგზაზე" მიტმასნილი სხვადასხვა ფირმები... მარტო 2000 წლის აგვისტოში "საქრკინიგზაექსპედიციიდან" ფირმა "ოგას" არარსებული დავალიანების დასაფარად შვეიცარიის "გაერთიანებულ ევროპის ბანკში" გადარიცხულია 568 ათასი აშშ დოლარი. გარდა ამისა, ფირმა "ოგას," სხვადასხვა ორგანიზაციასთან განხორციელებული ფაქტორინგული ოპერაციებით, შპს "საქართველოს რკინიგზის" მეშვეობით მიღებული აქვს დამატებით 1,1 მლნ ლარი",** – ეს გახლავთ ამონარიდი უშიშროების მინისტრის მოხსენებიდან, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ორაზროვანი რეზოლუცია დაადო "კარგი იქნება, თუ მოახსენებთ მთავრობის უახლოეს სხდომას". მთავრობის სხდომაზე "საქართველოს რკინიგზაში" არსებული დარღვევების შესახებ არავის არაფერი მოუსმენია. როგორც ჩანს, ვალერი ხაბურძანიამ პრეზიდენტის მხრიდან მოხსენების გადავადება გაჩუმების რჩევად აღიქვა.

# ქუთაისის საოლქო სასამართლოდან პატიმრები გაიქცნენ

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამთვიანი სიმშვიდე გუშინ ქუთაისის საოლქო სასამართლოდან გაქცეულმა ორმა პატიმარმა დაარღვია.

დილით წყალტუბოს ბადრაგირების ქვედანაყოფის თანამშრომლებმა ქუთაისის №2 საპყრობილედან საოლქო სასამართლოში გადაიყვანეს პატიმრები - ელვერ გაბიანი და ავთანდილ მჭედლიძე. აქამდე ელვერ გაბიანი სამჯერ იყო ნასამართლევი, ხოლო ახლა 11 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ორჯერ ნასამართლევი ავთანდილ მჭედლიძე კი ამჯერად ყაჩაღობისთვის უნდა გაესამართლებინათ.

შესვენების დროს ბადრაგმა განსასჯელები დროებით დაკავების საკანში მოათავსა. პატიმრების გამოსაყვანად მისულ პოლიციელებს ფანჯრის გისოსები გადახერხილი დახვდათ, ოთახი კი ცარიელი.

მიუხედავად იმისა, რომ მობილიზებულია სრულიად იმერეთის პოლიცია, გაქცეულ პატიმართა ადგილსამყოფელის დადგენა, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა.

ქუთაისში ჩავიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. მათ გაქცევის გარემოებების მოკვლევა დაიწყეს.

## მოკლედ

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოს ანტიკრიმინალური ღონისძიებების გასატარებლად პოლიციის 50 საშტატო ერთეული დაემატება.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ბესიკ გიორგაშვილი აცხადებს, პოლიციის დამატებითი ძალები უშუალოდ გააკონტროლებენ ორი კვირის წინ ტყვიავში, ფხვენისსა და აძვში (მეჯვრისხევთან) გახსნილ პოლიციის დამატებით ბლოკ-საგუშაგოებს.

ამჟამად ამ ბლოკ-საგუშაგოებს სხვა რეგიონებიდან ჩამოყვანილი პოლიციელები და მთავარი სამმართველოს ძალები აკონტროლებენ.

გიორგაშვილის თქმით, 16-დან 27 ოქტომბრამდე სამართალდამცავების მიერ ჩატარებული მუშაობა შიდა ქართლის მხარეში დადებითად შეფასდა დროებითი შტაბის გუშინ გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე.

შიდა ქართლში დროებითი შტაბის ხელმძღვანელი რუბენ ასანიძე მხარს უჭერს შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ნოდარ დალაქიშვილის ინიციატივას 50 პოლიციელის საშტატო ერთეულის დამატების თაობაზე.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, რომ პოლიციის დამატებითი ბლოკ-საგუშაგოები მხარეში დარჩება მანამ, ვიდრე კრიმინოგენული ვითარება არ გაუმჯობესდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 27 ოქტომბერს გორში მცხოვრები მიხეილ მურადაშვილი დააკავეს.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ბესიკ გიორგაშვილი აცხადებს, დაკავებულმა აღიარა, რომ წლეულს, 19 მარტს, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან ირაკლი დობორჯგინიძის „ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანა გაიტაცა.

გიორგაშვილის თქმით, მურადაშვილმა ავტომანქანა ცხინვალში გადაიყვანა და, როგორც თავად ამტკიცებს, ოსებმა იქ მანქანა წაართვეს. მურადაშვილი ადრეც იყო ნასამართლევი. მიმდინარეობს გამოძიება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული პარტიზანული შენაერთის "ტყის ძმების" ლიდერი დათო შენგელია კატეგორიულად უარყოფს აფხაზური მხარის ბრალდებებს აფხაზი მებაჟეების მძევლად აყვანის შესახებ.

27 ოქტომბერს, გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში, აფხაზი მებაჟეების - კოლონიასა და კეკელიას - გაუჩინარებას აფხაზი სამართალდამცველები ქართული პარტიზანული შენაერთის, "ტყის ძმების", საქმიანობას უკავშირებენ. მათი მტკიცებით, აფხაზი მებაჟეები სწორედ დათო შენგელიასა და სლავიკ ბიგვავას 7-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა გაიტაცა და მათ გასათავისუფლებლად 100 ათასი აშშ დოლარი მოითხოვა.

დათო შენგელიას განცხადებით, აფხაზი მებაჟეების გაუჩინარებასთან ქართველ პარტიზანებს არანაირი კავშირი არა აქვთ. «ისინი რომ მართლა ჩემი ბიჭების აყვანილები იყვნენ, მათ გასათავისუფლებლად 100 ათას დოლარზე მეტს მოვითხოვდით", - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 30 ოქტომბერს, ბაქოში გაიმართება ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუუამ-ის მუშა ჯგუფის შეხვედრა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტში აცხადებენ, ღონისძიების ძირითადი თემებია - სუუამ-ისა და აგრეთვე სუუამ-სა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში სპეციალური პროექტების შექმნა.

შეხვედრაზე საგანგებო ყურადღება დაეთმობა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საზღვრების კონტროლი, სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოება და ა.შ.

შეხვედრის პირველი დღე მიეძღვნება სუუამ-ის წევრი ქვეყნების ექსპერტების სესიებსა და კონსულტაციებს, მეორე დღეს შეხვედრას აშშ-ს ექსპერტებიც შეუერთდებიან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების გახსნა, ტექნიკური მიზეზების გამო, 31 ოქტომბრამდე გადაიდო. თუმცა, იქ საგარეჯოს კოლონიიდან უკვე გადაიყვანეს 709 მსჯავრდებული.

საგარეჯოს კოლონიაში დარჩენილი 52 მსჯავრდებული სხვადასხვა დაწესებულებებში გადანაწილდება.

ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების რემონტი რამდენიმე თვის წინ დაიწყო და იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრების ხარჯზე განხორციელდა. ეს დაწესებულება დაიხურა 2001 წლის მაისში, იქ არსებული მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ ამხილა მარნეულის რაიონის ზონალური ინსპექციის სოფელ თამარისის მიწის გადასახადის ამკრეფი, ინსპექტორი უჩა გოგინავა, რომელმაც 2000-2001 წლებში თამარისის მოსახლეობისგან აკრიფა მიწის გადასახადი 21.461 ლარი, საიდანაც ბიუჯეტში 12.674 ლარი შეიტანა, ხოლო 8.787 ლარი მიითვისა.

საქმეს საოლქო პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ისან-სამგორის რაიონის პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ნაკადულის ქუჩაზე დააკავეს სამტრედიის რაიონის სოფელ გომში მცხოვრები, 18 წლის იუზა ჯულუყიძე, რომელმაც სხვა პირთან ერთად გაქურდა „საქენერგო ნავთლუღი-2"-ის ტერიტორიაზე მდებარე საელევატორო საამქრო. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი.**

# იელოველები მკალავიშვილთან შერიგებას არ აპირებენ

*მოწმე-მომჩივანთა გამოუცხადებლობის გამო უკვე ოცჯერ გადადებული ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი, გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვით დაიწყო. მომჩივანთა და განსასჯელთა მოლოდინი, რომ საქმეს ხელახალ ძიებაში დააბრუნებდნენ, არ გამართლდა. მოსამართლე შალვა კვარაცხელიამ არ დააკმაყოფილა იეღოვას მოწმეთა ადვოკატის მოთხოვნა და საქმის არსებითად განხილვას შეუდგა.*

ხათუნა ჭანჭირაშვილი

ორი დღის წინ პროცესი ისევ დაზარალებულთა და მოწმეთა გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო, რის გამოც პროკურორმა უკანასკნელი გაფრთხილება მისცა დაზარალებულებს – საქმის სასამართლო გამოძიება თუ კიდევ თქვენი გამოუცხადებლობის მოტივით გადაიდება, იძულებული ვიქნები, განსასჯელებს – ბასილ მკალავიშვილსა და პეტრე ივანიძეს - ბრალდებები ავტომატურად მოვუხსნაო. როგორც ჩანს, ეს გაფრთხილება დაზარალებულებმა ყურად იღეს და პროცესზე გამოცხადდნენ. უფრო მეტიც, მოულოდნელად ერთ-ერთმა დაზარალებულმა – მიხეილ სარალიშვილმა მკალავიშვილის წინააღმდეგ სარჩელზე უარი განაცხადა. არადა, რამდენიმე დღის წინ, როდესაც განსასჯელის ადვოკატმა დაზარალებულ მომჩივანებს შერიგება შესთავაზა, როგორც სხვა დაზარალებულებმა, სარალიშვილმაც შერიგებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. **"ამ ხალხთან ურთიერთობა აღარც სასამართლოში მსურს და არც მის გარეთ",** - ასე ახსნა დაზარალებულმა სარალიშვილმა გუშინ საჩივრის უკან წაღების მიზეზი. რაც შეეხება სხვა დაზარალებულებს და მათ ადვოკატს, მათი პოზიცია იგივე იყო: **"შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჩვენ გვსურს მკალავიშვილის დასჯა."**მოკლედ, მკალავიშვილის წინააღმდეგ არსებული ხუთეპიზოდიანი საქმიდან ერთი ეპიზოდი თავად მომჩივანის მოთხოვნით ამოვარდა, რაც განსასჯელმა მკალავიშვილმა და მისმა მრევლმა გონვრულად გადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს.



*ბასილ მკალავიშვილი და პეტრე ივანიძე გასამართლების მოლოდინში.*

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ეპიზოდს, მკალავიშვილს სასამართლოს წინაშე თავისმართლება და უდანაშაულობის მტკიცება მოუწევს. მკალავიშვილი წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და თავად მომჩივანთა გასამართლებას წინასწარმეტყველებს.

გუშინაც, როგორც წინა დღეებში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხმრავლობა და ხმაური იყო. იეღოვას მოწმეთა და მკალავიშვილის მრევლს შორის ხელჩართული ბრძოლის თავიდან ასაცილებლად, სამართალდამცველებმა დილიდანვე უსაფრთხოების ზომები მიიღეს. "ომონელები" და პოლიციელები აკონტროლებდნენ არა მარტო შენობის გარეთ დარჩენილ მკალავიშვილის მომხრეებს, არამედ ისინი შენობაშიც გადანაწილდნენ და სასამართლო პროცესის მიმდინარეობასაც თვალყურს ადევნებდნენ. გუშინდელ პროცესს კვლავ ესწრებოდნენ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები. განსასჯელისა და დაზარალებულების ადვოკატებიც კვლავ ემოციურები და ერთმანეთის მიმართ შეურიგებლები იყვნენ. სასამართლო დარბაზის ფანჯრებთან კვლავ ხატებით, ჯვრებითა და დროშებით შეიარაღებულნი, განსასჯელის მხარდამჭერები მღეროდნენ და ლოცულობდნენ. გუშინდელი პროცესი ისე დასრულდა, რომ საქმის არც ერთი ეპიზოდი არსებითად არ განხილულა. განსასჯელისა და დაზარალებულების დაპირისპირება დღეისთვის გადაიდო.

# საოჯახო ნივთების ქურდობამ მკვლელობამდე მიიყვანა

*ორჯერ ნასამართლევი 31 წლის კუკური გაჩეჩილაძე უზენაესმა სასამართლომ უკვე მესამედ გაასამართლა და თვრამეტი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, საბრძოლო ფეთქებადი ნივთიერებების შენახვისა და ხულიგნობისთვის ორჯერ სასჯელმოხდილი გაჩეჩილაძე მესამედაც იმავე დანაშაულებისთვის გაასამართლეს, რომლებსაც კიდევ ორი მძიმე ბრალდებაც დაემატა – გაუპატიურების მცდელობა და დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.*

ხათუნა ჭანჭირაშვილი

შპალერის 20 შეკვრა, სამი კომპლექტი ჩაის სერვიზი, 40 ცალი სადილის თეფში, დანა-ჩანგალთან ერთად, და თერმოსი – ეს იმ ნივთების ჩამონათვალია, რომლებიც ერთი წლის წინ კუკური გაჩეჩილაძემ ნადეჟდა ბარბაქაძის ბინის პირველი გაქურდვისას წაიღო. როგორც ჩანს, პირველ ჯერზე ყველაფრის წაღება რომ ვერ მოახერხა, გაჩეჩილაძე რამდენიმე დღეში კვლავ დაუბრუნდა ბარბაქაძის ბინას და, როგორც პირველი ქურდობისას, ახლაც მორგებული გასაღების გამოყენებით შევიდა. ამჯერად მან ბინიდან 46 ცალი სადილის თეფში, დანა-ჩანგალი, 100 ცალი ჭიქა, დიდი ქვაბი და დარჩენილი შპალერი გაზიდა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბარბაქაძის ბინიდან მოპარული ჯამ-ჭურჭელი ქურდმა სასწრაფოდ მიჰყიდა გამოძიებისთვის დაუდგენელ უცხო პირებს.

რამდენიმე თვის შემდეგ, ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში კუკური გაჩეჩილაძემ რკინის ნაჭრის გამოყენებით გატეხა საკუთარი ცოლისძმის საცხოვრებელი სახლის კარი, ცოლისძმის ჯინსის პერანგი, ორი მაისური, შარვალი, დანა, კალკულატორი, ფოტოაპარატი, 12 ცალი ბროლის ჭიქა, არყის დოქი, ორი კომპლექტი დანა-ჩანგალი, უთო, ვერცხლის ბეჭდები და საყურეები წაიღო და იმავე საღამოს სიდედრის დაკეტილ ბინაშიც "შეიარა", სადაც ადრე, წლების განმავლობაში მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. სიდედრის სახლში საკუთარი მეუღლის ცირკონისთვლებიანი ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები ჩაიწყო ჯიბეში, შემდეგ ცოლის რძლის ოთახში გადაინაცვლა და, მის საფეხმძიმო კაბასთან ერთად, ოქროეულობა, სპორტული ჩანთა და "ტიტანიკის" კოსტიუმი მოიპარა. შემთხვევით, მაგიდაზე დატოვებულ, მეზობლის გასაღებსაც წააწყდა. ცდუნებას ვერ გაუძლო, მეზობლის ბინაშიც გადაინაცვლა და უკვე უხვად შეგროვილ დანა-ჩანგალს კიდევ რამდენიმე მიუმატა, თან გაიყოლა მატყლის ორი ლეიბი და 20 კილო ლობიო, რომელიც იმ საღამოსვე ბორჯომის ბაზარში გაჰყიდა; დანარჩენი ნაქურდალი ნივთები კი, რომელთა ჩამოთვლისგან თავს აღარ შეგაწყენთ, თბილისში წაიღო და სხვადასხვა პიროვნებებს მიჰყიდა.

ერთი თვის შემდეგ, გაჩეჩილაძემ კიდევ მიაკითხა ბარბაქაძის ოჯახს. მაგრამ, ამჯერად კარი ვერაფრით გააღო და ბინის გაქურდვაც გადაიფიქრა. სამაგიეროდ, იქვე, მეზობლად თავისი ნაცნობის - ელენე სეფიაშვილის სახლის გაქურდვა მოინდომა. მან კარიდან ბინაში შესვლა ვერ მოახერხა, თუმცა აივანზე აძრომა მაინც შესძლო და ფანჯრიდან დაინახა, რომ ოთახში ელექტროგამაცხელებელი იყო ჩართული, რომელზეც წყლით სავსე დიდი ქვაბი იდგა. **"მივხვდი, რომ ბინის პატრონი მალე დაბრუნდებოდა, კარის გატეხვასა და ნივთების წაღებას ვეღარ მოვასწრებდი. გადავწყვიტე, დაველოდებოდი, თავს დავესხმოდი და ამ გზით გამეტაცებინა ნადავლი",** - ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას საოჯახო ნივთებზე მონადირე ქურდმა. ელენე სეფიაშვილი სახლში არც ისე მალე, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა. მოთმინებით მომლოდინე კუკური გაჩეჩილაძემ მას ჭიშკრიდან დაუძახა. ძველმა ნაცნობმა გაჩეჩილაძე სახლში შეიპატიჟა და გაუმასპინძლდა კიდეც. ვახშმისას, სეფიაშვილი ბუხართან მივიდა და როგორც კი ცეცხლის დასანთებად დაიხარა, გაჩეჩილაძემ იატაკიდან შეშის ნაჭერი აიღო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქალს თავში ჩაარტყა. სანამ გონებადაკარგული მასპინძელი ბუხრის წინ გაუნძრევლად ეგდო, სტუმარმა მისი სახლის "რევიზია" მშვიდად ჩაატარა. ლეიბი და საბანი, სპორტული ფეხსაცმელი, მაგიდის საათი, რადიო გაჩეჩილაძემ ჩანთაში ჩაალაგა და გაქურდული ბინის დატოვება დააპირა. ამასობაში ელენე სეფიაშვილი გონს მოვიდა და ხმამაღალი ყვირილით მეზობლებს დახმარებისთვის მოუხმო. შეშინებულმა გაჩეჩილაძემ სეფიაშვილს ხელ-ფეხი თავსაფრით შეუკრა, მაგრამ მისი გაჩუმება ვერ შესძლო და ამიტომ კიდევ რამდენჯერმე ჩაარტყა თავში შეშის ნაჭერი, მერე კი მაგიდიდან სამზარეულოს დანა აიღო და ხორხის არეში დაარტყა. მიღებული მძიმე დაზიანებების გამო, სეფიაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, გაჩეჩილაძემ კი შეგროვებული და წასაღებად გამზადებული ნივთები გაიტაცა და მიიმალა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, კუკური გაჩეჩილაძეს ელენე სეფიაშვილის გაუპატიურების მცდელობაც ედებოდა ბრალად, მაგრამ სასამართლომ ეს ბრალდება მოუხსნა, რადგან წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისად არ ჩათვალა.

სასამართლო გამოძიებისას განსასჯელმა ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ, ამასთან უარყო ბარბაქაძის ბინისა და თავისი მეუღლის სამკაულების ქურდობა.

განსასჯელის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო დანაშაულის როგორც შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებები. შემამსუბუქებლად ჩაითვალა გაჩეჩილაძის მხრიდან დანაშაულის მონანიება- საბოლოოდ კუკური გაჩეჩილაძეს თვრამეტწლიანი პატიმრობა ერგო, რომელსაც იგი მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის.

# გრანტები, აჭარა, შოუ და 82-მილიონიანი გარღვევა

*რამდენიმე დღეში საქართველოს პარლამენტის ოთხი ფრაქცია ("დემოკრატი", "ახალი მემარჯვენეები", "ნაციონალები" და "ტრადიციონალისტები"), სახელმწიფო ბიუჯეტის 82 მილიონი ლარის ოდენობის გარღვევის გამო, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამს. პარლამენტართა გააქტიურება თბილისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტს "დაემთხვა". ეს ბუნებრივია, რადგან ფონდის ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნაზე დიდადაა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა საქართველო ფონდისაგან შეღავათიანი კრედიტის მორიგ ტრანშს. "24 საათმა" დისკუსიაზე მოიწვია ფრაქცია "დემოკრატის" წევრი მიხეილ მაჭავარიანი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი და არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკო ორველაშვილი.*

გიორგი კალანდაძე
თამარ ხორბალაძე


ნიკო ორველაშვილი


ლევან ჩრდილელი


მიხეილ მაჭავარიანი

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

**"24 საათი":** ოფიციალური ინფორმაციით, ბიუჯეტის დანაკლისი 82 მილიონი ლარია და იგი, ძირითადად, ევროკავშირისგან მიუღებელი გრანტების, აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოურიცხავი თანხებისა და არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრის შეუსრულებლობითაა გამოწვეული. რაც შეეხება გარღვევის პირველ კომპონენტს, ყველაზე გავრცელებული ინფორმაციით, საქართველომ ევროკავშირის გრანტი ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცების გამო ვერ მიიღო. მეორე საკითხი თბილისსა და ბათუმს შორის პოლიტიკური და საბიუჯეტო პრობლემების მოუგვარებლობამ წარმოშვა.

**ლევან ჩრდილელი:** თავიდან გავარკვიოთ, არსებობს თუ არა რეალურად საბიუჯეტო გარღვევა. პირველი, რაც შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, ისაა, რომ, რასაც თქვენ არასაგადასახადო შემოსავლებში გარღვევად ნათლავთ, შეიძლება ჩამორჩენა ვუწოდოთ. არასაგადასახადო შემოსავლების ჩამორჩენის დაძლევა საკმაოდ რეალურია, იმიტომ, რომ მისი შევსება, ძირითადად, დივიდენდების ხარჯზე ხდება, დივიდენდები წლის ბოლოს ითვლება და, არა მგონია, ამ კუთხით გარღვევა წლის ბოლომდე დარჩეს.

რაც შეეხება აჭარის თემას - ეს რეალური პრობლემაა, თუმცა, ბევრი ფაქტორის გამო, არ შეიძლება, ცალკე აღებულ ან ალმასრულებელ, ან საკანონმდებლო ხელისუფლებას დავაბრალოთ ამ პრობლემის მოუგვარებლობა.

და ბოლოს - გრანტები: რა თქმა უნდა, პიტერ შოუ და ევროგაერთიანებისგან მიუღებელი გრანტები ქვეყნის პრობლემაა, თუმცა ამ გრანტების მიღების იმედს საბოლოოდ ნუ გადავიწურავთ.

რაც მთავარია, მახსოვს ხუთი თვის წინ ბევრი ექსპერტის შეფასება, რომ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა არარეალურად არის დაგეგმილი და იგი 25 მილიონი ლარით უნდა შემცირდესო. დღეს უკვე სავალუტო ფონდის მისიამ აღიარა, რომ ფონდის პარამეტრი, მინიმუმ, ხუთი-ექვსი მილიონი ლარით გადაჭარბდება. ძალიან მადლიერი ვარ სავალუტო ფონდის ამ ნდობისთვის. "არარეალური" გეგმა რეალური გახდა, რაც რეალური ადმინისტრირების ხარჯზე მოხერხდა.

**"24 საათი":** ანუ, დაგეგმვის დროს შეცდომები არ ყოფილა?

**ლევანი ჩრდილელი:** დაგეგმვის დროს შეცდომები არ არსებობს. ერთადერთი, რაც სავსებით ცალსახად ჩამოყალიბდა პრობლემად, ესაა ცენტრალური ბიუჯეტის მიერ რეგიონიდან თანხების მიუღებლობა. ეს პრობლემა, უკვე ოთხი წელია, არსებობს. ან ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს, ან დაგეგმვის ნაწილში იქნება სერიოზული ცვლილებები შესატანი.

**"24 საათი":** ევროგაერთიანებიდან ფულის მიუღებლობის მიზეზად, გარდა პიტერ შოუს გატაცებისა, კიდევ რა შეიძლება დასახელდეს?

**ლევან ჩრდილელი:** რაც შეეხება ევროგაერთიანების გრანტს, მისი გადმორიცხვის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. ოფიციალურად გრანტის მიუღებლობის მიზეზი არ ფიქსირდება. გრანტის გადმორიცხვის პროცესის შეჩერება მხოლოდ პიტერ შოუს მიზეზით მოხდა, თუ სხვა მიზეზებით, ეს ჩემი შესაფასებელი არ არის, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ქვეყანას ევროკავშირის წინაშე ფინანსური ვალდებულებები არ ჰქონდა დარჩენილი.

**"24 საათი":** ბატონო მიხეილ, თქვენც თვლით, რომ წლევანდელ ბიუჯეტს პრობლემები არ აქვს, ბიუჯეტი არ გაირღვევა?

**მიხეილ მაჭავარიანი:** ოფიციალურად, სანამ ფინანსური წელი არ დამთავრდება, რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ ბიუჯეტი გარღვეულია. თუმცა, ფაქტია, რომ არსებობს 82-მილიონიანი საბიუჯეტო ჩამორჩენა.

ადრეც, როცა მე ვიყავი მინისტრი, და დღესაც, უშუალოდ საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი სრულდება და სავარაუდოდ, მომავალშიც შესრულდება. ეს არის ადგილობრივი, ცენტრალური და ფონდების შემოსავლების ჯამი. მაგრამ ფაქტია, რომ მოუგვარებელია ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პრობლემა, როგორიცაა აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადმოურიცხაობა. ეს მთავრობის, და არამც და არამც, მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს, გადაუწყვეტელი პრობლემაა.

ამ პრობლემის მოუგვარებლობა პოლიტიკური ნიშნებით ხდება. ჩემი მინისტრობის დროს, 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის მაისამდე, როდესაც აღდგა აჭარიდან თანხების გადმორიცხვა, პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებამ საბიუჯეტო სიტუაციის მოწესრიგებას შეუწყო ხელი. მაშინ მართლაც გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი და შედეგად, ჩვენ რეგიონიდან თანხები მივიღეთ ცენტრალურ ბიუჯეტში, ისევე, როგორც ის ხარჯები გავწიეთ, რაზეც მაშინ შევთანხმდით. ამიტომ ეს მთელი მთავრობის პრობლემაა - არა იმდენად ფინანსთა სამინისტროსი, არამედ სახელმწიფო მინისტრისა, რომელიც მოვალეა, გადაჭრას ეს პრობლემა და ასევე - ქვეყნის პრეზიდენტისა.

არასაგადასახადო შემოსავლებში ჩამორჩენა კი, ბოლო წლების გამოცდილებით, მართლაც დაძლევადია.

რაც შეეხება გრანტებს – პიტერ შოუს საკითხი შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი იყოს, თუმცა არსებობს ევროკავშირის წინაშე ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებებისა, რომელიც სხვადასხვა უწყებებმა არ შეასრულეს. ამიტომ, აქაც მთელი მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ.

პრობლემაა ბიუჯეტის ხარჯების გაწევის მიმართულებით. კონტროლის პალატის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში გაწეულია ხარჯების სულ 39 პროცენტი. ვნახავთ ცხრა თვის ანგარიშსაც.

**ლევანი ჩრდილელი:** მინდა დავაკონკრეტო აჭარიდან მიუღებელი თანხების საკითხი. მთელი 2002 წლის განმავლობაში აჭარიდან ცენტრალურმა ბიუჯეტმა, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი უნდა მიიღოს, ცენტრალური ბიუჯეტიდან აჭარისთვის განკუთვნილი თანხა კი 14 მილიონი ლარია. სხვაობა, ანუ 26 მილიონი ლარი, ის ლუფტია, რომელიც ხარჯებში გარღვევას გამოიწვევს.

**მიხეილ მაჭავარიანი:** სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ გარღვევა გაცილებით დიდი იქნება...

**"24 საათი":** აპირებს თუ არა მთავრობა, პარლამენტში შევიდეს ბიუჯეტის ცვლილების პროექტით?

**ლევანი ჩრდილელი:** გარღვევა 82 მილიონიც რომ დარჩეს, საბიუჯეტო უფლებამოსილებების შესახებ კანონი ძალიან ნათლად განსაზღვრავს, რა შემთხვევაში უნდა მოხდეს ბიუჯეტის ცვლილება - თუ ხარჯების გარღვევა 10 პროცენტს გადააჭარბებს. დღევანდელი გარღვევა ამ მაჩვენებლისგან შორსაა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ცვლილება არ განხორციელდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 2002 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებები არ შევა. იმ შემთხვევაში, თუ ევროგაერთიანების გრანტი არ შემოვიდა, შესაბამისად, გრანტი და შესაბამისი ხარჯი, რაც ამ გრანტზე იყო მიბმული, შემცირდება. ეს არ შეეხება ორგანიზაციების მიმდინარე ხარჯებს, დაცულ, ან თუნდაც, არადაცულ მუხლებს, საუბარია საგარეო ვალის მომსახურების თანხების შემცირებაზე.

**"24 საათი":** ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის მიმართ ყველა ვალდებულება საქართველოს შესრულებული აქვს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბიუჯეტო პასუხისმგებლობაზე საუბრისას აქცენტი არა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრზე, არამედ ძალოვან მინისტრებზეც უნდა გაკეთდეს, რადგან, პირველ რიგში, მათ ევალებოდათ პიტერ შოუს მოძებნა?

**ნიკო ორველაშვილი:** დიახ, რა თქმა უნდა. მინდა გაგახსენოთ შარშანდელი დეკემბერი, როდესაც ევროკომისიის მისიის დიპლომატი გიუნტერ ბოიხერი მოკლეს. მას მანამდე სამჯერ დაესხნენ თავს... არ დარჩა ევროპაში ქვეყანა, რომელიც მსგავსი მიზეზით განაწყენებული არ გვყავდეს. მეორე არსებითი გარემოებაა ის, თუ რა შესრულდა და რა – არა. მაგალითად, განსახორციელებელი რეფორმების ნუსხაში იყო პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უზენაესი სასამართლო. თავად მოგეხსენებათ, რომ რეფორმები აქ არ ჩატარებულა. სასამართლო რეფორმის შედეგი კი საკმაოდ უიმედოდ გამოიყურება - უკანასკნელი მონაცემებით, სასამართლოსადმი ნდობის ხარისხი 11 პროცენტს არ აჭარბებს. ყველა პროგრამაში, რომლის თანახმადაც ევროკავშირის ექსპერტი საქართველოში ჩამოდის, შავით თეთრზე წერია, რომ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მისი უსაფრთხოება. ამის შემდეგ ცოტა უხერხულია იმაზე საუბარი, რომ ჩვენ ევროკავშირის პირობები შევასრულეთ.

ცალსახად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი ან ორი-სამი მინისტრი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ბიუჯეტის შესრულებაზე. კრიმინოგენული სიტუაცია, ბიზნეს-გარემო, მეწარმის დაცულობა ის საკითხებია, რომელიც პირდაპირ განაპირობებს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას და ეს სიტუაცია ბიუჯეტში აისახება.

რაც შეეხება ბიუჯეტის დაგეგმვის თემას - წლევანდელი ბიუჯეტი ძალიან მოზომილად იყო დაგეგმილი. რეზერვები ძალიან ბევრია. საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებისგან ვიცი, რომ ისინი თვის ბოლოს ყველაფერს აკეთებენ, რომ ბიუჯეტი ორ პროცენტზე მეტად არ გადაჭარბდეს, რათა მომავალ თვეში გეგმა არ გაეზარდოთ.

**"24 საათი":** აპირებს თუ არა ოთხი ფრაქცია ბიუჯეტზე კონკრეტული პასუხისმგებლობის საკითხი წამოჭრას და კონკრეტული პასუხისმგებლის ვინაობა განსაზღვროს?

**მიხეილ მაჭავარიანი:** ჩვენ ვამზადებთ დადგენილების პროექტს და ასევე კანონპროექტს, რათა განისაზღვროს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი ამ კონკრეტულ შემთხვევაში და საერთოდაც, გაირკვეს, ვინ რაზეა პასუხისმგებელი. წლის ბოლომდე მთავრობას რამდენიმე თვე კიდევ დარჩა და ამით შეეცდება თავის მართლებას, მაგრამ კონტროლის პალატის მიერ უკვე გაკეთებული ანალიზი იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ხარჯების პარამეტრი ბოლომდე ვერ შესრულდება.

**"24 საათი":** აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობის საკითხს დავუბრუნდეთ და გავარკვიოთ, ვინ უნდა მოაგვაროს აჭარისა და ცენტრის ურთიერთობა?

**მიხეილ მაჭავარიანი:** ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა. კანონში ცალსახად წერია, რომელი ტერიტორიული ერთეულიდან რამდენი თანხა უნდა შემოდიოდეს. როცა ეს თანხა არ შემოდიოდა ერთი წლის წინ, ეს იყო ნოღაიდელის პრობლემა, სამი წლის წინ - ეს იყო ონოფრიშვილის პრობლემა...

**"24 საათი":** ახლა ეს ჯორბენაძის პრობლემაა?

**მიხეილ მაჭავარიანი:** ეს მთავრობის პრობლემაა, რომელსაც პრეზიდენტი უდგას სათავეში... ჯორბენაძის პრობლემა კი არის იმდენად, რამდენადაც მან თქვა, რომ იგი მას მოაგვარებდა. მას რომ ეთქვა, რომ ამ პრობლემას ვერ აგვარებს და ეს თანხები ადგილზე დავტოვოთო, სხვა საუბარი წამოიჭრებოდა. სამწუხაროდ, მთავრობა სირაქლემის პოზაში ყოფნას ამჯობინებს.

**ნიკო ორველაშვილი:** დღეს სიტუაცია ისეთია, რომ სავალუტო ფონდი გაცილებით რეალისტურად აფასებს ჩვენს შესაძლებლობებს, ვიდრე თავად საქართველოს ხელისუფლება. ფონდმა გაითვალისწინა ყველა პარამეტრი - მთავრობის კორუმპირებულობა, საგადასახადო ოაზისები, კონტრაბანდის მასშტაბი, შეუკვრელი საზღვრები, მთავრობის "მწველი" სურვილი, რომ ყველაფერი ეს აკეთოს და შესაბამისად, ხელისუფლებას ბიუჯეტის პარამეტრების დაგეგმვა ურჩია.

**მიხეილ მაჭავარიანი:** რაც შეეხება ბიუჯეტზე პასუხისმგებლობას - ნამდვილად არ ღირს, სკამს მოეჭიდო. თუ ხედავ, რომ ვერ ასრულებ მოვალეობას, უნდა წახვიდე. თუმცა, ისიც უნდა თქვა, თუ რატომ ვერ ასრულებ. იმიტომ კი არა, რომ ჯორბენაძე ცუდია, არამედ იმიტომ, რომ სისტემაა ცუდი. იცით, რამ გამაოცა? პრეზიდენტი რომ ცდება, მას ტაშს უკრავენ, არ არის ხალხი, ვინც იტყვის, რომ მეფე შიშველია.

**"24 საათი":** თქვენ ამბობთ, რომ დამნაშავეა სისტემა და არა პერსონები და მაინც პერსონალურ პასუხისმგებლობაზე საუბრობთ. წავა ჯორბენაძე, მოვა სხვა, რა შეიცვლება? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჯორბენაძეც სისტემის მსხვერპლია...

**მიხეილ მაჭავარიანი:** დიახ...

მაგრამ, ამ პერსონამაც უნდა აღიაროს, რომ ვერ აკეთებს, რადგან სისტემა არ ვარგა. მან უნდა განაცხადოს, რომ მოდის ხელისუფლებაში, რათა სისტემა შეცვალოს.

**"24 საათი":** ანუ საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობამდე მივდივართ?

**მიხეილ მაჭავარიანი:** დიახ. ქვეყანაში უნდა იყოს ერთიანი სამთავრობო გუნდი - იქნება წმინდა ამერიკული სისტემა, თუ მინისტრთა კაბინეტი და საპარლამენტო რესპუბლიკა. უნდა იყვნენ ადამიანები, ვინც მზადაა სისტემის შესაცვლელად.

**ნიკო ორველაშვილი:** გასაგებია, რომ დღევანდელი მოწყობის პირობებში გამოსავალი არა გვაქვს. ავთანდილ ჯორბენაძესთან პირველი შეხვედრისას აღმოვაჩინე, რომ იგი რეალურ პრობლემებს ხედავს, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმე მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სიტუაციას ანალოგიურად ხედავს პრეზიდენტი და არსებობს პოლიტიკური ნება.

დღეს არის სისტემა, რომელშიც, ფორმალურად, ყველაფერზე პასუხისმგებელია პრეზიდენტი, რეალურად კი იგი არაფერზე პასუხისმგებელი არ არის.

ანეკდოტური სიტუაციები გვქონდა 1998-1999 წლებში, მაშინ საუბრობდნენ, რომ როცა ბიუჯეტი არ სრულდება, ავტომატურად უნდა გადადგეს მთავრობა, წელს კი კანცელარიაში მომზადდა პროექტი, რომ თუ პარლამენტი არ არის კმაყოფილი ბიუჯეტის შესრულებით, პარლამენტი უნდა დაითხოვო...

დღეს აუცილებელია საკონსტიტუციო და ინსტიტუციური ცვლილებები, მაგრამ მხოლოდ ეს ცვლილებები საკმარისი არ არის. აქ უკვე შემიძლია კრილოვი გავიხსენო - თუ ორკესტრანტებს შორის ისევ დღევანდელი სამთავრობო გუნდის წევრები იქნებიან, იგივე კაკაფონიას მოვისმენთ. არსებობს სფეროები, სადაც გუნდური პრინციპის გარეშე მუშაობა წარმოუდგენელია. საქართველოს პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა კი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა – საკმარისია, მთავრობაში ორი ადამიანი ერთი გუნდის წევრი იყოს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტს ეს უკვე აწუხებს.

გარდა ამისა, პრობლემა დღეს ისაა, რომ კანონი არ არის უზენაესი... არსებობს რესურსიც, მაგრამ არ არსებობს ამ რესურსის გამოყენების პოლიტიკური ნება.

პოლიტიკური ნება არ არის საფოსტო გზავნილი, რომელიც საერთაშორისო დონორებმა ფოსტით შეიძლება გამოგვიგზავნონ...

# მომავალ წელს მშენებლობას დავიწყებთ

## 24 საათის სტუმარია "ბრიტიშ პეტროლეუმ აზერბაიჯანის" პრეზიდენტი, ბატონი დევიდ ვუდვორდი

მაია ურუშაძე
შოთა უტიაშვილი

**– დღეს BTC-ის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა. რა საკითხები იქნა განხილული და რატომ აირჩიეთ თბილისი შეხვედრის ადგილად?**

– ჩვენ უნდა ჩაგვეტარებინა საბჭოს სხდომა, რათა განგვეხილა პროექტის მსვლელობაში მიღწეული პროგრესი და მიგვეღო გადაწყვეტილება ზოგიერთ საკითხზე. ჩვენ გვინდოდა, საბჭოს წევრებს საქართველოს მთავრობისაგან მოესმინათ პროექტისადმი მათი მხარდაჭერის შესახებ. ახლა, როდესაც პროექტი უკვე მშენებლობის ფაზაშია შესული, ჩვენი მიზანია გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შესახებ მოხსენების შეფასება და მიწის შეძენის დაწყება. მომავალ წელს კი უკვე მშენებლობას შევუდგებით. ანალოგიური მოხსენება უკვე დამტკიცებულია თურქეთში, აზერბაიჯანიც მალე დაასრულებს ამ პროცედურას. ქართული დოკუმენტი საქართველოს მთავრობას უკვე წარვუდგინეთ და იმისათვის, რომ გრაფიკიდან არ ამოვვარდეთ, სასურველია, მისი დამტკიცება ნოემბრის ბოლომდე მოხდეს. გამართული საუბრებიდან გამომდინარე, ეს შესაძლებლად ჩანს.

**– ამ საკმაოდ არასტაბილურ რეგიონში სამ მილიარდი დოლარის დაბანდებას მაგარი გული სჭირდება. მილსადენმა, სულ ცოტა, 30 წელი უნდა იმუშაოს. როგორ დაარწმუნეთ ინვესტორები, რომ ბაქო-ჯეიჰანის ფუნქციონირებას ამ ხნის განმავლობაში საფრთხე არ დაემუქრება?**

– სანამ ამხელა პროექტს დავიწყებდით, პოტენციური რისკები დეტალურად შევაფასეთ. ვგულისხმობთ ტექნიკურ, კომერციულ, პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და სხვა რისკებს. ამის შემდეგ განვიხილეთ, რამდენად მისაღები ან მართვადი იყო ეს რისკები. ის მოვლენები, რაც საქართველოში ბოლო წლის მანძილზე მოხდა, ან რაც, ვფიქრობთ, რომ მომავალ ერთ წელიწადში მოხდება, გეგმების შეცვლის საფუძველს არ გვაძლევს. თანაც, ჩვენ ვითარებას ვაკვირდებით და სიფრთხილის ყველა ზომას ვიღებთ. ჩვენ გვყავს ხალხი, ვინც რეგიონს კარგად იცნობს. გარდა ამისა, უამრავი ექსპერტი გვეხმარება რეგიონის შიგნითაც და მის გარეთაც. ამ წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია. მნიშვნელოვანია ის სრული პოლიტიკური მხარდაჭერაც, რომელიც პროექტს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის, ასევე ამერიკისა და ევროპის მხრიდან აქვს. ეს ყველაფერი გვარწმუნებს, რომ პროექტს წარმატებით დავასრულებთ.

**– ბაქო-ჯეიჰანს პრესამ უწოდა "ყველაზე პოლიტიკური მილსადენი, რომელიც ოდესმე აშენებულა". მართლაც, პროექტს უდიდესი პოლიტიკური მხარდაჭერა ხვდა ზოგიერთი ქვეყნისგან და ასევე ძლიერი წინააღმდეგობა - ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობისგან. შეგახსენებთ, იგორ ივანოვის იმ განცხადებას, რომ რუსებს რეგიონიდან აძევებენ.**

– ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისთვის ეს წმინდა კომერციული პროექტია. პოლიტიკაში არ ვერევით - აქციონერები არც მოგვცემენ იმის უფლებას, პოლიტიკური წამოწყებები დავაფინანსოთ. ჩვენთვის ეს ეკონომიკურად რენტაბელური პროექტია, რომელიც აქციონერებს მოგებას მოუტანს. ამ მიზანს ემსახურებოდა გაწეული სამუშაოები, აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის (აჩგ) საბადოების განვითარების პროექტები. შედეგები აკმაყოფილებს ჩვენი და ჩვენი პარტნიორების ეკონომიკურ კრიტერიუმებს. შესაძლოა, სხვებს ჰქონდეთ კიდეც პოლიტიკური მიზნები, რომელთა განხორციელებასაც ამ მილსადენით ცდილობენ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება.

მე თვითონ არ მომისმენია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარი, მაგრამ ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს, რომელიმე ქვეყანა რეგიონში მიმდინარე პროექტებიდან გავაძევოთ. როგორც იცით, ლუკოილი მონაწილეობს აჩგ-ის პროექტში, მაგრამ ის არ არის BTC-ის წევრი. როგორც ჩანს, მათი გათვლებით, ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო. ამერიკული კომპანია ექსონ-მობილი, რომელიც ასევე ნავთობის მოპოვებაზე მუშაობს, ბაქო-ჯეიჰანის პროექტში ჩართული არ არის. ბუნებრივია, თუ მათ სურვილი ექნებათ, შეეძლებათ, ტრანსპორტირებისათვის ჩვენი მილსადენი გამოიყენონ. ამის თაობაზე ლუკოილთან მოლაპარაკებებს უკვე ვაწარმოებთ. ჩვენი პარტნიორების ერთი ნაწილი ყაზახეთში მუშაობს, ასე რომ, ვფიქრობთ, ყაზახური ნავთობიც ამ მილსადენში უნდა გავიდეს- ამ პროექტში არც ერთი ქვეყნის მონაწილეობას არ ვეწინააღმდეგებით.

**– ბაქო-ერზრუმის გაზსადენის დაწყება რამდენადმე ყოვნდება. პრესაში ამის ორ შესაძლო მიზეზს ასახელებენ: ერაყის პრობლემას ან თურქეთის ეკონომიკურ კრიზისს. შეგიძლიათ, გვითხრათ, როდის მოხდება პროექტის სანქცირება?**

– ბოლო თვეების მანძილზე მუდმივად ვაცხადებდით, რომ მართალია, მილსადენის სანქცირება ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაუწყვეტელი რჩებოდა რამდენიმე საკითხი, მათ შორის, თურქეთის მთავრობის პირობაც გაზის გარანტირებული შესყიდვის შესახებ. თურქეთის ბაზარზე, გაზის მოხმარების ზრდასთან დაკავშირებით, გარკვეული სირთულეები წარმოიშვა. მათ უკვე მოუწიათ ზოგიერთ მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების გადახედვა. გარდა ამისა, არის საკითხები, რომლებიც მილსადენის კომერციულ სტრუქტურას უკავშირდება. ჯერჯერობით, ეჭვქვეშ დგას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის - "სოკარის" ამ პროექტში მონაწილეობა და პარტნიორებს შორის მიმდინარეობს დისკუსიები იმის შესახებ, რამდენად სწორად იქნა შერჩეული განვითარების კონცეფცია. ჩვენ ამ საკითხების გადაწყვეტაზე ვმუშაობთ და იმედი გვაქვს, რომ ხსენებული პროექტის სანქცირება მალე მოხდება, თუმცა კონკრეტული თარიღის დასახელება ჯერ არ შემიძლია. ერაყთან გაზსადენს არავითარი კავშირი არ აქვს.

**– გიორგი ჭანტურიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ნავთობის კორპორაცია ნოვოროსიისკი-სუფსა-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას უჭერს მხარს. როგორია BP-ის პოზიცია ამასთან დაკავშირებით?**

– ჩვენ უკვე ძალზე დატვირთულები ვართ. ბაქო-ჯეიჰანი და შაჰ-დენიზი უზარმაზარი პროექტებია, რომელიც მთელ ენერგიას მოითხოვს. ახლო მომავალში ამაზე მოგვიწევს კონცენტრირება. თუ მომავალში, რაღაც ეტაპზე, ეს საკითხი ისევ დადგება, გავარკვევთ, რამდენად საინტერესო იქნება ჩვენი აქციონერებისათვის კასპიის მილსადენის კონსორციუმისა და ბაქო-ჯეიჰანის შეერთება.

**– ქართული საზოგადოება შეშფოთებულია გარემოსათვის შესაძლო ზიანის მიყენების შესახებ გავრცელებული ხმების გამო – განსაკუთრებით, ბორჯომის ხეობაში. რამდენად სერიოზულია ეკოლოგიური საფრთხე?**

– ჩვენ დიდი ენერგია შევალიეთ ამ საკითხების განხილვას საქართველოს მთავრობასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. მარშრუტის შერჩევისას, გარემოსდაცვითი საკითხების გარდა, გათვალისწინებული იყო, სოციალური ზემოქმედება, უსაფრთხოებისა და ტექნიკური საკითხები, მშენებლობის ფიზიკური შესაძლებლობა. მარშრუტის შერჩევის შემდეგ დადგა საკითხი, მიგვეხედა გარემოსდაცვითი რისკებისათვის. ეს პრობლემა დეტალურადაა განხილული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესახებ მოხსენებაში, რომელიც საქართველოს მთავრობას წარედგინა.

ბევრი ექსპერტის რეკომენდაცია გავითვალისწინეთ. ახლა უკვე ძალიან ახლოს ვართ მილსადენის მარშრუტისა და გარემოსდაცვითი რისკების თავიდან არიდების ზომების საბოლოო დამტკიცებასთან. გარწმუნებთ, რომ მილსადენი არანაირ გავლენას არ მოახდენს წყლის ხარისხზე.

ჩვენ გვესმის ამ საკითხის მნიშვნელოვნება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ფაქიზ რეგიონში ბუნებას არავითარი ზიანი არ მიადგეს. ასეთ საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს და მას აუცილებლად გამოვიყენებთ..

**– წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლება დასაქმების პრობლემის მოგვარებას მილსადენის მშენებლობის დაწყებას უკავშირებდა, რამაც გაზვიადებულ ვარაუდებს დაუდო სათავე. როგორ ფიქრობთ, რამდენ კაცს დაასაქმებთ?**

– კარგად მესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მშენებლობაში ქართული მხარის მაქსიმალური მონაწილეობა. ვგულისხმობ, როგორც ქართველი მუშახელის დაქირავებას, ისე ქართულ კომპანიებთან კონტრაქტების დადებას. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ მოლოდინი მართლაც გაზვიადებულია და მისი გამართლება არ შეგვიძლია. მაგრამ საკმაოდ ბევრი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნას შევძლებთ. ჩვენ შევეცდებით, რომ კონტრაქტორებმა მაქსიმალურად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ, შეარჩიონ ხალხი გამოცდილებაზე, კვალიფიკაციაზე და უნარზე დაყრდნობით და თუ საჭირო იქნება, ტრენინგიც ჩაუტარონ. ვფიქრობ, რომ უშუალოდ მშენებლობაზე 2-3 ათას კაცს დავასაქმებთ. იქნება სხვა სამუშაო ადგილებიც - უფრო დამხმარე ხასიათის.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი ცხადყოფს, რომ უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ საქართველოში საქმიანობა, ამისათვის არსებობს კვალიფიცირებული მუშახელი და ადგილობრივი კონტრაქტორი კომპანიები. იმედია, ჩვენი პროექტი მათ მეტ სტიმულს მისცემს ინვესტიციების ჩასადებად.

**– როგორ უზრუნველყოფთ მიწის შესყიდვების გამჭვირვალობასა და სამართლიანობას?**

– ჩვენ გამოვაქვეყნეთ დაწვრილებითი მოხსენება ამის შესახებ. შემუშავებულია ყველა იმ მიწის ნაკვეთის დეტალური აღწერა, რომელზეც მილმა უნდა გაიაროს, არსებობს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდება კომპენსაციის გადახდა. უნდა ითქვას, რომ ამ ნაკვეთებს სამუდამოდ არ ვიღებთ. მას შემდეგ, რაც მილი ჩაიდება და მიწით დაიფარება, ძირითადად, შესაძლებელი იქნება ნაკვეთების პატრონებისთვის დაბრუნება და მისი ძველებურად გამოყენება. ასე რომ, კომპენსაციას ვიხდით მოსავლის დაკარგვისა და ნეგატიური ეკონომიკური ზემოქმედების გამო.

მიწის შესყიდვის პროცესმა საერთაშორისო კრედიტორები უნდა დააკმაყოფილოს, მათ შორის, მსოფლიო ბანკი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ამ პროცესს. ასევე იმუშავებს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დამატებით მონიტორინგს ჩაატარებს. ყველას ექნება შესაძლებლობა, თავისი საჩივარი წარუდგინოს მას. კომპენსაციის პროგრამაზე საკმაო ფინანსებია გამოყოფილი და ვფიქრობ, უკმაყოფილო არავინ უნდა დარჩეს.

www.24hours.ge 24 B

დღის პერსონა

# ლუსტრაცია იმპიჩმენტით

მაია ჭალაგანიძე

*ეს ორი, მოდური უცხო სიტყვა არის ლამის ერთადერთი განმარტება იმისა, რასაც "აღორძინების" მიერ დასმული პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის საკითხი გულისხმობს.*
*ბათუმში საოცრად თბილი ამინდებია და იქ შემორჩენილ დამსვენებლებს "აღორძინების" ბლოკის შემადგენელი ფრაქციების წარმომადგენლები შეუერთდნენ. ფრაქციათა შეხვედრაზე სამი საკითხი განიხილებოდა:*
*1. რამდენად სამართლიანია თბილისის პრეტენზიები აბაშიძის მიმართ. ბათუმის პორტი ხომ ბიუჯეტში ორჯერ მეტს იხდის, ვიდრე ფოთის პორტი. ამიტომაც, ასლან აბაშიძე არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური შერკინების მსხვერპლი გამოდის. 2. აბაშიძის მოგზაურობა ევროპასა და ამერიკაში. კერძოდ, კოსმოდრომის მონახულება... წარმოშობით ბათუმელი კოსმონავტი ხომ კოსმოსში მიფრინავს.... და, 3. უფრო სახმელეთო, მიწიერი საკითხი - იმპიჩმენტი... აქვე ვანუგეშებთ პრეზიდენტს: როგორც აღმოჩნდა, საკითხის დასმა სულაც არ ნიშნავს მისი მომავლის უპერსპექტივობას.*

## აკაკი ასათიანი: მე „ტრადიციონალისტი„ ვარ და არა „აღორძინება„



**- ბატონო კაკო, რას აკეთებთ მანდ?**

- აქ, ბათუმში "აღორძინებაში" შემავალ ფრაქციათა შეხვედრა მიმდინარეობს. გაიმართება პოლიტსაბჭოს სხდომაც.

**- პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას უჭერთ მხარს?**

- დიახ. თუკი ეს საკითხი საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის გამო დადგებოდა, ჩვენგან პრობლემა არ იქნებოდა.

**- და ამას ასლან აბაშიძე დათანხმდა?**

- ბატონმა ასლანმაც ბრძანა, რომ არც მისგან იქნებოდა პრობლემა.

**- იგი იმპიჩმენტის პროცედურას არა მხოლოდ ბაზების გაყვანის ეპიზოდში, არამედ, საერთოდაც უჭერს მხარს?**

- დიახ.

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბლოკის პარლამენტიდან გასვლაზეა საუბარი...**

- ჩემი თანდასწრებით ასეთი რამ არ მომხდარა.

**- თქვენ - "ტრადიციონალისტებმა" "გაერთიანებულ დემოკრატებთანაც" გამონახეთ საერთო ენა. ამით "აღორძინების" ერთიანობას ხომ არ უშლით ხელს?**

- მე ყველასთან საერთო ენა მაქვს გამოძებნილი, რა პრობლემაა. დემოკრატები, მაგალითად, არ უჭერენ მხარს იმპიჩმენტს, მე - ვუჭერ. იცით, რა არის განსხვავება ჩემსა და სხვებს შორის? სხვები ხან შევარდნაძისკენ არიან, ხან - არა. მე სულ მისი წინააღმდეგი ვარ, თუ დააკვირდებით.

**- მაგრამ, თქვენ ასევე ხან შეინიშნებით ასლან აბაშიძის გვერდით, ხან - არა.**

- მე და ბატონი ასლანი დიდი ხნის მეგობრები ვართ და ბევრ საკითხში ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები ემთხვევა; ზოგჯერ, არ ემთხვევა, მაგრამ ამისთვის ადამიანის მომდურება ხომ არ შეიძლება! სხვებისგან განსხვავებით, ბატონი ასლანი არ მალავს თავის შეხედულებებს.

**- გამოცდილი პოლიტიკოსი ბრძანდებით და "აღორძინების" დაშლის გარკვეულ ნიშნებს, ალბათ, დაინახავდით.**

- დღეს არანაირი ნიშანი არ შემიმჩნევია. ისე კი, იმპიჩმენტის საკითხი გარკვეულია. ჩვენ და "აღორძინების" სხვა ფრაქციები, მხარს ვუჭერთ იმპიჩმენტის პროცედურას. ბაზების გაყვანის საკითხში კი დამოუკიდებელი დეპუტატები და "ნაციონალური მოძრაობაც" გვემხრობა, ეს კი მკვეთრად ზრდის ხმების რაოდენობას - ხმებს მოვაგროვებთ.

**- "ახლებს" მეორე საიმპიჩმენტო საკითხი აქვთ წამოწეული - ჯორბენაძე...**

- ჩვენ ამასაც ვუჭერთ მხარს.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ გაასწრებს?**

- ეგ უკვე საინტერესო სანახაობა იქნება. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც საიმპიჩმენტო ხელმოწერები ეხება, არა?

**- როგორც ვიცით, "აღორძინება" ჯორბენაძეს შეხვდა და სწორედ ამის შემდეგ წამოვიდა შევარდნაძის იმპიჩმენტის შემხვედრი წინადადება.**

- ამას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, რადგან არ დავსწრებივარ ამ შეხვედრას. მე "აღორძინება" არ ვარ, "ტრადიციონალისტი" ვარ!

**- რას იტყვით, რომელი უფრო ადრე გაიმპიჩმენტდება?..**

- ჯორბენაძეს მეტი შანსი აქვს, უფრო წინ არის. ჩვენ, მაყურებლები, მხოლოდ შეძახილებით გავამხნევებთ. ყველას ვეპატიჟები ამ სანახაობაზე.

## ელიზბარ ჯაველიძე: კანცელარიის თამაშს არ ვთამაშობთ



**- როგორ ჩაიარა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის საკითხმა?..**

- საქმე ისაა, რომ ბატონ ასლანთან შეუთანხმებლად დავაყენეთ ეს საკითხი. ამან ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ბატონმა ასლანმა თქვა, რომ რადგან თქვენ უჩემოდ დააყენეთ ეს საკითხი, ვერ გილალატებთ და თქვენთან ერთად ვარო.

**- მოკლედ, ისიც დაგეთანხმათ?**

- დიახ.

**- როგორ ფიქრობთ, რომელი იმპიჩმენტი გადაწონის - ჯორბენაძის თუ შევარდნაძის?**

- იცით, რაშია საქმე? ბევრი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თუ სახელმწიფო მინისტრი გამოვიცვალეთ. საქმე კი არ იძვრება. აქედან გამომდინარე, როცა "ახლები" ჩვენზე ამბობენ, რომ თურმე იმიტომ დავიწყეთ ეს იმპიჩმენტი, ჯორბენაძის პრობლემა მოგვარებულიყო, აბსურდია.

**- "აღორძინება" ხომ ჯორბენაძეს შეხვდა?**

- "21-ე საუკუნე" არ შეხვედრია. საერთოდ, არაფერი ყოფილა მაგის მსგავსი. ჩვენ რომ გვაბრალებენ, კანცელარიის თამაშს თამაშობენო, აბსურდია. "ახლები" თვითონ თამაშობენ შევარდნაძის თამაშს. ბატონი ასლანი ამბობს, რომ არ ვართ იმპიჩმენტის მომხრე, მაგრამ ვართ იმის მომხრე, რომ გაირკვეს, ვინ არის ჭეშმარიტი ოპოზიცია და ვინ - მოჩვენებითი.

**- თქვენ ამბობთ, რომ საკითხი მართლა შევარდნაძის გადასაყენებლად კი არა, პარლამენტართა ლუსტრაციისთვის დგება?**

- ერთ-ერთი ესეც არის. ჩვენ არასოდეს მოვიქცევით ისე, რომ იარაღის ჟღარუნამდე მივიდეს საქმე. ვიქცევით ისე, როგორც ქართულ კონსტიტუციას შეეფერება, როგორც ეგების ხალხს, რომელსაც 3000 წლის სახელმწიფოებრიობა გააჩნია.

## ვახტანგ რჩეულიშვილი: ბლოკი იშლება, ერთი ალთასაა, მეორე - ბალთას

**- თქვენ, ასლან აბაშიძისაგან განსხვავებით, მხარი არ დაუჭირეთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს...**

- რადგანაც იმპიჩმენტის საკითხს ბატონი ასლანის ფრაქციის ყველა წევრმა მოაწერა ხელი, ისიც არ გაემიჯნება. შეხვედრაზე ტექსტს ვაზუსტებდით.

**- კერძოდ - რომელ პუნქტს?**

- მან თქვა, რომ თუ "ნაციონალისტებს" ჰგონიათ, რომ რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე მათი მოთხოვნის გამო, უკან დავიხევთ, ისინი შემცდარანო. რუსეთის ბაზები ჩვენი პრობლემა არ არის, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტიაო. თუ საქართველოდან გავლენ, რუსული ჯარი ბათუმიდანაც გავაო...

პრაქტიკულად, ეს მოთხოვნა "ნაციონალისტების" არის. მათთან ერთად "გაერთიანებული დემოკრატები" და ასათიანი არიან.

იმპიჩმენტის სასტიკი წინააღმდეგი წავედი, რადგან ჩემს პოზიციას ეს აბსოლუტურად არ ემთხვევა. სააკაშვილის ლოზუნგი - "თბილისი და საქართველო შევარდნაძის გარეშე" - არის დიდი პროვოკაცია. ამ ლოზუნგის საპარლამენტო არჩევნებზე გადატანა სამოქალაქო ომის გამოწვევაა. შევარდნაძეს ისედაც ბოლო ვადა აქვს. როცა მე პრეზიდენტს ვებრძოდი და პოლიცია თავში "დუბინკებს" მირტყამდა, მაშინ - ისინი იცავდნენ.. ისინი ხალხს ატყუებენ, რომ საკრებულოს არჩევნებით შევარდნაძის ბედს წყვეტენ.

მათგან განსხვავებით, ჩემი ლოზუნგია "საქართველო შევარდნაძის შემდეგ". სულ ორი წელი დარჩა მისი მმართველობის დასასრულამდე... ჩვენ არ გვაქვს ახალ პრეზიდენტზე ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის გამოცდილება. ზვიად გამსახურდია მოვკალით, ჟორდანია - გავაგდეთ. შევარდნაძემ უნდა დაასრულოს თავისი ვადა და უნდა შეიქმნას ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის წინაპირობები. ჩემი პრიორიტეტებია მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის დარეგულირება და ბათუმსა და ცენტრს შორის ურთიერთობების დათბობა.

პირდაპირ განვუცხადე ბატონ ასლანს, რომ მე ვერ შევუერთდებოდი ამ წინადადებას.

**- რადგანაც ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე არ იყო ერთსულოვნება, აშკარაა, ბლოკი დაშლის პირასაა.**

- რასაკვირველია. სააკაშვილთან, ჟვანიასა და "ახლებთან" ასათიანი თანამშრომლობს. არც "აღორძინება" და არც მე არ ვაპირებთ მათთან შეერთებას. მდგომარეობა რთულია, მაგრამ ბლოკის დაშლის მომხრე არ ვარ. ჩემი მთავარი მიზანი თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობების დათბობაა. ჩემი ბლოკში ყოფნა კი ამ მიზანს წაადგება. ასეთი შემადგენლობით კი ბლოკი ველარ იარსებებს. ერთი ალთასაა და მეორე - ბალთას. თვითონ ასლან აბაშიძის გადასაწყვეტია, საჭიროა თუ არა ბლოკი.

**- რაიმე ხომ არ გამოკვეთილა მის პოზიციაში?**

- ჯერჯერობით, მაისამდე არაფერი გამოიკვეთება. ბლოკი რომც დაიშალოს, აბაშიძესთან ვითანამშრომლებ. ბლოკს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ მინდა, კონსულტაციების მექანიზმი შევინარჩუნო.

**- ერთდროულად ორი იმპიჩმენტი საკითხს სერიოზულობას ხომ არ აკარგვინებს?**

- ჯორბენაძის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება სწორი არ არის. ავთო, რაც შეუძლია, აკეთებს. ჯორბენაძე ვერ გამოასწორებდა საბიუჯეტო კრიზისს. თუ "ახლებს" საქართველოში თანამდებობრივ გადანაწილებაზე აქვთ პრეტენზია, ეს მათი საქმეა.

ძალიან მნიშვნელოვანია შევარდნაძის მმართველობაშივე დათბეს რუსეთ საქართველოს ურთიერთობა, ეს მინდა მე, თორემ, არც ჟვანიასთან და არც სააკაშვილთან გასაყოფი არაფერი მაქვს. მშვენივრად ვზივართ მე და კაკოც და პოლიტიკურ საკითხებზე ვსაუბრობთ.

შეხვედრების შედეგი ასეთია: კაკო მზად არის მოაწეროს ხელი იმპიჩმენტზე, მე - არა.





# პიანისტების საერთაშორისო "ოჯახი"

*27 ოქტომბრის **"ნიუ იორკ ტაიმსში"** პიანისტ **ლექსო თორაძის** მოღვაწეობას ვრცელი და საოცრად თბილი წერილი მიეძღვნა. ამ პუბლიკაციის ავტორი, მაია პრიცკერი რუსულენოვან გაზეთ "ნოვოე რუსკოე სლოვოს" კულტურის განყოფილების რედაქტორია. გთავაზობთ, მისი წერილის "საუთ ბენდის ახალი გუნდი: პიანისტების" შემოკლებულ ვარიანტს.*



*ლექსო თორაძე ვალერი გერგიევთან და სარა ვულფენსონთან ერთად*

მაისის წვიმიან საღამოს, რესტორან "თი ჯი აი ფრაიდეიში" ერთ-ერთ სუფრას ოცამდე კაცი შემოსხდომოდა. გაუთავებლად ისმოდა ფინური, იაპონური, რუსული და ქართული სიტყვები, უცნაური აქცენტით წარმოთქმული შეძახილები. ისეთი ემოციური და თბილი ატმოსფერო იდგა, მოსიყვარულე ოჯახებში რომ სუფევს ხოლმე...

ამ ინტერნაციონალური სუფრის წევრები ლექსო თორაძე და მისი სტუდიის მუსიკოსები აღმოჩნდნენ. იქვე, მეზობლად მდებარე ქალაქ კალამაზუში ირვინ გილმორის კლავიშიანი საკრავების საერთაშორისო ფესტივალი ახალი დამთავრებული იყო და თორაძის გუნდსაც კონცერტის შემდეგ "თი ჯი აი ფრაიდეიში" განტვირთვა გადაეწყვიტა.

"რაღაცით მართლაც ვგავართ დიდ ოჯახს, ერთმანეთის თანადგომას მუდმივად ვგრძნობთ", - ამბობდა პაივი იკროტი, ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიის კურსდამთავრებული. მან თორაძის სტუდიაში "გაწევრიანება" პაინისტის ფინეთში ჩატარებული კონცერტის შემდეგ გადაწყვიტა. "ლექსოს მოსმენა რევოლუციას ჰგავდა. მაშინვე მივხვდი, რომ თორაძეს მუსიკასთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული და ძალიან მომინდა, მასთან მესწავლა", - იხსენებდა ფინელი.

ტკბილი მოგონებებისა და ამაღლებული განწყობის საფუძველი თორაძის სტუდიის წევრებს იმ საღამოს ნამდვილად ჰქონდათ. მათ გილმორის ფესტივალზე ფურორი მოახდინეს. რახმანინოვის მუსიკის თანხლებით ერთგვარი მარათონი გააჩაღეს და მსმენელის უდიდესი მოწონებაც დაიმსახურეს. მარათონი ტყუილუბრალოდ არ გვიხსენებია. ერთი მუსიკოსის ნაწარმოებებზე აგებულ, ოღონდ მრავალი შემსრულებლის საშუალებით გამართულ კონცერტს თორაძის სტუდენტები ასეც უწოდებენ. გილმორის ფესტივალზე მათ რახმანინოვის საფორტეპიანო მუსიკას ორი ღამე და რვა საათი მიუძღვნეს. იყო სოლო-ნაწარმოებები, მუსიკა ორი ფორტეპიანოსთვის, ოთხი და ექვსი ხელისთვის... ამ ურთულეს პროგრამას ცხრა შემსრულებელი ისე იოლად, მსუბუქად და გამორჩეული ინდივიდუალობით ასრულებდა, რომ საზოგადოება ფეხზე წამომდგარი დიდ ხანს უკრავდა ტაშს. აღსანიშნავია, რომ ამ ცოცხალი შესრულების ჩანაწერი ნაციონალურ საზოგადოებრივ რადიოში წაიღეს, მას სტუდიის პირველი ალბომისთვისაც გამოიყენებენ.

ბუნებრივია, თორაძის სტუდიის წარმატება გილმორის ფესტივალით არ ამოწურულა. ხუთშაბათს, ნიუ იორკის ეთიკური კულტურის ცენტრში, სამი ფორტეპიანოს თანხლებით, ისინი სკრიაბინის ყველა სონატას და "პრომეთეს" შეასრულებენ. 9 ნოემბრის საღამოს კი კოლუმბიის უნივერსიტეტის მილერის თეატრში ბახის კონცერტს მიუძღვნიან. ამ დარბაზს სტუდიის შარშანდელი ფურორიც ახსოვს. 2001 წლის დეკემბერში თორაძის შეგირდებმა იგივე სცენაზე პროკოფიევის სონატები შეასრულეს და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვდნენ. წარმატებულ საღამოს მალევე მოჰყვა მოწვევები იტალიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან და ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან.

იმ მაისის საღამოს კი (უფრო ზუსტად, უკვე შუაღამეც კარგა ხნის გადასული იყო), დაშლა არავის სურდა. ხუმრობებს შორის, თავად ლექსო თორაძე თუ მოიწყენდა მხოლოდ. თორაძე, რომელსაც სტუდიაში ყველა ლექსოს ეძახის სიყვარულით და რომელიც თავისი მოწაფეების ლიდერიც გახლავთ, მენტორიც, მეგობარიც, კოლეგაც და, ზოგიერთი სტუდენტისთვის, მამაც კი.

"იოლი არაა, ორი სხვადასხვა ტურნეს განრიგი შეაჯერო – ჩემი და სტუდიის. კიდევ უფრო რთულია, საორგანიზაციო და პრესასთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება და, ამავდროულად, შესრულების უმაღლესი ხარისხის შენარჩუნება. თანაც, ეს მაშინ, როდესაც სტუდიის წევრების შემადგენლობა იცვლება, ხოლო რეპერტუარი იზრდება", - ამბობდა ის.

თორაძის სტუდია 1991 წელს დაარსდა. საუთ ბენდში, ინდიანას უნივერსიტეტში ფორტეპიანოს კათედრა ის-ის იყო გახსნეს და კათედრის ხელმძღვანელად საჭირო ფიგურას ეძებდნენ: ისეთს, რომელსაც წარმატებული საკონცერტო კარიერა ექნებოდა, რომელიც შეძლებდა უნივერსიტეტის სტატუსზე დადებითი გავლენის მოხდენას, როგორც შტატების, ასევე საერთაშორისო მასშტაბით და, რაც მთავარია, პერსპექტიული სტუდენტების მიზიდვას. ამას უნივერსიტეტში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან საუთ ბენდი საფეხბურთო ქალაქი უფრო იყო და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურდა, სიტუაცია ხელოვნების სასარგებლოდ ოდნავ მაინც შეეცვალა – ახლა ფსონი მუსიკაზე დაედო.

იმ ხანად ლექსო თორაძე ნიუ იორკში ცხოვრობდა. გახლდათ რუსული საფორტეპიანო სკოლის წარმომადგენელი, გააჩნდა ემოციურად, დრამატულად დაკვრისა და გამომსახველობის უდიდესი უნარი; იყო პიანისტი ყველასგან გამორჩეული ძლიერი ინდივიდუალობით. "ვფიქრობ, ამ თანამდებობაზე იმიტომ დამნიშნეს, რომ ყველაზე მეტად მჯეროდა – სტუდიაში საუკეთესო, ნიჭიერი სტუდენტების მიზიდვას შევძლებდი" – ვარაუდობს ის. თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, ფაქტია, რომ თორაძე საუთ ბენდში მართლაც მიიწვიეს და მანაც, ექვსიოდე თვეში შეძლო სტუდიაში ახალგაზრდა, ნიჭიერი ასისტენტების მიყვანა. საუბარია მაქსიმ მოგილევსკიზე (მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული), ალექსანდრე კორსანტიასა (თბილისის კონსერვატორია) და გიორგი ვაჩნაძეზე (მენსის კოლეჯი).

დღეს გიორგი ვაჩნაძე უკვე უნივერსიტეტის პროფესორია, სტუდიაში კი – თორაძის მარჯვენა ხელი. დანარჩენი მოწაფეები შტატებსა და კანადაში ასწავლიან და საკონცერტო ტურნეებს აწყობენ. მაგალითად, მოგილევსკი საფორტეპიანო კონცერტებს თავის მეუღლე სვეტლანა სმოლინასთან ერთად დუეტში მართავს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტუდიის წევრები ერთმანეთთან კავშირს წყვეტენ. ისინი საუთ ბენდში ყოველთვის იკრიბებიან, ერთმანეთისთვის უკრავენ და, როგორც ძველ დროს, ერთმანეთს რჩევას ეკითხებიან.

თორაძეს განსხვავებული ხედვა ჰქონდა. მან თავიდანვე გადაწყვიტა, რომ მისი სტუდია არ იქნება კიდევ ერთი სტანდარტული სასწავლებელი. თბილისის ნიჭიერ ბავშვთა სპეცსკოლიდან და მოსკოვის კონსერვატორიიდან კარგად ახსოვდა საკლასო რეციტალები და ის გადამწყვეტი გავლენა, რასაც ეს კონცერტები მომავალ პიანისტებზე ახდენდა. და თორაძემაც საუთ ბენდში სწორედ ამ ტრადიციის გამოყენება განიზრახა.

"დღეს, კომპიუტერისა და ჩანაწერების საშუალებით, ძალიან იოლია ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო ინფორმაციის მოპოვება", - აცხადებს თორაძე, - "ერთადერთი, რაც ამ ფონზე სტუდენტებს აკლიათ, სასცენო გამოცდილებაა. მათ არ აქვთ აუდიტორიის შეგრძნება, არ იციან, როგორ იქცნენ მუსიკალური იდეების კომუნიკატორად. ნახეთ, რას აკეთებს ვალერი გერგიევი მარინის თეატრსა და აკადემიაში. მას ახალგაზრდა, ნიჭიერი სტუდენტები პირდაპირ სცენაზე გაჰყავს და უსერიოზულესს მუშაობაში რთავს. ეს პრაქტიკა ჩვენთან ათი წლის წინ დაინერგა, მაგრამ საგნობრივ ცხრილში შეტანილი არ ყოფილა", - განმარტავს პიანისტი.

კათედრაზე მისი მისვლის შემდეგ საუთ ბენდში კიდევ რამდენიმე სიახლე დაინერგა. მაგალითად ჩიკაგოში კონცერტების მოსასმენად წასვლა და ვრცელი საუბრები თითქმის ყველაფერზე: ოჯახურ ამბებზე, ახლადწაკითხულ წიგნებსა და მუსიკის ბიზნესის ეთიკაზე, რთველსა და ღვინის დაწურვაზე, ანდა სულაც ფეხბურთის მატჩებზე. "ფეხბურთი ხელებისთვის სასარგებლო არ არის, სამაგიეროდ ის გადასარევია ტვინისთვის", - დასძენს თორაძე და ასე ხსნის სტუდიაში გამართული დებატების თემობრივ მრავალფეროვნებას.

ბუნებრივია, სტუდიის მუშაობის მთავარი კომპონენტი გაკვეთილებია. თორაძეს სემესტრში თითო სტუდენტთან მხოლოდ ექვსი საათის დახარჯვა ევალება (უნივერსიტეტის წესებით). თუმცა, პიანისტი ტურნეებით გადატვირთული განრიგის მიუხედავად, მათთან მუშაობას გაცილებით მეტ დროს და ენერგიას ანდომებს. გარდა ამისა, თორაძე საკუთარ სახელს იყენებს ნიჭიერი სტუდენტების დასახმარებლადაც: დამწყებმა პიანისტებმა ნიუ იორკში დაკვრის შანსი სწორედ თორაძის ამ თვისების გამო მოიპოვეს. კარნეგი ჰოლში გამართული კონცერტის შემდეგ მაესტროს სტეინვეი ჰოლში მასტერ კლასის გამართვა სთხოვეს. თორაძემ კი ორგანიზატორებს თავისი მოწაფეების კონცერტი შესთავაზა. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მალე თორაძის სტუდენტები რავინიას ფესტივალზეც მიიწვიეს, ჩიკაგოსთან ახლოს.

შონ ბოტკინი, ჯულიარდის სკოლის კურსდამთავრებული, რომელმაც საუთ ბენდში სამი წელი გაატარა, ლექსო თორაძეზე ამბობს: "ლექსომ მასწავლა, როგორ გავხსნილიყავი, როგორ დამემყარებინა აუდიტორიასთან კონტაქტი და როგორ ამეხსნა მსმენელისთვის, სინამდვილეში რა ხდება მუსიკის შიგნით. ახლა თავს ისე ვგრძნობ, როგორც ნამდვილი ხელოვანი. საუთ ბენდში შესანიშნავი გარემოა. არის კონკურენცია, მაგრამ არ არის დაჩაგვრა, ზურგს უკან საკითხების გადაწყვეტა. აქ ყველაფერს მუსიკა მოიცავს".

ასეთია ლექსო თორაძის სამყარო, რომელიც მან საუთ ბენდში რამდენიმე წელიწადში შექმნა.

## შეხვედრა თამაზ ჭოლოგუასთან

კულტურის ინსტიტუტში 25 ოქტომბრიდან ე.წ. კლასგარეშე შეხვედრები და მასტერკლასები იმართება. ამ შეხვედრებზე მიწვეულნი არიან სტუმრები, რომლებთან გასაუბრებაც განსაკუთრებით აინტერესებთ ახალგაზრდებს. გუშინ უნივერსიტეტის სტუდენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფესორ თამაზ ჯოლოგუას უმასპინძლეს. ბატონმა თამაზმა დარბაზში შესვლისთანავე სთხოვა სტუდენტებს, რომ პასიური მსმენელების როლში არ ყოფილიყვნენ. მასტერკლასის თემა პუბლიცისტიკის მნიშვნელობას მიეძღვნა, ლექციის მოსმენასთან ერთად სტუდენტებმა ცნობილი ჟურნალისტისგან არაერთ შეკითხვაზე მიიღეს პასუხი. თამაზ ჯოლოგუამ მომავალ კოლეგებს სხვა სასარგებლო რჩევებთან ერთად ასეთი რჩევაც მისცა: "შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ შეცდომები ნუ შეგაშინებთ, მთავარია, გულწრფელები იყოთ. მაყურებელი, მსმენელი თუ მკითხველი სეისმომეტრივით გრძნობს, როდის ცდება ჟურნალისტი და როდის ტყუის..." სტუდენტები ფიქრობენ, რომ ასეთ შეკრებებს მათთვის ლექციებზე არანაკლები დატვირთვა აქვს.

## კალენდარი

## 30 ოქტომბერი



"რაც დრო გადის, იდეების ნაკლებად მჯერა, სულ უფრო და უფრო მწამს გრძნობების," - წერდა ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი ლუი მალი. პირველი აღიარება მალმა, როგორც საფრანგეთის "ახალი ტალღის" მოძრაობის წევრმა, 50-იან წლებში მოიპოვა. კინოში პოლიტიკური მეცნიერებიდან მოვიდა ფოტოგრაფისა და რეჟისორის, ჟაკ ივ კუსტოს მეშვეობით, და 1956 წელს კუსტოს ფილმში "ჩუმი სამყარო" (The Silent World) რეჟისორის დიპლომი მიიღო. შემდეგ რეჟისორ რობერ ბრესონის ასისტენტად მუშაობდა და პირველი სოლო ნამუშევარიც სწორედ ამ დროს შექმნა. "შეშლილი" (Frantic) - ასეთი იყო მალის რეჟისორული დებიუტის სახელწოდება, რომელიც დაჯილდოვდა კიდეც.

ამას მოჰყვა ლუი მალის უამრავი ფილმი, გამორჩეული თემატური მრავალფეროვნებით და ხელოვანის ფართო თვალსაწიერით. თითოეულ ფილმზე მუშაობის დროს რეჟისორი ცდილობდა თავისი თავი არ გაემეორებინა. მხოლოდ ერთხელ იმუშავა ჰოლივუდში, მას არ იზიდავდა ჰოლივუდის გარემო, ამიტომ თავიდანვე უარი თქვა ამ გარემოსთან კონტაქტზე და ინდივიდუალურ პროექტებზე გადაერთო. მისი ინდივიდუალური შემოქმედება ახალი სიტყვა იყო არა მარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო კინოს ისტორიაში.

დღეს ფრანგ კინორეჟისორს 70 წელი შეუსრულდებოდა. **ლუი მალი** 1932 წლის 30 ოქტომბერს დაიბადა. გარდაიცვალა 1995 წელს 63 წლისა.

## "სიყვარულის თანხლებით"

### ამერიკაში ლევან შენგელიას ალბომი გამოვიდა

მადი სერებრიაკოვა

ლევან შენგელიას საქართველოში ცოტა თუ იცნობს. მიუხედავად ამისა, აშშ-ში მოღვაწე ქართველ მუსიკოსს დასავლეთში უკვე სამი ალბომი აქვს გამოცემული. ვაშინგტონში მოწყობილი უკანასკნელი ალბომის პრეზენტაციას თავად მერი, გუბერნატორი და ლათინურ-ამერიკული მუსიკის ვარსკვლავი - გლორია ესტეფანიც დაესწრნენ.

სამწუხაროდ, შენგელიას პირველი ორი ალბომი ქართველი მსმენელისთვის სრულიად უცნობი დარჩა. მესამე ალბომი, "სიყვარულის თანხლებით" (ორიგინალში ინგლისური სახელწოდებაა In the Presence of Love), ავტორის კოლაბორაციულ პროექტს წარმოადგენს ქართველ და ესპანელ მუსიკოსებთან ერთად. ალბომის ქართულობა ტრადიციულ მრავალხმიანობასთან ინტონაციური სიახლოვით შეიგრძნობა. კომპოზიციები ესპანური მუსიკისგანაც ბევრით არის დავალებული. ამერიკულ ხარისხზე ჟღერადობა მეტყველებს.

In the Presence of Love ცხრა ვოკალურ-ინსტრუმენტული კომპოზიციისგან შედგება, თუმცა ვოკალი აქ წამყვან ფუნქციას არ ასრულებს და მსუბუქი იმპროვიზაციებისა და ქართული ხალხური საგუნდო ფრაგმენტებისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარიდან, პროექტზე საკმაოდ ცნობილმა ანსამბლმა "გეორგიკამ" იმუშავა. ალბომის პროდიუსერად, თავად შენგელიასთან ერთად, ამერიკელი რონ კოტეიკ-ჰანიქატიც გვევლინება, რომელიც გიტარისა და ბასის პარტიებსაც ასრულებს. პროექტს კიდევ რამოდენიმე ამერიკელი ბექ-ვოკალისტი,




*ლევან შენგელიას კომპაქტ დისკის გარეკანი*

საქსოფონისტი და დრამერი ჰყავს. ლევან შენგელია კი წამყვან პიანისტად და კლავიშიან საკრავებზე შემსრულებლად გვევლინება.

ყველაზე საინტერესოა მესამე კომპოზიცია In the Presence of Love , რომლის სახელსაც ატარებს მთელი ალბომი. ტრადიციული ინსტრუმენტების (სალამური, ფანდური...) გარდა აქ ქართული ჰარმონია, მელოდიკა, ხორუმის რიტმი უფრო საცნობია. ტიპიურ ქართულ გუნდებს "ლათინოსური" რეჩიტატივი და კლასიკურ ვოკალთან დაახლოებული იმპროვიზაციაც ძალზედ ორგანულად ერწყმის.

დანარჩენი კონპოზიციები საკმაოდ განსხვავებული ხასიათისაა და ქართულ ეთნო- მუსიკასათან ნაკლებ სიახლოვეს ამჟღავნებს. მათში უფრო მეტად ლათინურ-ამერიკული რიტმები დომინირებს და ვოკალური იმპროვიზაციებიც ქართველი მსმენელისთვის ეგზომ საყვარელ ტანია მარიას მოგვაგონებს. გლორია ესტეფანის არ იყოს, რომელმაც ალბომს განსაკუთრებით კინემატოგრაფისტთა წრეში უწინასწარმეტყველა წარმატება, In the Presence of Love–ს მართლაც ფილმის საუნდთრექს წააგავს. ალბომით მელოდიური, და თან , საცეკვაო მუსიკის მოყვარულებიც ისიამოვნებენ.

ოკეანის სანაპიროს სენტიმენტალურ ასოციაციებს აღძრავს მაიამიში შექმნილი Missing you და ლევან შენგელიას სოლო-ნომრები - Sunrise on the Sea და Desert Lightning. გაცილებით ცოცხალი და ენერგიულია ტანგოსა და სალსას საუკეთესო ტრადიციებით შექმნილი Descarga Celestial. აღსანიშნავია მასში გიტარისტისა და დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებლის კარგი ნამუშევარი. ქართულ ხალხურ და ქალაქურ მელოდიკას ძალზედ საინტერესოდ წარმოაჩენს ალბომის ერთ-ერთი საუკეთესო კომპოზიცია Beatrice.

In the Presence of Love-ის ანალოგების მოძებნა მრავლად შეიძლება. გარკვეულწილად, იგი საკლუბო მუსიკასთანაც ახლოსაა (ამ შემთხვევაში უფრო ძველი იმპროვიზაციული მუსიკის ტრადიციებს ვგულისხმობ და არა თანამედროვე ტრანსსა, თუ ე.წ. "ეისიდ-ჯაზს").

ლევან შენგელიას ახალი ალბომით კმაყოფილი გლორია ესტეფანის გარდა, პროექტი მუსიკალურმა კრიტიკოსებმაც დადებითად შეაფასეს. დეკემბრიდან იგი თბილისური რადიოქსელის როტაციაშიც ჩაეშვება. საქართველოში შენგელიას ექსკლუზიური პროდიუსერი გიორგი ოქრიაშვილია. მისი პირველი ორი ალბომისაგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოში თვალითაც არ გვინახავს, ქართველი პროდიუსერი ახალი ალბომის თბილისში გაყიდვასაც გვპირდება. ეს ალბომი კანადაში უკვე 500 ათასიანი ტირაჟით იყიდება.

## "არტ-იმედი" და პიანისტთა ეროვნული კონკურსი

*კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს 1-11 ნოემბრის ჩათვლით კვლავ უმასპინძლებს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრი. თერთმეტი დღის განმავლობაში კულტურის ცენტრის დიდ და მცირე დარბაზებში ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა II ეროვნული კონკურსი გაიმართება.*

ნანა ბასილაშვილი

ნოდარ გაბუნიას სახელობის ეროვნული კონკურსი თანდათან იმკვიდრებს ადგილს ქართულ მუსიკალურ სამყაროში. წელს იგი უკვე მეორედ გაიმართება და ამჯერადაც მისი ორგანიზატორი, კონკურსის დამაარსებელი და გენერალური დირექტორი, მუსიკალურ-კულტურული ცენტრისა და კომპანია "არტ-იმედის" სოლისტი ვალერიან შიუკაშვილია. "გასულ წელს გამართულ კონკურსთან შედარებით წელს, მიუხედავად მისი ეროვნულ ღონისძიებად გამოცხადებისა, მეტად ფართო აღიარება მოიპოვა. რისი დასტურიც გახლავთ კონკურსის საპატიო საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოიოლას უნივერსიტეტის მხარდაჭერა", - განაცხადა ვალერიან შიუკაშვილმა. წელს აღნიშნული კონკურსი Epta-Georgia-ს (ფორტეპიანოს პედაგოგთა ევროპის ასოციაცია საქართველოში) ეგიდით ტარდება.

ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსის იდეა მის დამაარსებლებს ქართველი კომპოზიტორის მუსიკის პოპულარიზაციის გარდა, საქართველოს მასშტაბით, ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსს-შემსრულებელთა აღმოჩენასა და მათი პროფესიული დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. წლევანდელ კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ პიანისტები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. კონკურსის ორგანიზატორებმა წინასწარ აჭარისა და იმერეთის რეგიონებს ესტუმრნენ და შესარჩევი ტურები გამართეს. შარშანდელთან განსხვავებით, წელს კონკურსი ორ ასაკობრივ კატეგორიაში ტარდება: "ა" კატეგორიაში 15 წლამდე ასაკის პატარა მუსიკოსები ერთიანდებიან, ხოლო "ბ"-ში – 16-დან 26 წლის ჩათვლით. 10 დღის განმავლობაში 36 მონაწილის შედეგებს, შესაბამისად ჟიურის ორი ჯგუფი ("ა" კატეგორია - ვალერიან შიუკაშვილი (თავმჯდომარე), ირინა ხერუი, ედიშერ რუსიშვილი, ლალი სანიკიძე, თემურ ელიავა, დოდო სიჭინავა. "ბ" - ფაინა აიზენბერგი (თავმჯდომარე), მარია შური, ალექსანდრე გარბერი, ვანდა კახიძე, ციცინო თოდუა, ნინო ჭირაქაძე, მიხეილ კილოსანიძე, ნანა ლესელიძე) შეაჯამებს.

ნოდარ გაბუნიას სახელობის პირველი ეროვნული კონკურსისათვის საჭირო სახსრები მისმა დამაარსებელმა ვალერიან შიუკაშვილმა თავად მოიძია. რაღა თქმა უნდა მას მხარში ედგნენ ნოდარ გაბუნიას ოჯახი და საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო წევრები: გია ყანჩელი, იური ბაშმეტი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და აწ განსვენებული ჯანსუღ კახიძე. წლევანდელი კონკურსის გენერალურ სპონსორად კი კომპანია "არტ-იმედი" გვევლინება.

კონკურსის ლაურეატებს გადაეცემათ სამახსოვრო მედლები და ფულადი ჯილდოები. გრან-პრის (5 000 ლარი) მფლობელი მხოლოდ დახურვის საზეიმო ცერემონიალზე გახდება ცნობილი. შარშანდელ კონკურსზე გრან-პრის მფლობელი არ გამოვლენილა, შიუკაშვილის თქმით, მას მხოლოდ ღირსეული კონკურსანტი დაიმსახურებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ევროპის წლის ავტომობილის ფინალისტები

დასასრულს უახლოვდება ტრადიციული საავტომობილო გამოკითხვა, რომელიც ყოველი წლის მიწურულს გამოავლენს სამოდელო სეზონის საუკეთესო ევროპულ ავტომობილს.




წინასწარმა გამოკითხვამ გამოავლინა კონკურსის ექვსი ფინალისტი. კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც ძველი კონტინენტის 58 წამყვანი საავტომობილო მწერალია (თითოეული თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს 25 ქულას), ნოემბრის შუა რიცხვებში საუკეთესოს აარჩევს. 12 ნოემბერს ეს კომისია თავის გადაწყვეტილებას მიიღებს, ერთი კვირის შემდეგ კი გამოცხადდება ევროპის 2003 წლის საუკეთესო ავტომობილი.

საუკეთესოს წოდებისთვის კონკურსს შემორჩნენ: სიტროენ S3, ფორდ ფიესტა, ჰონდა ჯაზი, მაზდა6, E-კლასის მერსედეს-ბენცი, ოპელ ვექტრა და რენო მეგანი. ბუნებრივია, ყველა მათგანი ევროპაში არ მზადდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი სწორედ ძველი კონტინენტის ბაზრისთვის არიან განკუთვნილნი.

## „ლენდ როვერი„ მცირე ჯიპს გამოუშვებს

კომპანია "ლენდ როვერი" მალე შეუდგება სრულიად ახალი, მცირე ზომის უგზოობის ავტომობილის შექმნაზე მუშაობას. ეს იქნება უბრალო და საიმედო ავტომობილი, რომლის ფასიც სულ რაღაც 15 ათასი დოლარი იქნება და ინგლისური მარკის სამოდელო რიგში ყველაზე დაბალ, "ლენდ როვერ ფრილენდერის" ქვედა საფეხურს დაიკავებს.

როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ახალი ავტომობილი "სულისკვეთებით" ახლოს იქნება "ლენდ როვერის" პირველ მოდელებთან, რომლებიც ჯერ კიდევ წინა საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდნენ. თუმცა, ჯერ არაფერს ამბობენ მისი ტექნიკური პარამეტრების შესახებ.

"ლენდ როვერის" ხელმძღვანელ რობერ დოვერის განცხადებით, ახალ ავტომობილზე მუშაობის დაწყება ჯერ ნაადრევია, რადგან კომპანიის კონსტრუქტორებს დასამთავრებელი აქვთ მოდელების "დეფენდერის", "დისკავერისა" და "ფრილენდერის" მოდერნიზება. თუმცა, დასძენს, რომ ახალი ავტომობილის დებიუტი, სავარაუდოდ, 2006 წელს შედგება.

ამასთან, სანამ ახალი ავტომობილის შექმნაზე დაიწყებს მუშაობას, "ლენდ როვერს" დაგეგმილი აქვს კიდევ ერთი ახალი, "ბეემვე X5"-ის კლასის უგზოობის ავტომობილის კონვეიერზე დაყენება. წინასწარი ვარაუდით, მისი საბაზო ღირებულება 60 ათასი დოლარი იქნება.

## კომპაქტვენი „ბეემვესგან„

რაც დრო გადის, ბავარიული საავტომობილო კომპანია სულ უფრო აფართოებს საკუთარ სამოდელო რიგს. სულ ხუთიოდე წლის წინ ვინ იფიქრებდა, თუ "ბეემვე" ჯიპების წარმოებას დაიწყებდა, მაგრამ ახლა მიუნხენური წარმოების უგზოობის ავტომობილები ბაზრის ამ სეგმენტის ძველთაძველ ლიდერებსაც კი ავიწროებენ.



ჰოდა, კომპანიამ ოქტომბრის დასაწყისში გამოაცხადა, რომ მის საკონსტრუქტორო შტაბს უკვე კარგა ხნის დაწყებული აქვს მუშაობა კომპაქტვენის შექმნაზე, რომელიც, სავარაუდოდ, 2004 წლიდან გამოჩნდება ბაზარზე.

გერმანულ ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტის" მონაცემებით, ახალი ავტომობილის პროტოტიპი უკვე მზადაა და მალე დაიწყება მისი სასტენდო და საგზაო გამოცდები. მისთვის ძრავების დამზადებაზე "ბეემვე" ფრანგულ ჯგუფ "პეჟო-სიტროენთან" ერთად იზრუნებს.

თუმცა, აგრეგატის შექმნაში ძირითად როლს მაინც ბავარიელები შეასრულებენ. სამაგიეროდ, მათი წარმოება ფრანგთა ხელში იქნება.

## „პეჟო-სიტროენის„ მიზანი

წლის დასაწყისში შემუშავებული გეგმის მიხედვით, ფრანგულ საავტომობილო ჯგუფ "პეჟო-სიტროენს" იმედი აქვს, რომ წლევანდელ სამოდელო წელს 3.25 მილიონი ავტომობილის რეალიზებას შეძლებს, რაც 3.8 პროცენტით მეტი იქნება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ეს იმ დროს, როცა, წინასწარი შეფასებით, წლეულს ევროპაში ახალი ავტომობილების გაყიდვის მოცულობა 4-5 პროცენტით დაეცემა. კომპანიის აღმასრულებელი ჟან-მარტინ ფოლცი იმედოვნებს, რომ საფონდო ბირჟის კრიზისი გაყიდვაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

## A-კლასი ორ კლასად გაიყოფა

უკვე დიდი ხანია, საგამოცდო პოლიგონზე ტესტებს გადის "მერსედეს-ბენცის" A-კლასის ერთმოცულობიანი ავტომობილის მეორე თაობის მოდელი, რომლის დებიუტიც შტუტგარტელებს 2004 წლისთვის აქვთ დაგეგმილი.

ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს კლასი ორ ქვეკლასად დაიყოფა. პირველი იქნება საკუთრივ A-კლასი, მეორე კი - უფრო მოზრდილი, კომპაქტური მინივენების კლასთან ახლო მყოფი ახალი, სავარაუდოდ, B-კლასი.

პირველი ძველ სახელწოდებას შეინარჩუნებს და წინამორბედზე 15 სანტიმეტრით გრძელი იქნება. ახალი კლასის ავტომობილი ახლანდელ საბაზო მოდელთან შედარებით 25 სანტიმეტრით დაგრძელდება. ორივე ავტომობილი, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე პლატფორმაზე აიგება და ძრავების ანალოგიური კომპლექტი იქნება გამოყენებული. ამასთან, ისინი გარეგნობითაც ემგვანებიან ერთმანეთს. ერთნაირი იქნება წინა ნაწილის გაფორმება, უკანა კი მათ განასხვავებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ეღირება ორივე ავტომობილი, თუმცა, სპეციალისტთა ვარაუდით, დღევანდელი A-კლასის ღირებულებისგან არც ისე შორს უნდა იყვნენ.

## „MG როვერი„ უგზოობის ავტომობილს შექმნის

ინგლისური კომპანია "MG როვერი" ინტენსიურად მუშაობს საკუთარი სამოდელო რიგის განახლებასა და გაფართოებაზე. სიახლეთაგან ყველაზე საინტერესო ის იქნება, რომ მალე მყიდველი მისი სამარკო ნიშნით დამშვენებულ უგზოობის ავტომობილს მიიღებს.

რამდენია ეს "მალე", ამას კომპანიის ხელმძღვანელები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. თუმცა, ცნობილია, რომ ეს ავტომობილი აიგება "როვერ 75"-ის პლატფორმაზე, რომელიც "როვერმა" ჯერ კიდევ "ბეემვეს" მფლობელობაში ყოფნისას შექმნა. პლატფორმა უნივერსალურია და შესაძლებლობას იძლევა, მის ბაზაზე შეიქმნას წინა, უკანა და ოთხივე წამყვანთვლიანი (სრული მოდების მქონე) მოდელები.

ახალი ავტომობილი შევა ეგრეთ წოდებულ გაზრდილი გამავლობის უნივერსალების კლასში, სადაც კონკურენტებად დახვდებიან "აუდი A6 ოლროუდი" და "ვოლვო V70 ქროს ქანთრი". "MG როვერის" ხელმძღვანელობა ბაზრის ამ კლასში დამკვიდრებას საჭიროდ მიიჩნევს, რადგან ბაზრის მოცემულ სეგმენტზე ავტომობილების გაყიდვის სტაბილური ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

# წლის ჯიპი - „ვოლვო XC90„

ტრადიციულმა კონკურსმა, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს ავტორიტეტული საავტომობილო გამოცემა "მოტორ ტრენდი", 2003 წლის საუკეთესო უგზოობის ავტომობილად დაასახელა შვედური კომპანია "ვოლვოს" ისტორიაში პირველი ასეთი მოდელი, რომლის სახელწოდებაცაა "ვოლვო XC90".

გამოკითხვის წესების თანახმად, კონკურსში მონაწილეობენ სრულიად ახალი ავტომობილები, ან უკვე ცნობილი მოდელების განახლებული ვერსიები. გამოცემის ექსპერტები მათ ბევრი პარამეტრის მიხედვით აფასებენ და მიღებული შედეგების შეჯამების შემდეგ ასახელებენ წლის საუკეთესოს.

2003 წლის საუკეთესო უგზოობის ავტომობილის გამოსავლენ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ავტომწარმოებლის მიერ შექმნილმა თოთხმეტმა ავტომობილმა, რომელთა შორისაც იყვნენ ისეთი ავტორიტეტები, როგორებიცაა "ბეემვე X5", "აკურა RX300", "ჰამერ H2", "ფორდ ისქპედიშნ", "ჰონდა ელემენტი" და ახალი "რეინჯ როვერი".



ამის მიუხედავად, "მოტორ ტრენდის" ექსპერტმა ჟურნალისტებმა თავიანთი არჩევანი "ვოლვო XC90"-ზე შეაჩერეს. "ეს არის კარგად დაბალანსებული ავტომობილი, რომელსაც ცუდ გზებზე გადაადგილების შესანიშნავი შესაძლებლობები აქვს. მოსახერხებელია თავისი დიდი სალონითა და საწვავის ზომიერი მოხმარებით", - ასეთია ჟურნალის რედაქტორ ტოდ ლასას აზრი.

გამოცდების შემდეგ ექსპერტებმა აღნიშნეს შვედური ავტომობილის მაღალი კომფორტულობა, რაც მიღწეულია იმის ხარჯზე, რომ იგი დამზადებულია მსუბუქი ავტომობილის პლატფორმაზე.

მკითხველს შევახსენებთ, რომ "ვოლვო XC90"-ის მსოფლიო დებიუტი შედგა პარიზის ავტოსალონზე. მისი გაყიდვა, პირველ რიგში აშშ-ის ბაზარზე, ნოემბრიდან დაიწყება. ოკეანის გაღმა გაემგზავრება 6000-ზე მეტი ავტომობილი, რომლებსაც, კომპანიის განცხადებით, უკვე ჰყავს პატრონი - ეს პარტია, წინასწარი შეკვეთებით, უკვე მთლიანად გაყიდულია.

"ვოლვო XC90"-ის საბაზო ღირებულება ამერიკაში 35 100 დოლარია. უფრო ძვირი მოდიფიკაცია, რომლის სალონიც ტყავითაა შემოსილი და სახურავზე ლუკიც აქვს, 40 ათასი დოლარი ეღირება. ავტომობილი, რომელიც ხუთ და ექვსცილინდრიანი ტურბომოტორებით აღიჭურვება, ევროპულ ბაზარზე მოგვიანებით გამოჩნდება. თუმცა, ისევე როგორც ამერიკაში, ძველ კონტინენტზეც უკვე დაწყებულია მასზე წინასწარი შეკვეთების მიღება.

# ბესტსელერი დებიუტამდე ორი წლით ადრე

ლეგენდარული მარკა ბუგატი თავის მეორე სიცოცხლეს დაიწყებს 2004 წლიდან, როცა ბაზარზე გამოჩნდება მილიონ ევროდ ღირებული სუპერავტომობილი "ბუგატი ვეირონ EB 16.4".

"ბუგატი აუტომობილსის" პრეზიდენტ კარლ-ჰაინც ნოიმანის განცხადებით, კომპანია სულ 300 ცალი "ვეირონის" დამზადებას აპირებს. ფაბრიკა კვირაში ააწყობს ორ ავტომობილს, წელიწადში კი - ასს.

"ფოლკსვაგენის" სპეციალისტებმა უკვე გამოსცადეს პირველი სამი ავტომობილი და მალე მეოთხის ტესტირებას შეუდგებიან. "ჩვენი ავტომობილები გაცილებით მოხდენილი და კომფორტულია, ვიდრე, მაგალითად, "ფერარი ენცო". ამ მოდელით ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საკუთარი "უმაღლესი ლიგა", რომელშიც, ჯერჯერობით, მეტოქეობას ვერავინ გაგვიწევს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, პირველ "ვეირონს" უკვე 2004 წლის დასაწყისში მიიღებს მომხმარებელი", - ამბობს ნოიმანი.



ავტომობილი აღიჭურვება 8-ლიტრიანი, W16 კონფიგურაციის და 4 ტურბოკომპრესორიანი ძრავით, რომლის სიმძლავრეც 1001 ცხენის ძალაა. ამ აგრეგატით "ვეირონის" მაქსიმალური სიჩქარე 406 კმ/სთ-ს მიაღწევს, ადგილიდან 300 კმ/სთ-ს კი სულ რაღაც 14 წამში განავითარებს. პირველ წელიწადს მას 75 ეგზემპლარად დაამზადებენ. ამასთან, "ფოლკსვაგენი" იმედოვნებს, რომ 2006 წლიდან პროექტი მომგებიანიც გახდება.

ნოიმანის განცხადებით, უკვე დაწყებულია მუშაობა "ბუგატის" მეორე მოდელის, როდსტერის შექმნაზე, რომელიც, წინამორბედთან შედარებით, უფრო მძლავრი აგრეგატით აღიჭურვება.

შეგახსენებთ, რომ პირველად "ვეირონი" 1999 წლის ოქტომბერში, ტოკიოს ავტოსალონზე გამოჩნდა, როგორც კონცეპტუალური ქმნილება. როგორც კი გამოცხადდა, რომ მოდელი წარმოებაში წავა, "ფოლკსვაგენმა" მაშინვე დაიწყო მასზე წინასწარი შეკვეთების მიღება.

ყიდვის მსურველი ვალდებულია, განაცხადის შეტანისთანავე, დეპოზიტის სახით, 300 ათასი ევრო გადაიხადოს. ამის მიუხედავად, როგორც ნოიმანმა განაცხადა, უკვე მიღებულია შეკვეთები გეგმურ 300-ვე ავტომობილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბუგატი ვეირონი" მანამ გაიყიდა, სანამ მისი წარმოება დაიწყებოდა.

# სტუდენტური შედევრი წარმოებაში

ბირმინგემის მოტორშოუზე პირველად იხილა მზის სინათლე ჰადერსფილდის უნივერსიტეტის ტექნიკური დიზაინის ფაკულტეტის ბოლო კურსის ოთხი სტუდენტის მიერ შექმნილმა სპორტულმა ავტომობილმა, რომელსაც ავტორებმა, მოფერებით, "ტონიკ-R" შეარქვეს და რომელსაც მცირესერიულად წარმოება არ ასცდება.

დიზაინერთა კვარტეტმა, რომელშიც შევიდნენ უილ ბაქსტერი, კოლინ უილიამსი, ანგუს ფიტონი და პოლ ფილპოტი, ფირმა "უესტფილდის" წარმოების ჩარჩოს ზომების მიხედვით შექმნეს მეტად მსუბუქი, ქალაქგარე სეირნობისთვის განკუთვნილი ორადგილიანი სპორტული ღია ავტომობილი, რომელიც მომავალში "კავასაკის" წარმოების 900 კუბური სანტიმეტრის მუშა მოცულობის მქონე ოთხტაქტიანი (სუპერბაიკებისთვის განკუთვნილი) ძრავით აღიჭურვება, რომელიც 120 ცხენის ძალას ავითარებს და "ტონიკს" ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე 4.2 წამში აჩქარებს.



ავტომობილი, რომლის მაქსიმალური სიჩქარეც 220 კმ/სთ-მდე იქნება, 30 ათასი დოლარის ფარგლებში ეღირება. თუ მისი წარმოების საქმე გადაწყდა, წლიურად 50 ცალი ასეთი ავტო დამზადდება და, ძირითადად, ლეგენდარულ "კატერჰემებს" გაუწევს კონკურენციას.

ასაკის მიუხედავად, ოთხივე სტუდენტს საავტომობილო და დიზაინერულ სფეროში მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა. მაგალითად, ფიტონი პოპულარულ ინგლისურ ჟურნალებში, "აუტოქარსა" და "ტოპ ჯეარში" გადიოდა პრაქტიკას, უილიამსი კომპანია TVR-ს დიზაინერულ ცენტრში მუშაობდა, ფილპოტის მიერ კომპანია "ლიუმერ იახტში" მუშაობისას შექმნილმა პატარა იახტამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში, ბაქსტერს კი, თავის დროზე, მონაწილეობა მიუღია "კატერჰემ 7 კონცეპტის" შექმნაში.

საქმეს მას შემდეგ მიეცა მსვლელობა, რაც ფიტონის მიერ შექმნილმა ესკიზებმა "უესტფილდის" დირექტორ კრის სმიტის მოწონება დაიმსახურა. ბიჭებმა გადაწყვიტეს, რომ წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას ერთობლივად უკეთესად გამოიყენებდნენ. ხანდახან, თუ ისე მოხდებოდა, რომ დიზაინის შემუშავებისას მათ შორის უთანხმოება წარმოიშობოდა, მაშინ გადაწყვეტილებას უბრალო კენჭისყრით იღებდნენ.

სტუდენტთა ენთუზიაზმს ხელი შეაშველა რამდენიმე სოლიდურმა კომპანიამ და ორგანიზაციამ, რომელთა შორისაც არიან ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბი, "ესპლი აუტოპარტსი", "იაგუარი" და "დენაკო".

დღეისთვის ბაქსტერსა და უილიამსს უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა კონცეპტკარისგან საგზაო ავტომობილის შექმნაზე. მათ იმედი აქვთ, რომ პროტოტიპი გაზაფხულისთვის მზად ექნებათ. თავიდან სადიპლომო პროექტით ფირმა "უესტფილდიც" დაინტერესდა, მაგრამ ის რადიკალურმა დიზაინმა დააფრთხო ("ტონიკ-R" ბაზრისთვის მიუღებლად მიიჩნიეს) და სტუდენტებს დამოუკიდებლად მოუხდათ მუშაობის გაგრძელება.

დღეს კი ბაქსტერი აცხადებს, რომ "ტონიკ-R"-ის წარმოების დასაწყებად სოლიდური პარტნიორი გამოჩნდა. თუ ვინაა იგი, მას არ დაუზუსტებია, თუმცა, დასძინა, რომ ეს არის კარგად ცნობილი ბრიტანული კომპანია.

ჩვენ კი იმასღა დავამატებთ, რომ ამგვარი ნიჭიერი დიზაინერები, რომლებსაც რეალური და მიმზიდველი პროექტების განხორციელება ხელეწიფებათ, საქართველოშიც საკმაოდ გვყავს. მათ ერთი სული აქვთ, როდის შეასხამენ ფრთებს საკუთარ ნააზრევს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თუ ინგლისელ სტუდენტებს რამდენიმე სოლიდური მხარდამჭერი ჰყავთ, ჩვენებურები ასეთი პარტნიორების და, თუ გნებავთ, მეცენატების სიმრავლით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან.

# ყველაზე დაბალი ავტომობილი

ინგლისელმა ინჟინერმა, 27 წლის ადრიან ბელმა ოთხი წელიწადი მოანდომა მსოფლიოში ყველაზე დაბალი ავტომობილის შექმნას, რითაც გინესის რეკორდების წიგნში მოიპოვა ადგილი.

მოდელ "მინის" ბაზაზე მან შექმნა ორიგინალური ავტომობილი, რომლის სიმაღლე სულ რაღაც 60 სანტიმეტრია, გზის საფარიდან დაშორება კი - მხოლოდ 2.5 სანტიმეტრი.

მასში მძღოლი სპეციალური ლუკით ძვრება. ამასთან, კოკპიტში მოთავსებული, სანახევროდ მაინც ავტომობილის გარეთ რჩება. ეს უცნაური ავტომობილი მოძრაობაში მოჰყავს 3.5-ლიტრიან, V8 კონფიგურაციის მონსტრს, რომლის წყალობითაც სიჩქარე 250 კმ/სთ-ს აღწევს.



ბელის თქმით, ამ ავტომობილის იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც გინესის რეკორდების წიგნს კითხულობდა. "იქ ყველანაირი ავტომობილის შესახებ წერია. არ იყო მხოლოდ ყველაზე დაბალი ავტომობილი. ჰოდა, მეც მისი შექმნა გადავწყვიტე", - ამბობს ბელი.

თურმე, ნუ იტყვით და, ბელი აპირებს, თავისი პირმშო აუქციონზე გაყიდოს. იქიდან მიღებული თანხით შეიძენს პატარა სახლს, რომელშიც თავის მეგობარ გოგონასთან ერთად იცხოვრებს. მისი თქმით, ავტომობილის დასრულებისთანავე სიყვარული ეწვია და მანქანაზე მუშაობამ უკანა პლანზე გადაიწია. გამომგონებელი იმედოვნებს, რომ რეკორდსმენ ავტომობილში 30 ათას გირვანქა სტერლინგს მისცემენ, რითაც ბირმინგემის მახლობლად სახლს შეიძენს და თავის სატრფოზე იქორწინებს.

ადრიანს ჩაფიქრებული აქვს, თაფლობის თვის შემდეგ კიდევ ერთი პროექტი განახორციელოს, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, ამჯერად რა სფეროს ეხება იგი.



## „GM დეუმ" მუშაობა დაიწყო

გაკოტრებული "დეუ მოტორსის" ბაზაზე, რომელიც ამა წლის აპრილში შეისყიდა "ჯენერალ მოტორსმა", 17 ოქტომბერს ფუნქციონირება დაიწყო მის საფუძველზე შექმნილმა ახალმა კომპანიამ "GM დეუ აუტო ენდ ტექნოლოჯი კომპანი".

ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა კორპორაცია "ჯენერალ მოტორსმა", რომელმაც "დეუს" აქტივების ბაზაზე, კორეის განვითარების ბანკთან ერთად (ეს ბანკი "დეუს" ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორი იყო) შექმნა ახალი საავტომობილო კომპანია, რომელშიც ამერიკული გიგანტის წილი 42.1 პროცენტს (251 მილიონი დოლარი) შეადგენს, "სუძუკი მოტორსის" (ეს კომპანიაც "ჯენერალ მოტორსის" ჯგუფში შედის) ანგარიშზე 14.9 პროცენტია (89 მილიონი), "ფუძი ჰევი ინდასტრისაზე" (ესეც "ჯენერალ მოტორსს" ეკუთვნის და აწარმოებს "სუბარუს") კი - 10 პროცენტი (60 მილიონი). დანარჩენი 33 პროცენტი რჩებათ "დეუს" კრედიტორებს, რომელთა შორისაც უმსხვილესია კორეის განვითარების ბანკი.

აღსანიშნავია, რომ "ჯენერალ მოტორსს" ახალ პროექტში თავისი სხვა პარტნიორების - "ისუძუსა" და "ფიატის" ჩართვაც სურდა, მაგრამ ეს ორი კომპანია მძიმე ფინანსურ კრიზისშია, რის გამოც "დეუს" პროექტში კაპიტალის ინვესტირებას ვერ შეძლებენ. საუბარი იყო იმაზეც, რომ "GM დეუში" უნდა ჩადებულიყო "ჯენერალ მოტორსის" ჩინელი პარტნიორის, "შანხაი ოტომოტივის" კაპიტალიც, მაგრამ ამერიკელებმა ეს ხმები უარყვეს.

ახალ კომპანიას გადაეცა სამი საავტომობილო ქარხანა (ორი კორეული, ერთიც ვიეტნამური), ასევე "დეუ მოტორსის" ავსტრიული, ბენილუქსის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, პუერტო რიკოს, ესპანეთისა და შვეიცარიის განყოფილებები. კიდევ ერთი ქარხანა, რომელიც ქალაქ ბაპიუნგში (სამხრეთ კორეა) მდებარეობს, გარდაიქმნა კომპანია "დეუ ინჩეონ მოტორ კომპანიდ", რომელიც, სულ ცოტა, ექვსი წლის განმავლობაში გააგრძელებს ავტომობილების, ძრავების, ტრანსმისიების და სხვა მაკომპლექტებელი ნაწილების წარმოებას, რომლებსაც შემდგომში მიაწვდის "GM დეუს", ეს უკანასკნელი კი მათ საჭიროებისამებრ გამოიყენებს. ამასთან, "ჯენერალ მოტორსი", ამავე პერიოდში, ახალი კომპანიის სრულად შესყიდვის უფლებასაც იტოვებს.



დეტროიტის "რენესანს სენტერი" - "ჯენერალ მოტორსის" შტაბ-ბინა

გათვალისწინებულია, რომ "GM დეუს" პროდუქცია მსოფლიოს 80 ქვეყანაში გაიყიდება. ახალი კომპანიის პრეზიდენტად და აღმასრულებელ დირექტორად "ჯენერალ მოტორსმა" ნიკ რეილი დანიშნა.

პარიზის ავტოსალონის დღეებში რეილიმ გამოაცხადა, რომ "ჯენერალ მოტორსს" "დეუს" შეძენისთვის სამი წელიწადი დასჭირდა და, ალბათ, ამდენივე დასჭირდება, რათა კორეულმა კომპანიამ აანაზღაუროს მასზე დახარჯული 251 მილიონი დოლარი და მოგებაზე დაიწყოს მუშაობა.

ახალი კომპანიის მიერ ევროპულ ბაზარზე თავისი ახალი პროდუქტის, "დეუ კალოსის" გამოშვება მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯია. რეილი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში კომპანია ეცდება, კორეასა და ევროპაში ხელახლა დამკვიდრდეს, მაგრამ ამერიკულ ბაზარზე გასვლისგან ჯერჯერობით თავს შეიკავებს.

კრედიტორებმა ახალ კომპანიას უფლება მისცეს, განახორციელოს ინვესტიციები სამოდელო რიგის სამი მოდელის მოდერნიზაციაზე, მაგრამ რეილი აცხადებს, რომ გაცილებით მეტია საჭირო, რათა გაფართოვდეს "GM დეუს" სამოდელო რიგი და ამით კომპანია უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. ამას კი დრო და მოთმინება სჭირდება.

პარალელურად, გაკოტრებულად გამოცხადდა "დეუ მოტორ ამერიკა", რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ის დილერები, რომლებიც ცდილობდნენ, კორეული მარკის ავტომობილები ამერიკის ბაზარზე გაესაღებინათ. ბევრი მათგანი უკვე დაიხურა, ბევრმა კი სხვა კომპანიებთან დაიჭირა საქმე.

სასაცილო ის არის, რომ, საბოლოოდ, "ჯენერალ მოტორსს" თითქმის იმაზე ათჯერ უფრო იაფი დაუჯდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდა. თავიდან ამერიკელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, "დეუში" 4.5 მილიარდი დოლარი გადაეხადათ, მაგრამ როცა აუქციონში მონაწილეობა "ფორდმაც" მოისურვა, კრედიტორებმა მაზანდა აწიეს.

აუქციონი გაჭიანურდა. რაც დრო გადიოდა, "დეუ" სულ უფრო ცუდად იყიდებოდა. შესაბამისად, კომპანიის აქციებიც დაეცა და აუქციონზე მოთხოვნილი თანხაც მცირდებოდა. მერე კი "ფორდმა" უარი განაცხადა თითქმის მოგებულ აუქციონში მონაწილეობაზე და "ჯენერალ მოტორსი" ერთადერთ მყიდველად დარჩა.

ამ გაზაფხულზე, როცა ბოლო აუქციონი უნდა გამართულიყო, იმ ოთხი ქარხნისა და ევროპასა და კორეაში სადილერო ქსელის ღირებულება, რომლებიც "დეუდან" ამერიკელებს სურდათ, მხოლოდ 597 მილიონი დოლარი ღირდა.

ასე დაზოგა "ჯენერალ მოტორსმა" "დეუს" შეძენისას თითქმის 4 მილიარდი დოლარი.

## „ფიატი" ორცეცხლშუა

22 ოქტომბერს ინდუსტრიულმა ჯგუფმა "ფიატმა" გამოაცხადა, რომ ფინანსური კრახის წინაშე მყოფმა მისმა ავტომწარმოებელმა ფრთა "ფიატ აუტომ", 31 აგვისტოს მონაცემებით, თავისი კაპიტალის მესამედით იზარალა.

კონკრეტული რიცხვები არ დაუსახელებიათ, თუმცა, კონცერნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბევრი რამ 31 ოქტომბერს, დირექტორთა საბჭოს შეხვედრაზე გაირკვევა. ფინანსური წრეები ვარაუდობენ, რომ პირველი რვა თვის განმავლობაში "ფიატ აუტოს" ზარალმა 1.1 მილიარდი ევრო შეადგინა.

"ფიატი" რომ მძიმე კრიზისშია, ეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის. კომპანია ველარაფრით ახერხებს ვალების დაფარვას და ვერც თავისი სამოდელო რიგის შესაფერისად განახლებისთვის პოულობს სახსარს. იქმნება მოჯადოებული წრე, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ გარე ფინანსური ინექციაა.

ასეთად კი ექსპერტებს რამდენიმე ვარიანტი მიაჩნიათ. ერთია ამერიკული ავტოგიგანტი "ჯენერალ მოტორსი", რომელიც წელიწადნახევრის წინ, საკუთარი აქციების 5 პროცენტის სანაცვლოდ, "ფიატის" 20 პროცენტს დაეუფლა და ამასთან, უფლებაც აქვს, თუ სურვილი ექნება, 2004 წლიდან მთლიანად შეისყიდოს იტალიური ავტოკომპანია.

მეორეა სახელმწიფო დახმარება. ამ შემთხვევაში, "ფიატ აუტო" შეინარჩუნებს იტალიის "მოქალაქეობას" და კერძოდან სახელმწიფო მფლობელობაში გადავა. თავის მხრივ, სახელმწიფოსაც ხელს აძლევს გაჭირვებული კონცერნისთვის ("ფიატი" ავტომობილების წარმოების მხრივ მსოფლიოში მეშვიდე ავტომწარმოებელია) დახმარება.

ხელს აძლევს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავისი ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს თავადვე შეინარჩუნებს. მეორეც, ამით თავიდან აიცილებს სამუშაო ადგილების მოსალოდნელ შემცირებას, რასაც უმუშევრობის ზრდა და შესაბამისი გართულებები მოჰყვება.

ამის ნიშნები კი უკვე რეალურად გამოიკვეთა. კერძოდ, თავის გადასარჩენად "ფიატმა" ერთი თვის წინ გამოაცხადა სამუშაო ადგილების "დროებით" მესამედით შეკვეცის შესახებ, რასაც მთელ ინდუსტრიულ (ჩრდილოეთ) იტალიაში "ფიატის", "ალფა რომეოსა" და "ლანჩას" მუშათა მასობრივი გაფიცვები მოჰყვა.

შექმნილ რთულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მუდმივი კონსულტაციები მიმდინარეობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისთან, რომელმაც პროფკავშირებსა და კონცერნის ხელმძღვანელობას აღუთქვა, რომ ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას მიაგნებენ.

ერთხანს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ "ფიატის" გადასარჩენად საწილებაში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა. თუმცა, არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, ქვეყანამ დახმარების ხელი გაუწოდოს კრახისთვის განწირულ კომპანიას.




"ფიატის" მშრომელთა 1/3 უმუშევარი რჩება

ხელმწიფო აპირებდა ინვესტიციის განხორციელებას და, შესაბამისად, აქციების დიდი პაკეტის ყიდვას.

ამ ხმებმა მყისვე უწიეს ატლანტიკის მეორე მხარეს და, შედეგად, "ჯენერალ მოტორსმა", სხვათა შორის, განაცხადა, რომ "ფიატის" სრული შესყიდვა აღარ აინტერესებს და თავისი კუთვნილი აქციების გაყიდვასაც კი ფიქრობს.

რა თქმა უნდა, ეს განცხადება ზედაპირულია და მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. კერძოდ, საინფორმაციო საშუალებებით მის გავრცელებას დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა "ფიატის" აქციების კურსის მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებაზე, რასაც "ჯენერალ მოტორსმა" ნაწილობრივ მიაღწია კიდეც.

ამას კი მოჰყვა იტალიის მთავრობის "საპასუხო" კონტრ-განცხადება. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მარირო ბალდასარიმ განაცხადა, რომ გამორიცხულია "ფიატის" კაპიტალის გა-



სილვიო ბერლუსკონი "ფიატის" ბედმა ჩააფიქრა

"ჩვენგან დახმარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს "ფიატის" აქციონერობა ან მისი სრულად დაუფლება სურს. ჩვენ გვინდა, კომპანიამ გააგრძელოს თავისი საქმიანობა და მოხარულნი ვიქნებით, თუ ქვეყანა შეძლებს მის კრიზისიდან გამოყვანას", - ამბობს ბალდასარი.

21 ოქტომბერს "ფიატ აუტოს" შეფმა გაბრიელე გალატერიმ გამოაცხადა, რომ 2004 წლამდე არ აპირებს თავის კუთვნილებაში დარჩენილი აქციების "ჯენერალ მოტორსისთვის" მიყიდვას. მისი სიტყვებით, კონცერნის ავტომწარმოებელი დივიზიონის გაყიდვის საკითხი 2004-09 წლებში განიხილება და საერთოდ არ იქონიებს გავლენას "ფიატ აუტოს" რესტრუქტურიზაციაზე.

გალატერიმ ასევე განაცხადა: კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა ის იყო, რომ ძირითადად აქცენტი კეთდებოდა შიდა ავტობაზარზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა პროდუქციის ექსპორტს. ამასთან, მან სრულად უარყო ბრალდება იმის შესახებ, თითქოს, კომპანიამ მეტისმეტად დიდი დახმარება მიიღო სახელმწიფოსგან, რამაც ის დააკაბალა.

რაც შეეხება "ფიატ აუტოს" რესტრუქტურიზაციას, იგი ითვალისწინებს სამუშაო ადგილების მნიშვნელოვნად შეკვეცას, საწარმოო პროგრამის დახვეწას და, რაც ყველაზე მთავარია, 10 მილიარდი ევროს ინვესტიციას, რათა უახლოეს მომავალში გაჩნდეს ბაზრისთვის დაახლოებით 20 ახალი მოდელის მიწოდების შესაძლებლობა.

### "ალფა" "ფიატში" რჩება

11 ოქტომბერს "ალფა რომეოს" დირექტორთა საბჭოს წევრმა დანიელე მანდერამ გამოაცხადა, რომ მისი კომპანია კრიზისის მარწუხებში მოქცეული "ფიატის" შემადგენლობაში დარჩება.

"პაოლო ფრესკომ (ფიატის აღმასრულებელი) კატეგორიულად განაცხადა, რომ "ალფა" კვლავაც "ფიატის" შემადგენლობაში იქნება. სამაგიეროდ, მას ექნება სრული ავტონომია პროდუქციის, დიზაინისა და განვითარების საქმეში", - განაცხადა მანდერამ.

თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, ბევრი სპეციალისტი მაინც დაჟინებით მიიჩნევს: "ფიატმა" რომ კრიზისს თავი დააღწიოს, აუცილებელია, კონცერნმა გაყიდოს თავის შემადგენლობაში შემავალი კომპანიები "ალფა რომეო", "ლანჩა" და "ფერარი/მაზერატი".

საინტერესოა ისიც, რომ "ჯენერალ მოტორსი" მილანური მარკის ("ალფა რომეო" სწორედ მილანშია ბაზირებული) გამოყენებას აპირებს საკუთარი მოდელების სარეალიზაციოდ. თუმცა, იმთავითვე ცნობილია, რომ ამერიკული გიგანტი მხოლოდ ჩინეთსა და ჯერაც აუთვისებელ ბაზრებზე დასამკვიდრებლად მიმართავს ამ ხერხს.

## ცოტა რამ „მერკური მონტერეის" შესახებ



ერთი თვის წინ "ფორდმა" გამოაცხადა, რომ "მერკურის" მარკით გამოუშვებს ახალ მინივენს, სახელად "მონტერეი". ახლა კი ამ ავტომობილის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გაიმეტა მედიისთვის. კერძოდ, გამოცხადდა, რომ ახალი მინივენი, დაახლოებით, 30 ათასი დოლარი ეღირება.

იგი აღიჭურვება 4.2-ლიტრიანი V6 ძრავით, სამ რიგში ჩამწკრივებული სავარძლებით და უსაფრთხოების ულტრათანამედროვე სისტემებით. "მონტერეი" ბაზარზე 2003 წლის ბოლოს გამოჩნდება, როგორც 2004 წლის მოდელი.

## „დაიმლერკრაისლერის" უძველესი ქარხანა 100 წლისაა

ბერლინში მდებარე "დაიმლერ კრაისლერის" კუთვნილ უძველეს საავტომობილო ქარხანას ოქტომბრის დასაწყისში 100 წელი შეუსრულდა.

დღეს ქარხანაში, რომელიც, ძირითადად, მსუბუქი ავტომობილებისთვის განკუთვნილ ძრავებს ამზადებს, 3000-მდე ადამიანი მუშაობს. აქ მზადდება რვაცილინდრიანი დიზელები და ორმაგი ტურბოკომპრესორებით აღჭურვილი V12 ძრავები, რომლებიც "მერსედესის" S, CL, M და G კლასის ავტომობილებში გამოიყენება. აქვე მზადდება "მაიბახისთვის" განკუთვნილი 550 ცხენისძალიანი მონსტრები და მცირელიტრაჟიანი "სმარტისთვის" განკუთვნილი სამცილინდრიანი მინიაგრეგატები.

## ახალი პაკეტი „სუბარუ იმპრეცა WRX STi"-სთვის

ბრიტანულმა კომპანია "პროდრაივმა", რომელიც რალის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებს "სუბარუს" ცნობილ მოდელ "იმპრეცას", ამ ავტომობილის მოყვარულთ მოუმზადა რამდენიმე სიახლე, რომელთა წყალობითაც მანქანის სიმძლავრე 265-დან 300 ცხენის ძალამდე გაიზარდა.

შედეგად, ახალი "სუბარუ იმპრეცა WRX STi" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 4.6 წამსღა ანდომებს, მაქსიმალური სიჩქარე კი 255 კმ/სთ-მდე გაიზარდა. გაიზარდა ძრავის მაბრუნი მომენტიც, რომელიც მაქსიმალურ მნიშვნელობას უკვე 4000 ბრუნ/წუთზე აღწევს.

სიახლეების წყალობით ახალი "იმპრეცას" ძრავა უფრო ელასტიკური გახადეს, რის გამოც იგი გადაცემის ნებისმიერ საფეხურზე გაცილებით უფრო დინამიკური გახდა. ამასთან, წუთში 2500 ბრუნზე ძრავა, წინამორბედთან შედარებით, თითქმის 30 პროცენტით მეტ მაბრუნ მომენტს ავითარებს. აგრეგატის მაქსიმალური სიმძლავრე კი 3000-5800 ბრუნ/წუთის დიაპაზონში მიიღწევა.

ახალ პაკეტში შედის გამონაბოლქვი აირების ახალი კოლექტორი, ახალი სპორტული მაყუჩი და, რაც მთავარია, ახალი ელექტრონული პროგრამა, რომელიც ძრავის მართვას უზრუნველყოფს. ამ პაკეტის დასაყენებლად "სუბარუს" დილერს სულ რაღაც 2.5 საათი ესაჭიროება და ეს ყოველივე მყიდველს 3000 დოლარი დაუჯდება.

## 12-ცილინდრიანების ოჯახი იზრდება

პარიზის ავტოსალონის დღეებში "ბეემვემ" და "კადილაკმა" გამოაცხადეს, რომ თავიანთ მოდელებზე მალე დაიწყებენ V კონფიგურაციის 12-ცილინდრიანი ძრავების დაყენებას. კერძოდ, სულ მალე ბავარიელები თავიანთ ფლაგმანზე, მე-7 სერიის ავტომობილებზე დაიწყებენ 6-ცილინდრიანი V12 აგრეგატების დამონტაჟებას და, შესაბამისად, ასეთი ავტომობილები ინდექსად მიიღებენ 760i-ს.



"ჯენერალ მოტორსი" უახლოეს წლებში ასევე დაიწყებს V12 ძრავების გამოშვებას, რომელთა მუშა მოცულობაც 7.5 ლიტრი იქნება და მათ, პირველ რიგში, ლუქსების მწარმოებელ "კადილაკის" მოდელებზე დააყენებენ.

თუმცა, ეს ყოველივე როდი აშინებს 12-ცილინდრიან "ფრონტზე" დღეს ეულად მომუშავე "მერსედეს-ბენცს". წინასწარი ვარაუდით, "ბეემვესა" და "კადილაკის" შესაბამისი აგრეგატები, სიმძლავრითაც და სხვა პარამეტრებითაც, შტუტგარტელთა ნაწარმს საგრძნობლად ჩამოუვარდებიან.

## „შევროლე ჯურნი" ბრაზილიისთვისაა

გასულ აგვისტოში "ჯენერალ მოტორსმა" მასმედიას წარუდგინა ახალი ავტომობილის დიზაინერული ესკიზები. ახლა კი სან-პაულუს საავტომობილო შოუს დამთვალიერებელმა ამ ესკიზისგან შექმნილი კონცეპტუალური "შევროლე ჯურნი" იხილა.

ავტომობილი, რომელსაც ყველა ბორბალი წამყვანი აქვს, გარეგნულად ახლოსაა როგორც გაზრდილი გამავლობის ავტომობილთან (ეგრეთ წოდებული სპორტ უტილიტი ვიჰაიქლ, იგივე პარკეტის ჯიპი), ასევე უნივერსალთანაც. თუმცა, არც ერთია და არც მეორე.

ახლა ასეთი "უკლასო" ავტომობილები თითქმის ყველა დიდი ავტოკომპანიის სამოდელო რიგში მოიძევება და, როგორც მოდა უკარნახებს, მათში სავარძლები სამ რიგადაა განლაგებული. მისი სიგრძე/სიმაღლე/სიგანეა, შესაბამისად, 4380, 1606 და 1778 მილიმეტრი. "ჯურნი" აღიჭურვება 18-დუიმიანი, დაბალი პროფილეს მქონე საბურავებით, რომელთა სიგანეც 235 მილიმეტრია. კომპანიას არ დაუზუსტებია, აპირებს თუ არა ამ კონცეპტუალის წარმოების დაწყებას.

## ფერადი საბურავები - ახალი მოდა

დღეს, ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ავტომოყვარული, რომელიც გარისკავს და თავის სანუკვარ ავტომობილს ფერადი საბურავებით შემოსავს. თუმცა, ამისი სრულებითაც არ ეშინია საბურავების მწარმოებელ გერმანულ კომპანია "კონტინენტალს", რომელმაც ოქტომბრის შუა რიცხვებში საზოგადოებას წარუდგინა ცისარტყელას ფერებში შეღებილი საბურავები.

## ფორდ GT - „სულ რაღაც" 150 ათას დოლარად

დეტროიტის რენესანს სენტერში განლაგებულ საკუთარ შტაბ-ბინაში "ფორდ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ კონცეპტკარ GT40-ის საწარმოო ვერსიას დაერქმევა "ფორდ GT". პროექტის ხელმძღვანელმა სტივ ლაიონსმა განაცხადა, რომ დაწვრილებითი ცნობები ამ მოდელის შესახებ უშუალოდ წარმოების დაწყების წინ გამოცხადდება, თუმცა, აღნიშნა, რომ სპორტული ავტომობილის ღირებულება 150 ათას დოლარზე ნაკლები იქნება და იგი "ფერარი 360 მოდენას" კონკურენტობას გაუწევს.

ოქტომბრის დასაწყისში "ფორდმა" გამოაცხადა, რომ 2003 წელს დაამზადებენ მხოლოდ სამ ცალ "ფორდ GT"-ს, რომლებიც არ გაიყიდება და მხოლოდ ავტომობილის რეკლამირებისთვის გამოიყენებენ. ეს ავტომობილები ასევე მონაწილეობას მიიღებენ "ცისფერი ოვალის" ასი წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში. ეს სამი ავტომობილი სიმბოლურად მიგვანიშნებს იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც 1966 წლიდან, ერთმანეთის მიყოლებით, იქნა მიღწეული ლე მანის 24-საათიან რბოლებში. "ფორდ GT"-ს წარმოება კი 2004 წლიდან დაიწყება და წლიურად 1000 ცალი ავტომობილი დამზადდება.

## ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02


## ბინები

### იყიდება

იყიდება ან იცვლება ახალაშენებული კაპიტალური სახლი ხეხილიანი ბაღით, მუდმივი წყლით, ავტოფარეხით სოფ. გრემში. 39 43 73

იყიდება კერძო 2-სართულიანი სახლი ხეხილიანი ბაღით დიდუბის მეტროსთან. ფასი შეთანხმებით. 69 05 70

იყიდება 2-ოთახიანი ბინა პატარა ეზოთი, იაფად, სასწრაფოდ. ლენტეხის ქუჩაზე (საბჭოს მოედნის ზემოთ) ფასი 2300 $. 8(99) 28 27 96

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება თანამედროვე დიზაინით აშენებული კერძო 2 სართულიანი სახლი ავლაბარში, სამების ეკლესიასთან.
ტელ: 98 40 13, 899 516925

იყიდება 2-ოთახიანი (გად. 4-ად) არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა მე-9 სართულზე, საბურთალო ზაქარიაძის 1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ. აივანით, 2 ტუალეტით, ორი სათავსო სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490 მარინა

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ხეხილიანი ნაკვეთი საგურამოს ცენტრში. 37 18 44, 8(77) 40 64 65

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება ან იყიდება 200 კვ.მ. გარემონტებული ბინა ვაკეში, ამავე ფართის სარდაფით. ფასი შეთანხმებით. 23 57 21

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

ქირავდება მაღალჭერიანი 2-ოთახიანი ლოჯიით, II სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ვაგზლის მოედანთან. 130-ად. 22 13 68

## კომერციული ფართი

იყიდება კაფე, ავტოსამრეცხაო, ვულკანიზაცია და 4-ბოქსიანი პროფილაქტიკა აეროპორტის ეზოში. 8(99) 14 14 01


## ქირავდება!

### კომერციული ფართი ვერაზე

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007


სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ნისან-მაქსიმა" 1991 წლის. ავტომატიკა, ელექტრო პაკეტით. საწყისი ფასი 3000. 8(99) 57 69 70 ზურა

იყიდება "ოპელ-ვექტრა" 1990 წლის, ჰიდრავლიკით, ABC, ლუკით, ცენტრალური პაკეტით, საბარგულით. 2600. 33 54 51 მიშა

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, ABS, ჰიდრავლიკა, 4x4 კვადრო, ავგისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $.
8(77) 44 13 40

იყიდება ავტომანქანა "ფორდი" (ტაურისი), 1990 წ. ექვსცილინდრიანი. სრული ავტომატიკით, კომპიუტერით. 69 37 21

სასწრაფოდ იყიდება "ვოლვო-440" 1991 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში, მუქი რუხი. 52 37 55, 8(99) 58 34 37

## სწავლება

ვასწავლი რუსულს. 99 60 52

ვამზადებ გერმანულში. 38 56 28

შევასწავლი სალაპარაკო ინგლისურს, თუ გჭირდებათ სამსახურის დასაწყებად. 30 63 26

მოვამზადებ ბიოლოგიასა და ქიმიაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. შესაძლებელია ბინაზე მისვლით. 32 90 70

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მოვამზადებ ყველა საგანში. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. 76 48 09, 8(99) 11 78 11 ეკა

მოვამზადებ სალაპარაკო ინგლისურ ენასა და TOEFL-ში. 32 90 70

შეგასწავლით ჩოგბურთის თამაშს პროფესიულ დონეზე ბავშვებს 6-დან 14 წლამდე. სასურველია სპორტული აღნაგობა. ასევე შევასწავლით მოყვარულებს. 94 16 28 თამუნა

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება პენტიუმ 3. 32 58 22, 8(77) 46 73 33

ამერიკული სათვალთვალო კამერები მოძრაობის დეტექტორით, 30 მეტრზე ხმისა და გამოსახულების უკაბელოდ გადაცემა. 72 08 30

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. მაქვს შესაბამისი გამოცდილება. 32 90 70

იყიდება კომპიუტერი პენტიუმ 1. საწყისი ფასი 120 $. 30 83 45 ზურა

ვეძებ სამსახურს გაზეთსა ან ჟურნალში კორექტორ-სტილისტის ადგილზე მაღალი ანაზღაურებით. 76 48 09, 8(99) 11 78 11 ეკა

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.
ტელ: 95-77-88, 877 764758

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

შევიძენ ფინური სასადილო "მიქადო"-ს ჟურნალების მაგიდას. 66 62 92, 8(99) 17 56 14


## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.


15 ოქტომბრიდან ტელეფონით მიღებული განცხადების (12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება 1 ლარით

98-86-43, 53-76-43




## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

### თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **თავისუფალი თეატრი**
"სისისხლიანი ქორწილი", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილიას "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"კარმენი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

- TMS
ერთობლივი საწარმო "მაუდი-თექა" - პირველი კოლექციის გამოფენა
- **„ქარვასლა"**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტონამუშევრების გამოფენა
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ეროვნული გალერეა**
"საშემოდგომო გამოფენა"
- **ძველი გალერეა**
ნანა ლომიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00 სთ
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ
- **„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ
"სამი იქსი"
დას: 19:00 სთ
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 21:30 სთ;

## სკანდინავიური კროსვორდი





ფეხბურთი

# "ბაიერნი" გავარდა!

**იუვენტუსი 2:0 ფეიენოორდი**
**ნიუკასლი 2:1 დინამო**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:2 | 10 |
| 2 | დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| 3 | ნიუკასლი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | 6 |
| 4 | ფეიენოორდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |

**მაკაბი 3:0 მანჩესტერი**
**ლევერკუზენი 2:0 ოლიმპიაკოსი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:8 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:9 | 9 |
| 3 | მაკაბი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:8 | 6 |
| 4 | ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:14 | 3 |

**დეპორტივო 2:1 ბაიერნი**
**ლანსი 2:1 მილანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| 2 | დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:11 | 9 |
| 3 | ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| 4 | ბაიერნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:10 | 1 |

**ბრიუგე 0:1 ბარსელონა**
**გალათასარაი 1:2 ლოკომოტივი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 15 |
| 2 | ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| 3 | გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| 4 | ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |



დეპორტივო-ბაიერნი: ამ დარტყმით ვიქტორმა ანგარიში გახსნა

კახა ფარუაშვილი

დამთავრდა მიუნხენის "ბაიერნის" ტანჯვა ჩემპიონთა ლიგაში. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი ლა კორუნიაშიც დამარცხდა და ამით ევროპულ თასებზე წლევანდელი გამოსვლა დაასრულა. ასეთი ჩავარდნა ბავარიულ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ ახსოვს. 5 თამაშში 4 მარცხი და ერთი ფრე - ეს შედეგი ოტმარ ჰიტცფელდის გუნდისთვის მეტისმეტია. თუმცა, ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება - კლუბი, რომელიც ტურნირის დაწყების წინ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, წლევანდელ სეზონს უსახელოდ ამთავრებს.

საერთოდ g ჯგუფში თითქმის ყველაფერი გაირკვა. მართალია, "ლანსმა" "მილანი" დაამარცხა, მაგრამ "დეპორტივოს" მეორე ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში, ალბათ, ველარ შეეცილება. იმისთვის, რომ ფრანგული კლუბი მეორე ადგილზე გავიდეს, მიუნხენში გამწარებული "ბაიერნის" დამარცხება მართებს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. "ბაიერნს" მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე კიდევ ერთ დამარცხებას არავინ აპატიებს.

დანარჩენ შეხვედრებს რაც შეეხება, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა e ჯგუფში, სადაც მეორე ადგილისთვის ერთბაშად სამი გუნდი - კიევის "დინამო", "ნიუკასლი" და "ფეიენოორდი" იბრძვის. ტურინში "იუვენტუსმა" როტერდამელთა ძლევით პრაქტიკულად გაინაღდა მომდევნო ეტაპის საგზური. 69-ე წუთზე კი ალან შირერის მიერ პენალტით გატანილმა გოლმა "კაჭკაჭებს" კიევის "დინამოსთან" მატჩში გამარჯვება მოუტანა და ჯგუფში მდგომარეობა უაღრესად დაძაბა. ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ ტურში "ფეიენოორდი" "ნიუკასლს" მიიღებს, ხოლო "დინამო" კიევში "იუვენტუსს" უმასპინძლებს.

სენსაციური შეიძლება ეწოდოს f ჯგუფში "მანჩესტერ იუნაიტედის" განადგურებას. მანკუნიანელებმა 0:3 წააგეს და ამ საქმის ჩამდენი ისრაელის ჩემპიონი, ჰაიფას "მაკაბი" აღმოჩნდა. ებრაელები ინგლისურ გრანდს 37 წუთში გაუსწორდნენ, როცა კატანმა, ჟუტაუტასმა და აიეგბენმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ალექს ფერგიუსონის გუნდს. სენსაცია სენსაციად, მაგრამ ამ გამარჯვებამ ებრაელებს შვება მაინც ვერ მოჰგვარა. "ბაიერარენაზე" ლევერკუზენის "ბაიერმა", ხუანისა და შნაიდერის გოლებით - 2:0 მოუგო საბერძნეთის "ოლიმპიაკოსს" და მომდევნო ეტაპის საგზური პრაქტიკულად გაინაღდა. "მაკაბი" უეფა-ს თასზე ითამაშებს.

გუშინდელი ტურის გვირგვინი სტამბულში მოსკოვის "ლოკომოტივის" გამარჯვება იყო - 2:1. ამას კი არავინ მოელოდა. თვით მოსკოველთა მწვრთნელი იური სიომინიც კი ვერ წარმოიდგენდა მოვლენების ასეთ ხელსაყრელ განვითარებას. გუშინდელი ტურის წინ, h ჯგუფს, მეორე ვაკანტური საგზურის ორი მაძიებელი ჰყავდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ მეორე საგზურისთვის სამი გუნდი იბრძოლებს. ბელგიის ბრიუგემ საკუთარ მინდორზე წააგო კატალონიურ "ბარსელონასთან" და ახლა მოსკოვში მოუწევს იმის დამტკიცება, რომ მეორე ეტაპზე თამაშის ღირსია.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ლიბანის ლიდერის მუამარ კადაფის შვიდ შვილთაგან ერთ-ერთი ას-საად კადაფი იტალიური გრანდის "იუვენტუსის" დირექტორთა საბჭოს წევრად მიიღეს. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ასეთ ნაბიჯს ტურინული კლუბის აქციონერთა მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრია. საგულისხმოა, რომ "იუვენტუსის" 7,5 პროცენტის აქტივები კადაფის მიერ კონტროლირებული ლიბანის საინვესტიციო ფირმას ეკუთვნის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის გუშინდელი განცხადებით, 2006 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯთა ბრიგადები ერთი ქვეყნის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. ბლატერის თქმით, მსაჯებთან დაკავშირებული ექსპერიმენტები დასრულებულია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფიფას პოლიტიკას, რომელიც, რაც შეიძლება, მეტი ქვეყნის მსაჯების ჩართვას ითვალისწინებდა, მსოფლიო ჩემპიონატებზე წერტილი დაესვა.

"იმისთვის, რომ მსაჯთა ბრიგადებს შორის მაქსიმალური ურთიერთგაგება დამყარდეს, ყველანი ერთი ქვეყნის წარმომადგენლები იქნებიან. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსაჯებს ერთმანეთთან მუშაობის გამოცდილებაც უნდა ჰქონდეთ", - აღნიშნა ბლატერმა.

სიახლეს გაისად, ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატზე გამოცდიან. გარდა ამისა, ბლატერის თქმით, ფიფა ინტერესით ეკიდება დამატებითი მსაჯების იდეასაც. მისი განხორციელების შემთხვევაში, მსაჯებს ვიხილავთ კარს უკანაც - ისინი ვალდებული იქნებიან, თვალყური ადევნონ როგორც საჯარიმო მოედანს, ისე კარის ხაზს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ის სამგზის მსოფლიო ჩემპიონის, ბრაზილიელი ნელსონ პიკეს შვილი ნელსონ პიკე უმცროსი მომავალ სეზონში საკუთარ შესაძლებლობებს ბრიტანულ ფორმულა 3-ში გამოცდის. სახელოვანი მამის შვილმა კონტრაქტი გააფორმა "Promatecme"- ს საჯინიბოსთან, რომლის შემადგენლობაშიც 1999 წელს ჯეისონ ბატონმა ბრიტანეთის ჩემპიონობა მოიპოვა და შემდეგ ფორმულა 1-შიც გაიკვალა გზა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 28 ოქტომბერი, საკუთარი დაბადების დღე (72 წლისთავი), ფორმულა 1-ის შეფმა ბერნი ეკლსტოუნმა ჰიტროუს აეროპორტის საპრესკონფერენციო დარბაზში სამეფო რბოლების მომავალზე მსჯელობით აღნიშნა. ფორმულა 1-ის საჯინიბოთა ხელმძღვანელების თავშეყრის მიზეზი გახლდათ არა იუბილარი ეკლსტოუნი, არამედ სპორტის მომავალი. კერძოდ, გადასაწყვეტი იყო მომავალი ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტი. ეკლსტოუნსა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტს მაქს მოსლის ეიმედებათ, რომ მომავალ სეზონში პაექრობებისადმი ინტერესი გაიზრდება.

"ვფიქრობთ, ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები ფორმულა 1-ს, ადრინდელთან შედარებით, ბევრად უფრო სანახაობრივს გახდის. ახალი წესები "უილიამსსა" და "მაკლარენს" "ფერარისთან" ორთაბრძოლის საშუალებას მისცემს", - ვარაუდობს ეკლსტოუნი.

"წონითი ჰენდიკაპების იდეა არ გავიდა, - კონსტატაციას ახდენს მაქს მოსლი, - ყველანი იმ დასკვნამდე მივედით, რომ არ ღირს, შუმახერს, ან ვინმე სხვას, ხელოვნური ბარიერები შევუქმნათ. იმედი გვაქვს, ახალი საკვალიფიკაციო სისტემა გაამართლებს. ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა ტიტულის დაუფლებას ერთიორად გაართულებს".

■ ■ ■

**ველოსპორტი.** "კელმეს" ესპანელი ველომრბოლი აიტორ გონსალესი, რომლისთვისაც განვლილი სეზონი საკმაოდ წარმატებული გამოდგა, გაისად, შესაძლოა, იტალიური გუნდის - "ფასას" ფერები დაიცვას. პირენეელის შესაძლო აბარგება-გადაბარგების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა "L`Equipe"-მა.

რამდენიმე დღის წინათ გონსალესს შევხვდი, - გვეუბნება "ფასას" სპორტული დირექტორი ჯანკარლო ფორეტი, - აიტორის განცხადებით, იგი, პრინციპში, ჩვენთან გადმოსვლის წინააღმდეგი არ უნდა იყოს, თუმცა, გადაწყვეტილების მისაღებად მას რამდენიმე დღე სჭირდება".

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგის" კაპიტანსა და თანამეპატრონეს, სახელოვან კანადელ ჰოკეისტს მარიო ლემიეს, რომელიც სეზონის ბომბარდირთა დავაში ჩართულა, "ვაშინგტონის" წინააღმდეგ გუშინდელ მატჩში სახეში შაიბა მოარტყეს. მატჩის პირველ პერიოდში ალექსეი კოვალიოვის მიერ ნასროლი შაიბა სერგეი გონჩარის ყვანჯმა აისხლიტა და 37 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს სახეში მოხვდა. დასისხლიანებული ლემიე მაშინვე გასახდელისკენ გაემართა, მაგრამ გულმა არ მოუთმინა და მატჩის მეორე მესამედში თანაგუნდელთა დასახმარებლად ისევ მოედანზე შევიდა, თანაც, გაგულისებულმა, გადამწყვეტი შაიბაც შეაგდო მეტოქის კარში.

# "რომას" გადამწყვეტი მატჩი

*ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია. იტალიის "რომას" არ გაუმართლა. დღეს მადრიდის "რეალს", რომელიც საკუთარ "ბერნაბეუზე" თამაშობს, აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. მეორე მხრივ, თუ კაპელოს გუნდი წააგებს, უკანასკნელ მატჩში საბერძნეთის აეკთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გადატანა მოუწევს.*

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| 2 | ბორუსია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 3 | ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 4 | ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:6 | 8 |
| 2 | რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| 3 | აეკი | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| 4 | გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| 2 | ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| 3 | ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| 4 | სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| 2 | ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| 3 | აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| 4 | როსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |



მაიკლ ოუენი

დიმიტრი ობოლაძე

**A ჯგუფი**
**ეინდჰოვენი - ოსერი**
**ბორუსია - არსენალი**

ორივე მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დორტმუნდელები საკუთარ "ვესტფალენშტადიონზე" თამაშობენ და ისედაც ფავორიტად ითვლებიან. თუ ვენგერის გუნდის ბოლოდროინდელ ჩავარდნას გავითვალისწინებთ, გერმანელთა შანსი ერთიორად იზრდება. მატიას ზამერის გუნდს ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი 6 საშინაო შეხვედრა არ წაუგია. რაც შეეხება ინგლისელებთან ურთიერთობას, "ბორუსიამ" საკუთარ მოედანზე ბოლო 38 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, მაგრამ სამარცხვინოდ წააგო. "მანჩესტერ-იუნაიტედმა" მაშინდელი "ბაზრობათა თასის" გათამაშებაში 6:1 დაამარცხა მეტოქე. დღეს მოედანზე ვერ გავა პატრიკ ვიეირა, რომელიც ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს გაფრთხილების გამო გამოტოვებს. სამაგიეროდ, მწყობრშია ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი, რომელმაც ტრავმის გამო ხუთი შეხვედრა გამოტოვა. საფრანგეთის "ოსერმა" კი, მეორე ეტაპზე გასვლის შანსის შესანარჩუნებლად, სტუმრად უნდა დაამარცხოს გუს ჰიდინკის "ეინდჰოვენი".

**B ჯგუფი**
**ლივერპული - ვალენსია**
**სპარტაკი - ბაზელი**

მოსკოვის მოვლენებმა კალენდარში კორექტივები შეიტანა. "სპარტაკისა" და შვეიცარიის "ბაზელის" მატჩი, უკანასკნელი ინფორმაციით, 5 ნოემბერს გაიმართება. თუმცა, ცნობილია, რომ შვეიცარიელები ითხოვენ, მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადაიტანონ. დღეს კი "ენფილდის" მოედანზე ჯგუფის ლიდერები და ფავორიტები - "ლივერპული" და "ვალენსია" გავლენ. თუ ინგლისელებმა მოიგეს, ორივე გუნდს 10-10 ქულა დაუგროვდება და შვეიცარიელებს სასწაულიღა იხსნის. ისე, "ლივერპული" ესპანელთა წინააღმდეგ, ტრადიციულად, ცუდად თამაშობს. გუნდი, რომელსაც ევროპულ ასპარეზზე 200 მატჩი აქვს ჩატარებული, მხოლოდ მეცხრედ ხვდება ესპანეთის კლუბს. რვა თამაშიდან სამი მოგება, სამი ფრე და ორი მარცხი. ორივე მარცხი "ლივერპულმა" შარშანდელ სეზონში იწვნია. მეორე მხრივ, "ვალენსიას" 41 წლის განმავლობაში არ მოუგია ინგლისის სტადიონებზე. დღევანდელი მატჩის მონაწილე გუნდები მეორედ ხვდებიან ერთმანეთს. 1998-99 წლის უეფას თასის გათამაშებაში "ენფილდზე" გამართული შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა, "მესტალიაზე" კი - 2:2 და მომდევნო ეტაპზე ინგლისელები გავიდნენ. რაც შეეხება დანაკლისებს, "ვალენსიას" აიალა არ ეყოლება. იგი "ბაზელთან" უკანასკნელი შეხვედრის 88-ე წუთზე გააძევეს. დღევანდელი მატჩის მონაწილეს, ჩეხ მილან ბაროშს გუშინ 21 წელი შეუსრულდა. მისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი დღევანდელი მატჩის მოგება იქნება. და კიდევ ერთი პოტენციური იუბილარის შესახებ. ჯონ კარეუსთვის დღევანდელი მატჩი ჩემპიონთა ლიგაში 50-ე იქნება.

**C ჯგუფი**
**რეალი - რომა**
**აეკი - გენკი**

სეზონის დასაწყისში ბელგიელებსა და ბერძნებს მთელი საფეხბურთო სამყარო აშკარა აუტსაიდერად თვლიდა. და ეს ვარაუდი, ალბათ, გამართლდებოდა, რომ არა ფავორიტების - "რეალისა" და "რომას" უყურადღებო, ზერელე დამოკიდებულება. იტალიელებმა და ესპანელებმა ქულები საბერძნეთის აეკთან დაკარგეს. თუ დღეს ბერძნებმა მოიგეს და "რომამ" წააგო (ორივე ვარიანტი სავსებით რეალურია), იტალიელებს სერიოზული საფრთხე დაემუქრებათ. სხვათა შორის, "რომას" ესპანეთის მინდვრებზე, 40 წლის განმავლობაში, ერთხელაც არ მოუგია. კაპელოს გუნდი თავდასხმაში დღესაც ცუდად თამაშობს, რაზეც მეტყველებს 4 მატჩში გატანილი მხოლოდ ერთი გოლი, ისიც, ყველაზე სუსტის, "გენკის" კარში. დღევანდელი მატჩის მონაწილე გუნდებს შორის "რომა", გატანილი გოლების მხრივ, უკანასკნელ, მე-16 ადგილზეა. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდის ფეხბურთელებს ტრავმებიც აქვთ. რაული და ფიგუ, მწვრთნელის განცხადებით, 100 პროცენტით მზად არ არიან. თუმცა, მოედანზე, ალბათ, მაინც გავლენ.

**D ჯგუფი**
**ინტერი - როსენბორგი**
**ლიონი - აიაქსი**

ცხრილიდანაც კარგად ჩანს, რომ სიტუაცია უკიდურესად ჩახლართულია. ფრანგებისთვის ყველაფერი ნათელია. "ლიონი", ამსტერდამელთა დამარცხების შემთხვევაში, 10 ქულას დააგროვებს, მეორე ეტაპზე გავა და კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას უკანასკნელი ტურის წინ. "როსენბორგი", იტალიაში დამარცხების ან მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაშიც კი, ლიგას დაემშვიდობება. ყველაზე სერიოზული პრობლემა "აიაქსს" შეექმნა. დღეს მოედანზე ვერ გავა მცველი ვან დამე, რომელიც გაფრთხილების გამო გამოტოვებს მატჩს. ამ მხრივ ფრანგებს პრობლემები არა აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ჯგუფში ყველაფერს გადაწყვეტს უკანასკნელი ტური და, სავარაუდოდ, ამსტერდამში გასამართი შეხვედრა. 12 ნოემბერს "აიაქსი" იტალიელებს უმასპინძლებს.

ჭადრაკი

# ბლედი - ნერვების დასამშვიდებლად კარგი ადგილია

*სლოვენიის პატარა ქალაქ ბლედს რამდენიმე ღირსება აქვს. გარდა იმისა, რომ დიდი საჭადრაკო ტრადიციებით ამაყობს, შეუდარებელი სილამაზითაც გამოირჩევა. ქალაქი მთიან მასივშია ჩაფლული და ოთხივე მხრიდან ტყე აკრავს. დიდ, უაღრესად სუფთა ტბაში იხვებისა და წეროების კოლონიები ბინადრობენ. ადგილობრივები მათ დიდი რუდუნებით უვლიან. ტბის გარშემო დამსვენებლებით დახუნძლული სასტუმროებია განლაგებული. 5-კილომეტრიანი მოციონი დასვენების აუცილებელ პროგრამას შეადგენს. მოჭადრაკეებიც ამით იქცევენ თავს - დაძაბული მატჩის შემდეგ გონი და ნერვები წესრიგში მოჰყავთ.*

კახა ფარუაშვილი

ბლედი ტყუილად როდი შეარჩიეს ოლიმპიადის მასპინძლად. აქ ყველაფერი ზღაპარს ჰგავს. მშვენიერი ადგილია ძველი ნაცნობ-მეგობრების სანახავად, მათთან სასაუბროდ და ტკბილი დროების გასახსენებლად. მოჭადრაკისთვის ასეთი მდგომარეობა იდეალურს უახლოვდება - ულამაზესი ბუნება, სიმშვიდე, სასურველი გარემო... ისინიც მაქსიმალურად ცდილობენ ამ მდგომარეობის გამოყენებას. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრები გამონაკლისია. ჩვენს მოჭადრაკეებსაც ბევრი დრო აქვთ ნაცნობ-მეგობრებთან შესახვედრად და დასასვენებლად.

35-ე საჭადრაკო ოლიმპიადა თანდათან ტემპს იკრებს. გუნდებმა უკვე მესამე ტურის შეხვედრები ჩაატარეს და აშკარაა, რომ აქაური გარემო, ჯერჯერობით, ქართველ ვაჟებზე უფრო კარგად მოქმედებს, ვიდრე ქალებზე. მათ ნერვებიც წესრიგში აქვთ და ფსიქოლოგიურადაც კარგად გამოიყურებიან. ერთი რამ ახლავე ნათელია: როგორც უნდა დასრულდეს ტურნირი, საქართველოს ვაჟთა ნაკრები, ყველა შემთხვევაში, ქებას იმსახურებს. ჭადრაკის ბევრი სპეციალისტისთვის მოულოდნელად, ქართველებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს - წარმატებული დებიუტის შემდეგ, ლიდერთა მარაქაშიც გაერივნენ. საქართველოს ვაჟთა ნაკრები აშკარად კარგ გუნებაზე უნდა იყოს.

ქართველმა მოჭადრაკეებმა მესამე ტურში ბერძნებთან გაიმარჯვეს - 3:1 (სტურუამ და ჯობავამ მოიგეს, აზმაიფარაშვილი და იზორია კი მეტოქეებს დაუზავდნენ) და 12 შესაძლებლიდან 10 ქულით, რუსეთის, პოლონეთისა და კუბის გუნდებთან, პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფენ. ამ "ოთხხელისუფლებიანობას" ბოლო მოეღება მეოთხე ტურში, როცა ლიდერები ერთმანეთს შეხვდებიან: საქართველო - რუსეთი, პოლონეთი - კუბა.

"ეს იქნება უმნიშვნელოვანესი მატჩი, რომელმაც შეიძლება ტურნირის მსვლელობა ძირფესვიანად შეცვალოს, - სატელეფონო საუბარში განაცხადა ნინო გურიელმა, - ჩვენები კასპაროვის გუნდს ხვდებიან და, წარმოიდგინეთ, გამარჯვების შემთხვევაში, ამ ფაქტს როგორი რეზონანსი ექნება. რუსეთის ნაკრები ხომ ტურნირის უმთავრესი ფავორიტია".

რუსები ბლედში, მართლაც, ფავორიტად ჩავიდნენ. ისინი მსოფლიოს ნაკრებისგან მარცხისთვის შურისძიებას გეგმავენ. ქართველების მსგავსად, მესამე ტურში რუსებმაც 3:1 მოიგეს. მათ ინდოეთის გუნდი დაამარცხეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ მატჩშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა კასპაროვისა და სვიდლერის შეუდარებელ თამაშს. სპეციალისტთა აღიარებით, სწორედ კასპაროვისა და სვიდლერის დუეტია რუსეთის ნაკრების მთავარი კოზირი. მათ თამაშზე ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველო - რუსეთის მატჩის შედეგიც.

ქალთა ნახევარში ცოტა ინერტულობა შეიმჩნევა, უფრო სწორად, ინერტულობა საქართველოს ნაკრებს ემჩნევა. აშშ-ის ნაკრებთან გადამწყვეტ პარტიაში ნინო ხურციძე დამარცხდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გამარჯვება იანკებს დარჩენოდათ - 1:2. სამი ტურის შემდეგ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს მხოლოდ 6,5 ქულა აქვთ. მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრები მოლდოვის გუნდს დაუპირისპირდება. "ამერიკელებთან დამარცხება, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე დასკვნების გამოტანა არ შეიძლება. ტურნირი ახლახან დაიწყო და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა კიდევ ბევრჯერ შეიცვლება", - გვამშვიდებს ნინო გურიელი.

***P.S.*** *მეოთხე ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრები რუსებთან შეხვედრაში დამარცხდა 1:3, ხოლო ქალებმა 2,5:0,5 მოლდოვის გუნდს მოუგეს.*

კალათბურთი

# "ხიმიკი" "დინამოს" დამარცხებას აპირებს

*დღეს თბილისის მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის დარბაზი ევროპის საკლუბო ტურნირის მატჩს უმასპინძლებს. სწორედ ამ დარბაზში გაიმართება "ჩელენჯ კაპის" ტურნირის შეხვედრა თბილისის "დინამოსა" და უკრაინის ქალაქ იუჟნის "ხიმიკს" შორის. უკრაინელი კალათბურთელები თბილისს გუშინ ეწვივნენ და სასტუმრო "საირმეში" დაბინავდნენ.*

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოსთან" შედარებით, "ხიმიკი" "ჩვილი" გუნდია. ის თავისი არსებობის მხოლოდ მეშვიდე წელს ითვლის. თუმცა, ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "ხიმიკს" უკრაინული კალათბურთის იერარქიულ კიბეზე გიგანტური ნაბიჯებით ევლო და მესამე ლიგიდან უმაღლესის გავლით სუპერლიგაში ამოეყო თავი. ეს ბოლო, გუნდისთვის ღირსშესანიშნავი მოვლენა ერთი წლის წინ მოხდა - წლევანდელ სეზონში "ხიმიკი" უკრაინის სუპერლიგის დებიუტანტია. "ამის მიუხედავად, გუნდი, რომელსაც ერთადერთი სპონსორი ჰყავს - იუჟნის ქიმიური ქარხანა - წლეულს სუპერლიგის პლეიოფში, ანუ, საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრას გეგმავს", - გაგვანდო მიზანი "ხიმიკის" გუნდის უფროსმა ანატოლი კალინინმა, - "რაც შეეხება "ჩელენჯ კაპის" ტურნირს, ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ. ხვალინდელი მატჩი "ხიმიკისთვის" სადებიუტოა ევროსარბიელზე. უფრო მეტიც: ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრი პირველად გავიდა უკრაინიდან საზღვარგარეთ, ხოლო ორი კალათბურთელი თვითმფრინავში პირველად იჯდა. გამოუცდელობის მიუხედავად, "ხიმიკი" მაინცდამაინც ახალგაზრდული გუნდი არ არის. ჩვენი კალათბურთელების საშუალო ასაკი 25 წელია. გუნდის კაპიტანია 34 წლის იუგოსლავიელი ვლადენ ჟივკოვიჩი, რომლის თამაშზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული "ხიმიკის" წარმატება. გუნდში ექვსი კალათბურთელია, რომელთა სიმაღლე 2 მეტრს აღემატება. "ჩელენჯ კაპის" მოსაგებად ნამდვილად ვერ ვიბრძოლებთ. ჩვენი მიზანია, პირველი ჯგუფური ეტაპიდან გავაღწიოთ და საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება შევიძინოთ. ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, ხვალინდელი მატჩი უნდა მოვიგოთ. თუმცა, თანამედროვე თბილისის "დინამოს" შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია მაქვს. რა თქმა უნდა, უკვე სახელი - თბილისის "დინამო" - ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენ მისი სახელოვანი ისტორია და ტრადიციებიც ვიცით, მაგრამ, არა მგონია, თანამედროვე "დინამო" ამ ტრადიციების შესაფერისი სიძლიერის გუნდი იყოს. ასე რომ, ხვალ გამარჯვების მოპოვება არარეალურად არ მეჩვენება. თუმცა, იმის გამო, რომ თქვენს გუნდზე დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობ, პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება", - გვითხრა ანატოლი კალინინმა.

"ხიმიკმა", რომელსაც, კაპიტნის გარდა, კიდევ ერთი იუგოსლავიელი ლეგიონერი და მისი თანამემამულე მწვრთნელი ჰყავს, ერთსაათიანი ინტენსიური ვარჯიში ჩაატარა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ ჩვენს "დინამოს", გამარჯვების მოსაპოვებლად, დიდი ოფლის ღვრა მოუწევს. მატჩი საღამოს 7 საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი სიმბოლურია - სულ 2 ლარი.



სტუმრები ვარჯიშისას



E1 ანი ნიჟარაძე ასაკი-16, 164/88/63/88, თვალის-ყავის, თმა-წაბლის



E2 ანი ალექსიშვილი ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია წაბლის



E3 ელენე ლომსაძე ასაკი-16, 169/87/62/89, თვალის-ყავის, თმა-წაბლის



E4 ხათუნა მინდელია ასაკი-19, 169/84/65/91, თვალის-თაფლის, თმა-მუქი წაბლის



E5 ვანდა ვითმანი ასაკი-19, 170/84/60/89, თვალის-ყავის, თმა-ღია წაბლის



E2 ანა ორლოვსკაია ასაკი-23, 163/92/60/90, თვალის-ნაცრისფერი, თმა-ქერა

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათი" 6 დღის განმავლობაში და კუპონის მოდლის ხმის შეგროვების მიხედვით...

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სასურაო კონტრაქტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე
ვაჟა ფშაველას 45, 30-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 33 69 11

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

ჩამოჭერით მის მიუხედავ გაკვეთი

## TV პროგრამა 30 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "მიყვარს"
11.05 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ქართული ენის გაკვეთილი"
14.35 "თქვენი უფლებები"
15.15 მხ. ფილმი "ზღაპარი ანუ ჯადოსნური ამბავი"
16.50 სერიალი "ძილის წინ"
17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ისტორიანი"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 "მიამბეთ თქვენზე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "კანონის მეორე მხარეს"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
12.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "საუკუთესო დაცვა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 "მოკლე სეანსი"
22.00 "ინფორმატორი"
22.30 "არასარეკლამო ათეული"
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "გადასახლებული".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მსოფლიო ცენტრი"
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ზამთრის ძილქუში"

### ევრიკა

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25 სალონი
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მულტფილმი
20.15 მუსიკალური პაუზა
20.30 საოცარი პირამიდა
21.30 თინეიჯერი
23.35, 00.40 მხ.ფ. "8 ქალი"

### იბერია

13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა

08.30 მხ. ფილმი "პარფიუმი"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 ძველი კინო "ვესტსაიდის ისტორია"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "მატყუარა, მატყუარა"
22.15 მხ.ფ. "ლოს - ანჯელესის საიდუმლოებანი"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გლადიატორი"
14.30 მხ. ფილმი "მგლის საქმო"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ტაქსი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "იამაკასი"
22.30 მხ. ფილმი "რაშია საქმე, დოკ"

### მეცხრე არხი

09.00, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" 36-ე სერია
11.15 მხ. ფილმი "დავიწყებული ფული"
12.50, 16.20 მუსიკა
13.00 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 2"
14.45, 20.00 "ევროპის სტადიონებზე"
15.15 დოკ. ფილმი "პირველი მსოფლიო ომი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
21.10 "მსოფლიო კულტერის საგანძური". "ძველი ქალაქი, იერუსალიმი და ქრისტიანობა"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ვიბრაცია"
00.20 მხ.ფ. "ნიანგი".

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "სად არის შენი ბედნიერება, მზია"
10.50 კომედია "აგენტი მინი ქვედაკაბათი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "ალექსანდრე დიდი"
14.25 თრილერი "შეთქმულება თეთრ სახლში"
16.15 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "ურჩხული და მზეთუნახავი"
17.30 კომედია "ფანფან-ტულპანი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 სათავგადასავლო ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბით"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 კომედია "ჰარლემის ღამეები"
03.30 ისტორიული ფილმი "რუსული ბუნტი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.50 "პაემანი"
11.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა. განმეორებით
12.15 "სახლიდან გაუსვლელად"
12.50 ანიმაცია
13.05 "გიორითმი" - რიკი მარტინი
13.30 დოკ.ფ. "კრივი"
13.55 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 "სახლიდან გაუსვლელად"
15.00 სპორტი
15.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.55 დოკ.ფ. "კრივი"
22.25 "სახლიდან გაუსვლელად"
23.00 "კინოკლუბი " - "ადამიანები ვარსკვლავებიდან".
00.40 პრესის მიმოხილვა
01.00 "სახლიდან გაუსვლელად"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

სააქციო საზოგადოება ყაზბეგი აწარმოებს ცივი ჩაის წამახალისებელ ლატარეას

ყაზბეგი

გათამაშებული პრიზები მინიშნებულია ცივი ჩაის საცობის შიდა მხარეზე

მომგებიანი პრიზის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი საცობი

წამახალისებელი ლატარეა გასტანს 2002 წლის 21 დეკემბრამდე

მოგებული პრიზების გაცემა გასტანს 2002 წლის 30 დეკემბრამდე.

ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო №7. ტელ.: (995 32) 94 25 74

## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.